

# მსაქმე



ლიტერატურული ჟურნალი № 2 (33)

მედიის მეშვეობით

2017

# ოლე

მწერალთა ასოციაცია  
„ლიტერატურული კახეთის“ გამოცემა

The Literary Magazine OLE

ჟურნალი გამოდის 2004 წლის ივნისიდან  
ISSN 1512-3995

ოლე – ბრყენა, გინა მოგრძე ტყე ველთა შუა  
**სულხან საბა**

ოლე – ახლში საჩრდილობლად დატოვებული  
ხე  
**ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი**

ოლე – გიორგი ლეონიძის პოეტური შედევი

## მთავარი რედაქტორი აკაკი დაუშვილი

### რედაქტორები:

ფარნა რაინა  
ნუნუ ძამუკაშვილი

მისამართი: 2200 თელავი  
ერეკლე II-ის გამზირი №6  
III სართული  
მობ: 555 46 44 29  
მწერალთა ასოციაცია  
„ლიტერატურული კახეთი“  
მობ: 558 48 24 80

„ოლეს“ რედაქციაში შემოსული მასალა  
არ რეცენზირდება და ავტორს არ უბრუნდება

მასალების გამოგზავნა შეგიძლიათ  
ელექტრონული ფოსტით  
E-mail: akakidau@mail.ru

ჟურნალის წინა ნომრების შეძენა  
შეგიძლიათ რედაქციაში

ჟურნალი „ოლე“ გამოიცემა თვითმ-  
მართველი ქალაქი თელავის მუნიციპალიტე-  
ტის (მერი ბატონი **პლატონ კალმახელიძე**)  
და თვითმმართველი თემი თელავის მუნიცი-  
პალიტეტის (გამგებელი ბატონი **ალექსანდ-  
რე შათირიშვილი**) მხარდაჭერით.



მარტი, ივნისი, სექტემბერი №2 (33), 2017



გამოდის სამ თვეში ერთხელ



„ოლე“ ლიტერატურული ჟურნალი



## შინაარსი

### იუბილე

- 2. **ოთარ ხუციშვილი** — 85
- 5. **თეიმურაზ ლანჩავა** — 70

### ასსე

- 6. **რეზო (ეპელიანე) აღაშია**. დაუოკებელი სულბობოქრობა „მერანი“

### ლადო ასათიანი — 100

- 14. **თინათინ თუშაბრამიშვილი**. ლადო ასათიანის ტრაგიზმის წინასწარმეტყველური განცდა

### მირზა გელოვანი — 100

- 17. **ნუნუ ძამუკაშვილი**. მირზა გელოვანს. ლექსი

### მხატვრული ლიტერატურა

- 18. **თეიმურ ტაბატაძე**. წმინდა ნინოს ცხოვრება. პოემა
- 34. **ფიქრია ყუშიტაშვილი**. ჩრდილი. მოთხრობა
- 37. **გივი ჩიღვინაძე**. მარტოხელა მასწავლებლის ჩანაწერები. მოთხრობა
- 41. **თინათინ სიყმაშვილი**. ლექსები
- 44. **თაზლო ზარიძე**. ლექსები
- 46. **ელენე აბულაძე**. ლექსები
- 47. **ანი რაინაშვილი**. მუზა არ არის უსასრულობა. ჩანახატი
- 48. **გიორგი ბერძენიშვილი**. საბავშვო მოთხრობები
- 52. **ნუნუ ძამუკაშვილი**. საბავშვო ლექსები

### თელავის მუსიკალური

#### სასწავლებელი — 85

- 56. **ნელი ზუროშვილი**. ქართული კულტურის მოამაგენი


### ნარიღები

- 63. **ეთერ სომთრევი**. გზა — ტაძრისაკენ...

გარეკანის პირველ გვერდზე  
**ალექსანდრე (საშვა) გომიანიშვილის** ნახატი

დაიბეჭდა შპს „ფავორიტი სტილოში“





85 წლისა შესრულდა თვალსაჩინო ქართველი მწერალი და ჟურნალისტი ოთარ ივანეს ძე სუციშვილი. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ბატონო ოთარ!

ჩვენო ძვირფასო თანამოკალმევე!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები დიდი სიყვარულით მოგესალმებიან მხცოვან, ღვანღმოსილ შემოქმედს და გილოცავენ ღირსშესანიშნავ თარიღს თქვენს ცხოვრებაში — დაბადების 85 წლისთავს.

ქართველი მკითხველი თქვენ, უპირველეს ყოვლისა, გიცნობთ, როგორც ჩინებულ ჟურნალისტს, ობიექტურ, პირუთვნელ, ქედუხრელ კალმოსანს, რომელიც ათწლეულების განმავლობაში ერთგულად და შეურაცხველად იცავდა ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესებს და სამარცხვინო ბოძზე აკრავდა ყველას, ვისთვისაც ღვთიშობლის ნილხვდომილი ქვეყანა მათი სამარცხვინო ვნებებისა და ამბიციების დასაკმაყოფილებელი ასპარეზი იყო და არა ის ღვთაებრივი ტაძარი, სადაც მუხლმოდრეკილმა სული უნდა უბერო იმ უძვირფასეს სინმინდევს, აქამომდე რომ მოიყვანა ქრისტესავით ჯვარცმული ერი.

დიახ, თქვენ უკვე თვალსაჩინო, გამობრძმედილი ჟურნალისტი ბრძანდებოდით, როცა 1981 წელს პირველი ლიტერატურული ნაწარმოები გამოაქვეყნეთ გაზეთ „თბილისში“. მას შემდეგ თქვენი ნაკალმარი სისტემატურად ქვეყნდება ქართულ სალიტერატურო პერიოდიკაში, გამოდის ცალკე ნიგნებად.

თქვენი უაღრესად საინტერესო პროზაული კრებულები, ისეთები, როგორიცაა „ნიღბების დღესასწაული“, „სიბრძნე სიცილისა“, „რაფრა მოვიქცეთ ახლა ჩვენ“, „ელამი სარკე“, „ცხოვრება ღიმილით“ ქართველი მკითხველის ცხოველი ინტერესით სარგებლობს. ამ კრებულებში თავმოყრილია ერთი შეხედვით თითქოს მეტისმეტად ლალი იუმორით გაჯერებული ფელეტონები, ნოველები და მოთხრობები, რომლებშიც დაკვირვებული მკითხველი ჩვენი ნაცრისფერი ყოფის არსსაც ჩანვდება და იმ გაუგონარ სიმახინჯეებსაც შეამჩნევს, რასაც ასე დაუნდობლად ებრძვით ქართული სულით, ქართული პატიოსნებით სავსე შემოქმედი. ეს ტექსტები მართლაც რომ ქვეყნის ჭირისუფლის სულის ქურაშია ნაწრთობი, მათში მხოლოდ ჯანსაღი და უბოროტო იუმორია დავანებული და მრავალფეროვნებით, სისხარტითა და უზადო, თავანკარა ქართულით გვხიბლავს ყველას...

ნაყოფიერი საზოგადო მოღვაწე ბრძანდებით. მთელი ცხოვრება ერთგულად და მუხლჩაუხრელად ემსახურებოდით თქვენს საესავ სამშობლოს. იყავით თელავისა და ახმეტის რაიონული გაზეთების მთავარი რედაქტორი, გაზეთ „თბილისის“ განყოფილების გამგე, გაზეთ „რესპუბლიკის“ ლიტერატურული მუშაკი, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ განყოფილების გამგე...

თქვენი ღვანღი და რუდუნება სათანადოდ დაფასდა. მონიჭებული გაქვთ დამოუკიდებელი საქართველოს ერთ-ერთი უპირველესი ჯილდო – ღირსების ორდენი. ლაურეატი ბრძანდებით ისეთი უპრესტიჟულესი პრემიებისა, როგორიცაა ნიკო ნიკოლაძის და სერგეი მესხის პრემიები.

ძვირფასო ოთარ!

ყოველთვის გვხიბლავდით პირდაპირობით და სიმართლის თქმის უნარით. ამის საუკეთესო ნიმუშია თუნდაც ის ფაქტი, რომ შემდგენელი და რედაქტორი ხართ ცნობილი სახელმწიფო მოღვაწის მედეა მეზერმვილისადმი მიძღვნილი მოგონებების კრებულისა, რომელშიც თვალნათლივ გამოჩნდა, რომ საბჭოთა ეპოქის არაერთ პარტიულ მუშაკთან ახლოსაც ვერ მივა თანამედროვე საქართველოს ზოგიერთი მესვეური...

კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს საყვარელ კოლეგას, უღალატო ძმასა და მეგობარს, დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და კვლავაც სამშობლო ქვეყნის უებრო სამსახურს გისურვებთ.



## გაადლობ!

„ცხოვრება ღიმილით“.

ასე ჰქვია ოთარ ხუციშვილის სულ ახლახან გამოცემულ პროზაულ კრებულს.

ცხოვრება ღიმილით.

ასე ჰქვია ოთარ ხუციშვილის 85 წელს, რომელიც მან ქართული ცის ქვეშ გაატარა და მთლიანად მშობელი ქვეყნის, მშობელი ხალხის უებრო, პატიოსან მსახურებას მიუძღვნა.

ეს 85 წელი დიახაც რომ სამშობლოს ერთგული შვილის, მისი ჭირისუფლისა და მეციხოვნის 85 წელია.

ამ 85 წელმა დაიტია უამრავი ტკივილი, დარდი, ვაება ქრისტესავით ჯვარცმული ქვეყნის ბედის, უფრო სწორად, უბედობის გამო, ამ 85 წელმა ყველას თვალნათლივ დაანახა, რომ ოთარ ხუციშვილი, ჩინებული შემოქმედი – მწერალი და ჟურნალისტი ერთი საუკეთესო მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება ქვეყნის სიყვარულმა დიდი საერო საქმეები გაკეთებინოს, როგორ შეიძლება ხმალამოღებული იბრძოდე იმ სინმინდებების, იმ იგავმიუნვდომელი სიკეთეების დასაცავად, რომელიც ჩვენმა დიდმა წინაპრებმა საუკუნეების უღრანებში გამოატარეს და მოსავლელად, საპატრონოდ ჩვენ დაგვიტოვეს. ბატონი ოთარი ხომ ის შემოქმედი, რომელიც თავისი კალმით, ბასრი და დაუნდობელი კალმით მართლაც დღისით თუ ღამით გუშაგობს სამშობლოს და ქართველობას ახსენებს იმ ფასეულობებს, რომელთა დაცვა დიახაც რომ ყველა ჩვენგანის ვალია.

მამული, ენა, სარწმუნოება – დიდი ილია მართალის მიერ მოხმობილი ტრიადა გულის ფიცარზე აქვს ამოტვიფრული ბატონ ოთარს და ჩვენც ამისაკენ მოგვინოდებს, მოგვინოდებს, რომ ჩვენი საესავი მამული, მისი სისხლით გაპოხილი წარსული და აწმყო, მისი მომავალი საჯიჯგნად არ დავანებოთ გავეშებულ, პირსისხლიან მტერს, გარეულსა თუ შინაურს, დავიცვათ ჩვენი სათაყვანო ქართული, დავიცვათ რუსთველისა და ილიას ენა, დავიცვათ ქართული ვაზი, ქართველთა მარადიული არსებობის სიმბოლო, დავიცვათ ის საარაკო ტრადიციები, რომლებმაც აქამომდე მოიყვანა ივერთა მიწა...

ბატონო ოთარ!

შენი კალამი მუდამ მამულის სამსახურში იყო და დარწმუნებული ვარ, კიდევ დიდხანს იტრიალებს იმ უთანასწორო ბრძოლის შუაგულში, რასაც ქართული სულიერების ბასტიონების დაცვა ჰქვია.

გმადლობ, რომ არსებობ და შენი არსებობით ჩვენც გვაგულიანებ, ვიცხოვროთ მამულისთვის, ვიცხოვროთ ისე ლამაზად და შეურყვნელად, როგორც შენ გიცხოვრია ამ ოთხმოცდახუთი წლის განმავლობაში ჩემო მამაცო, შეუდრეკელო, შემართულო და მუდამ ღიმილიანო უფროსო მეგობარო.

გმადლობ!

ზაალ ზოტკოველი

## არ შედრკე, არ ჩაიშუსლო!

ოთარ, ძმაო და მეგობარო ჩემო, ამ საიუბილეო მოკითხვის ბარათს აღდგომის ბრწყინვალე შვიდეულის დღეებში გინერ, ადამიანური ბრწყინვალეობა არ გაკლია, შევთხოვ უფალს შენს მზეგრძელობასა და ჯანსაღად ყოფნას! ყველა გიცოცხლოს, ვინც ამ სამზეოზე გეგულება! მათი კარგად ყოფნით გაიხარე!

ნათელი დაადგეს შენი დიდებული დედ-მამისა და შენი ძვირფასი მეუღლის, ქალბატონი ვენერას სპეტაკ სულელებს!

ძმაო ოთარ, ყმანვილკაცობაშივე გიქებდნენ ოჯახიშვილობას, მართლაც, სანაქებო მშობლები გყავდა. ხუციშვილების ოჯახში სტუმრობა გვიყვარდა, გვიხაროდა. იქ პატიოსანი შრომის პატივისმცემელი ადამიანები გვეგულებოდნენ. განსაკუთრებით სასიამოვნო იყო დედაშენის, ქალბატონი ნინოს ტკბილი ქართული. როცა მას ვუსმენდი, გოგლა ლეონიძის დეიდა მაიკო მახსენებოდა „ნატურის ხიდან“. თქვენს სტუმართმოყვარე ოჯახში მარნის კარი სულ ჭრიალებდა, სტუმარი შენს მშობლებს ღვთის წყალობად მიაჩნდათ.

შენს მშობლიურ სოფელში, რუისპირში ბავშვობიდანვე ეზიარე ბუნების მშვენიერებასა და სილამაზეს, აქვე შეიტკბე და შეისისხლხორცე შენი წყალჭალის ხმები.

ძმაო ოთარ, შენი დაბადების 85 წლისთავის საიუბილეო თარიღი ჩვენმა საერთო მეგობარმა, შენსავით კალამმოუღლემა ჟურნალისტმა და მთარგმნელმა ზურაბ ლომიძემ მახარა, თან იქვე მოაყოლა, ოთარ ხუციშვილმა კიდევ ერთი საინტერესო წიგნი გამოსცა, ასევე საინტერესო სათაურით — „ცხოვრება ღიმილით“.

ჩვენ მაშინ ბევრი ვისაუბრეთ შენს პიროვნულ ხიბლზე, ჟურნალისტურ და ლიტერატურულ სამწერლო წარმატებებზე. ბოლოს დასძინა: მისი საძმო შევიკრიბეთ, მივიღვართ, სახელიანი იუბილე უნდა მივულოცოთ, დღეგრძელობა და კარგად ყოფნა უნდა ვუსურვოთო, დამპირდა, შენს კეთილ სურვილებს ყველას სრულად გადავცემ, ერთ სიტყვასაც არ გამოვაკლებო. შენსავით ალალი კაცია ჩვენი ზურა, უფალმა ორივენი უვნებლად გამყოფოთ.

შენს შესახებ „საქართველოს რესპუბლიკის“ ფურცლებიდან უფრო მეტი შევიტყე, „რესპუბლიკელებს“ მხოლოდ კარგი გაზეთის კეთება კი არა, ღირსეული ადამიანის, კოლეგისა და თანამოაზრის ღირსეულად დაფასებაც სცოდნიათ. ბარაქალა მათ ვაჟკაცობას!

ძმაო ოთარ, მაღალი და მაღლით მხედი კაცი ხარ. ვიცი, ორლესული კალამი არასოდეს დაგიჩლუნგდება, უკეთურებსა და ქვეყნის მოღალატეებზე პირდაპირ ბრძოლით მიდიხარ, ხმალ-ხმალ ყველა ბრძოლიდან გამარჯვებული გამოდიხარ. გამარჯვება და კარგად ყოფნა ნუ მოგიშალს მამაზეციერმა!

ოთარ ძმაო. შენ ხომ თელავში აიდეგი ფეხი, როგორც საზოგადო მოღვაწემ და ნიჭიერმა ჟურნალისტმა. აქ დაიმკვიდრე ნამდვილი ქართველი ვაჟკაცის სახელი, შენი ადგილის დედა პატარა კახის სატახტო ქალა-



ქი თელავია. ახლა აქ ფრთაგაშლილი გაზაფხული ფრიალებს, მწვანე ჯეჯილზე მზეკაბანი დავლურს უვლის, ფრთებგაშლილი მინდვრები სათის ხალიანი ყაყაჩოებითაა აბდღვრიალებული, ბროლა ნიავი ქუჩა-ქუჩა ალუბლებს სულ თეთრად პენტავს, ჰაერი გაზაფხულის სხივმფინარი ეფემერების სურნელითაა გაჯერებული. ყველგან ღვთის თვალი ტრიალებს.

შენი ადგილის დედა, შენი სამეგობრო გეძახის, ჩამოდი, მზიანი შემოდგომა უნდა მოგილოცოთ, კაცურკაცობის ღირსებით შეჭედილი 85 წლისთავი.

85 წელი... აუ, რამოდენა დრო გასულა!

არ შედრკე, არ ჩაიმუხლო, ქვეყანას შენისთანა კაცები სჭირდება!

აქაურმა სამეგობრომ თელაველ ინტელექტუალთა საკრებულოს საპატიო წევრად აგირჩიათ.

გილოცავ! გაიხარე!

*შენი სიყრმის მეგობარი,  
თელავის ინტელექტუალთა  
საკრებულოს სახელით  
ლამარა იანვარაშვილი*



## გამონათება შენი კალმისა...

*ჩემს მეგობარსა და ძმას ოთარ ხუციშვილს მხურვალე გულით ვულოცავ,  
სიბრძნისა და გამოცდილების მწვერვალზე, საიუბილეო თარიღს*

გულზე შემოგრჩა  
დარდის იარა,  
მუდამ —  
მამულზე ფიქრით  
ივსები...  
მეფე ხარ, —  
დასტურ,  
ტახტით კი არა,  
შენი სიბრძნით და  
შენი ღირსებით...  
წლები მოგდევნ  
ერთგულ მაყრებად,  
მეუფეო —  
ნაღდი სიტყვის  
აღმისა...  
საუკუნეებს  
სხივად გაჰყვება —  
გამონათება  
შენი კალმისა...

**ფარნა რაინა**





მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურული კახეთი“ და ჟურნალ „ოლე“ რედაქცია 70 წლის იუბილეს ულოცავენ უნიჭიერესა და პიროვნული ღირსებებით გამორჩეულ ადამიანს, ქართული მწერლობის მოამაგეს, ქუთაისის სამწერლო ორგანიზაციის თავკაცს, თელაველი მწერლების დიდ მეგობარს, — ბატონ თეიმურაზ ლანჩავას; რომლის შემოქმედებას კახეთშიც მრავალი თაყვანისმცემელი და დამფასებელი ჰყავს. დარწმუნებულნი ვართ, რომ ბატონი თეიმურაზი, კიდევ არაერთი წლის მანძილზე გაამდიდრებს ქართულ ლიტერატურას მაღალმხატვრული ნაწარმოებებით.

**ნაღღო, –  
ბაჯაღლო ქართველო!..**

*იუბილარს, — დაბადებიდან 70 წლისთავისათვის,  
დიდ ქართველს, დიდ პოეტს, პროზაიკოსსა და  
დიდ მეგობარს — თეიმურაზ ლანჩავას.*

რა ვთქვა?..  
რა გითხრა? —  
სადარი?..  
შენი კაცობის  
ზეიმის?..  
არავინ იტყვის:  
სად არი? —  
შენს ნაკვალევზე  
მზე ივლის!..

მეც გადაგიხდი  
ძმურ ვალებს, —  
ვიცი,  
ჩემს სალამს  
ელი და...  
მოგესალმები —  
მხურვალედ,  
ტურფა ალაზნის  
ველიდან...

ველარ გძლევს  
დროის —  
მდევარი,  
უფლის ნათლულო,  
ძამია,  
ხან, —

ერთი წამი —  
დღე არის,  
ხან, —  
საუკუნე —  
წამია...  
სიბრძნის,  
სიკეთის,  
მთესავი —  
ამარგალიტებ  
სტრიქონებს,  
შენს —  
ყოველ სიტყვას, —  
მზესავით,  
ვეფერებით და  
ვიკონებთ...


ფიქრი წვა არის, —  
წვა — მითა,  
გულს აძლევ —  
ფიქრთა  
თარეშებს...  
არ გიცხოვრია —  
წამითაც,  
მამულზე ფიქრის  
გარეშე...

გნებავს: სიტყვების  
ბადაგით,  
ლექსი —  
დახუნძლო,  
ართველო,  
გიდგას დღეები —  
სადაგი,  
ნაღღო, —  
ბაჯაღლო  
ქართველო!..

ზე — არის  
მზე და...  
ქვე — ყანა,  
გაქვს:  
სიყვარულის  
ბეგარი...  
სუნთქვას რომ უძღვნი —  
ქვეყანას,  
აი, —  
კაცობაც  
ეგ არი!..

**ზარნა რაინა**  
**17. IV. 2017**  
**თელავი...**





რეზო ადამია

6



სიამოვნებით წარმოგიდგენთ რეზო ადამიას ახალ ესეს „დაუოკებელი სულბობოქრობაა „მერანი“. როგორც რეზო ადამიას ნებისმიერი ნაკალმარი, ეს ტექსტიც გამოირჩევა ორიგინალობითა და მოვლენათა ახლებური გააზრებით. გთავაზობთ სახელოვანი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, აკდემიკოს როინ მეტრეველის გამოხმაურებას რეზო ადამიას ესეზე.

სულისკვეთება განწირულისა

სიამოვნებით გავეცანი გამოჩენილი მხატვრისა და მწერლის რეზო ადამიას მეტად ორიგინალურ ესეს „დაუოკებელი სულბობოქრობაა მერანი“. აქ არის მეტად თამამი მცდელობა — ახლებურად დაინახო და ნაიკითხო გენიალური ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანი“. ეს ნარკვევი არ წააგავს არც ერთ შეფასებას, რომელიც „მერანის“ მიმართ გამოითქვა. ეს სრულიად სხვა კუთხიდან, კოსმიური მიუწვდომლობიდან დანახული ქმნილებაა. მისი ავტორი უფრო მხატვარია (ეს ასეც არის რეალობაში), ვიდრე მწერალი — ლიტერატურათმცოდნე.

რეზო ადამია თავისი ღრმანვდომით მიიჩნევს, რომ პოეტურ „ლექსაზრად“ მოვლენილი ნიკოლოზ ბარათაშვილის ქმნილება, ვან გოგის, ფიროსმანიშვილის, სეზანისა და პიკასოს ნაღვანთა დონის ნაწარმოებია. ავტორის აზრით „მერანი“ სივრცეში გაჭრილი მარად მებრძოლი წინმსწრაფი უმძიმესი მარტვილობაა შეუცნობელ უკიდვგანობაში. რეზო ადამია ასაბუთებს, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანი“ თავის მაღალი დონით არ ჩამოუვარდება შედევრებად აღიარებულ „ჯოკონდას“, ტიციანის „დანაიას“, ბოტიჩელის „ვენერას დაბადებას“, რემბრანდტის „მოხუცი ქალის პორტრეტს“. ესეს ავტორი ხაზს

უსვამს, რომ „მერანი“ არამინიერი, კოსმოსური სისხლმჩქეფარი მაჯისცემია („კვნესა გულისა, ტრფობის ნაშთი მივცე ზღვის ღელვას, და შენს მშვენიერს, აღტაცებულს გიჟურსა ლტოლვას!..“). ორიგინალურია ავტორის მიერ „მერანის“ ლექსტწყობის შეფასება: „მერანი“ გამორჩეულია უჩინარ ფორმათა მოხმობით, ტეხილ ხაზთა და მკაცრ კონტრასტულ ფერ-ფორმათა მოძრაობის უძლიერესი ანუ მაღალი ტექნიკით. ავტორი გრძნობს ნაწარმოების გეომეტრიულ ფორმათა კომპოზიციურ წყობას და კუბისტური მიმდინარეობის ლექსად მიაჩნია.



რეზო ადამია ფიქრითა და ტკივილით მოუწოდებს ყველას — მაღალი დონის ლიტერატურათმცოდნეს, თუ რიგით მკითხველს ევალება შეიცნოს „მერანის“ ღვთიური, თვალთუხილავი და გონით მიუწვდომელი მაღალმხატვრობის მთლიანობის კოსმიური უფაქიზესი აზროვნების არსი.

რეზო ადამია თავის, კვლავ გავიმეორებთ, ორიგინალურ და ემოციურ ესეში შესტრფის ნიკოლოზ ბარათაშვილს და მის უკვდავ ქმნილებას, ამ უმძიმეს გოლგოთაგამოვლილ ჯვარს და

ბედნიერია, რომ „ცუდად... მაინც არ ჩაივლის ეს განწირულის სულისკვეთება“.

როინ მეტრეველი



უსასრულობის უნიკალურ და შორეულ ქმნილებათა ნამსხვრევებჩამოყრილი ერთიანის ჩამოსხმის სვლით, ლექს-პოეზია თვითნებურად მოდის, ანუ წარმოსახვებით მოველინება პოეტს და ცისარტყელა მუზით აღფრთოვანებულს ჯადო თილისმად აედევნება ხოლმე (ზეცათაც ყოფილა მშვენიერებათა დარბევები).

ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიის ერთ-ერთი წმიდათანმიდა დიდების ლეგენდაზე ამალღებული გვირგვინი „მერანი“ უშუალო გამოცხადებაა ღვთიური და ნათელ ლექსად გადმოსვლა, ცისფერი ანგელოზების თანამდეობით.

ვეზიაროთ და, ამ სიახლოვე სივრცეში შემოვ-აბრძანოთ პოეზიის საკვირველი შეკრულ-აკაზმული ცოცხალმყოფელი ზეციურობა...

მირბის, მიმაფრენს უგზო-უკვლოდ ჩემი მერანი,  
უკან მომჩხავის თვალბედითი შავი ყორანი!  
გასწი, მერანო, შენს ჭენებას არ აქვს სამძღვარი,  
და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი, შავად მღელვარი!  
კოსმოსური სისტემის ურთულესი ლექსთფორ-  
მაა „მერანი“.

გენიალური ვან-გოგი, ხომ განუმეორებელი მოვლენაა ფერწერაში, მაგრამ რამდენიმე სურათ-შედეგრი მხატვრისა, უკვე ღმერთია, სურათად ქმნილ-გარდასახული. ასევეა ცეცხლოვან-მზიური „მერანი“, უფლისმიერი საოცრება სულის ლექსად ქანდაკ-შეთხზვა: ყველასგან განსხვავებული, მგოსნის მწუხარე დაღონებულ აღგზნებით აზროვნებათა ქარიშხალური ქროლვით, შორეული მიუწვდომლობიდან გამოსხობილ-მსრბოლელ, ქარბუქად შობილი — კაემწური გამჭოლი არამინიერი ხილვა, რომლის შინაგანი ძრაობა რომელიღაც გალაკტიკის ზნე-სამყაროსეული მოუთოკავი ენერგიის დაუტევებელი სივრცე ბორგვაა...

ღმერთო ჩემო! აქ, როგორი მოვარდნაა ვარსკვლავეთური და მინიერი უსასტიკესი ნიოკ-ლტოლვაა დაუდგრომელი.

გაკვეთე ქარი, გააპე ნყალი,  
გარდაიარე კლდენი და ღრენი,  
გასწი, გაკურცხლე და შემიმოკლე  
მოუთმენელსა სავალნი დღენი!  
ნუ შეეფარვი, ჩემო მფრინავო,  
ნუცა სიცხესა, ნუცა ავდარსა,  
ნუ შემიბრალე დაქანცულობით  
თავგანწირულსა შენსა მხედარსა!

რაა, მოვშორდე ჩემსა მამულსა,  
მოვაკლდე სწორთა და მეგობარსა;  
ნულა ვიხილავ ჩემთა მშობელთა  
და ჩემსა სატრფოს ტკბილმოუბარსა, —  
სად დამიღამდეს, იქ გამითენდეს,  
იქ იყოს ჩემი მიწა სამშობლო;  
მხოლოდ ვარსკვლავთა, თანამავალთა,  
ვამცნო გულისა მე საიდუმლო!

ამ შემთხვევაში ნიკოლოზ ბარათაშვილი კოლხიბერიელი უჩინარი მენსარია, მეფე აიეტის და გრძნეული ღვთივნიჭთსავსე მედეას დროინდელი შორეული მიმქრალ-მბჟუტავი ათასწლებიდან უკვ-

დავების საფეხურებით დღემდე მავალი და გააგრძელებს მხედრულ სვლას, მომავალ უთვალავ საუკუნეებში და შემდეგაც.

გაივლის ათასობით წლები და საოცრება „ჯოკონდაზე“ მაღალი მხატვრულ-ფერწერული ღირსების დიდი ნაწარმოები არ შეიქმნება, რათა ის მარად მიუწვდომლობის ხატია, — ღმერთის და ადამიანის ბუნებისა. ხოლო „მერანი“ სევდიანი, ოდნავ მელანქოლიური, მაგრამ ვაჟკაცური შემტევი მძაფრი სულთ სწრაფვა გოდება-ლექსგალობაა; შეიძლება, დევგმირული გოდებაც იყოს. და, საკვირველება, ყველაფრის დამტევი უფლისა. იგივე ითქმის ვან გოგის პეიზაჟზე „წვიმის შემდეგ“, ნატურმორტ „მზესუმზირაზე“, ან ავტოპორტრეტებზე. უკვდავი ხელოვნების ქმნილების შესაქმნელად თითქოსდა აუცილებელია საუკუნის უახლოესი შემოქმედებითი მიმდევრობები. შემდეგ კი გენიალური ხელოვნების ნაწარმოები, ყველა თუ ყოველგვარ მომავალ მხატვრულ დინებას თავის დიადური გონით და ტიტანური სხეულით უკუ უტევეს და ეთანამედროვება. გაივლის საუკუნეები, ანუ წარმოვიდგინოთ უახლოესი ორიათას ცხრაასი წელი; ხელოვნების მოყვარულნი და ხელოვანნი იტყვიან: ნაიკითხეთ და იხილეთ, თქვენს წინაშეა უხსოვარ დროინდელი დაუოკებელი სულითაზროვნებით მებრძოლი ლექსი და დღევანდელობის უწინარეს ფორმათა მენინავეობა შედეგრი „მერანი“. დიდად ჭეშმარიტ აზრთ განმცდელნო, ღმერთი და „მერანი“ ხომ დაუსაბამოა, როგორც ჰომეროსი, გოეთე, შექსპირი, რუსთაველი, დანტე, სერვანტესი, ბალზაკი, დოსტოევსკი, ვან გოგი, ფიროსმანაშვილი, სეზანი, პიკასო და სხვა მრავალნი. ყველა მათგანი მარად ახალგაზრდაა მზე და ქვეყნიერების მხსნელივით, ანუ რალაც სხვა განსხვავებული კოსმიური ფორმა-მიუწვდომელი წლოვანება-ეპოქაა თუ სამყაროსეული მარადიულობა და მოუშლელი დრო... რომელთაც ვერავითარი ძალა ვერ წაშლის, რათა ვარსკვლავეთის გამაოგნებელი მეხსიერების ფონდებშია ურყევად გამარადიულებული. ამ საოცრება მომთაბარე ქურუმის ნაქადაგარ ლექსქუხილზე, ნაიკითხული მაქვს მრავალი მეცნიერული განხილვა-გარჩევა თუ ფილოსოფიური ტრაქტატები, მაგრამ არსიდან დამაკმაყოფილებელი აზრთ სიტყვა შესადარი გონივრულობა ვერ ითქვა. ან მე, როგორ უნდა დავწერო მიახლოებითი მიმოხილვა „მერანზე“? ის ხომ სიცოცხლით, სულიერებით და მხატვრული აღმავლობით უჯანსაღესი, გამჭვირვალე უსასრულობის ყველგანმყოფი ღმერთია, ლექსაზრად მოვლენილი; რომელსაც თან ახლავს სივრცობრივი დაუსრულებელი ქარიშხალი და ალიონის უსპეტაკესი შუქითაა განათებული. „მერანი“, ზენარული მარადიული მოძრაობის წრის უწყვეტი-აღმავლობის კვანძია, ზოგჯერ უხილაობიდანაც საკმაოდ შორეული. ამ შემთხვევაში ბრძენი ქურუმი ნიკო, მორჩილი, შეწირული, დამყოლი აღვლენილი და უნიჭიერესი შეგირდია მარადიულობისა და გულ-სულმართალი შემტევი-ამხედრებული სიყვარულის გენიაა. „მერანი“ სივრცეში გაჭრილი მარად მებრძოლი წინმსწრაფი უძძიმესი მარტვილობაა შეუცნობელ უკიდევანო-







ბაში, და ძლიერ ქარიან ამინდში, გაბრაზებული, ჩამავალი, ალისფერ-მკვირცხლი მზესავითა... უთუოდ რომ სხვას არავის არ ანდობდა ყოველთა უზენაესი შინაგანი ურთულესი პოეტური ფორმის, აღუნერე-ლი მოძრაობის, ბრძოლის და კოსმოსური მოიერიშე შინაარსის შედეგის მობრძანებას, ჩვენს მრავალ-სახოვან, უძლიერესსა და უუცნაურეს პლანეტაზე. „მერანი“ ამჟამად ის მხატვრულ-ლიტერატურული ქმნილებაა, რომელსაც თანამედროვეობის მიმდევრობითი სკოლა და გამოკვეთილი რაობის სახელი არ გააჩნია. მხოლოდშობილი, უფლის, გამაოცებლად მიუწვდომელი ვარსკვლავეთური გენი და ლეგენდა მოძღვარ-ადამიანის სრულიად გამონაკლისი მარადიული მრავალფორმიანი ლექსად ანთებული გენიაა. უდროონი და მცდარი მეცნიერნი, როცა იტყვიან თავიანთ ზედაპირული უიმედობით დაღლილ-აბსურდულ გააზრებებს, ღმერთი მოკვდაო (ეშმაკს-ეტაკოს და); მაშინ მედროვე ათეისტები უკეთურად ხარობენ და თავს იმართლებენ. მართლაცადა, დედამინის კონტინენტთა აღმსარებლობებში რწმენათა იგნორირებები რომ მოხდეს და ვითომ ადამიანებმა მოლატურად ზურგი აქციონ ერთსა და მთავარ დიადს, მაშინ უფალი, ფერწერული სურათ „ჯოკონდათი“, ტიცციანის „დანაიათი“, სანდრო ბოტიჩელის „ვენერას დაბადებით“, რემბრანდტის „მოხუცი ქალის პორტრეტით“, გოეთეტი, შექსპირით, სერვანტეს-დანტეტი, ომარ ხაიამით და შოთა რუსთაველით; ფიდიასის ქანდაკებებით, მიქელანჯელოს, ბურდელის, როდენის და მაიოლის ნაქანდაკარი უიშვიათესი ქმნილებებით და ათასწლეული არქაული შედეგრებით მარადიულად ხომ ღმერთია მათში?! საიდანაც გამუდმებით იბადება ქვეყნიერების ზეენარული სულ-გულ-გონება და უსაზღვრო ენერგია უსასრულობაში გადის.

„მერანი“ უფლის მიუწვდომლობითი სწრაფვა, ჭეშმარიტი ზნეობა და მართალი ქმედებაა...

ღმერთის ყველაზე დიდი ღვანლი, უკვდავ სამყაროს შექმნასთან ერთად, სიცოცხლესა და ხელოვნება-მეცნიერებაშია; სადაც სამივეთგან ნანარმოების სულის სამარადისო სამყოფელია, სიცოცხლეში დროებით-გარდამავალი, ხოლო შედეგ ქმნილებაში და მეცნიერულ სასწაულებში — უსასრულოდ...

აუცილებლად უნდა ვახსენოთ ხატთა მზე! ვლადიმირის ღვთისმშობელი ყრმით. იესო ქრისტეს დროინდელი თქმულებით თუ ისტორიკოსთა გადმოცემით, ლუკა მოციქულის მიერ შექმნილიაო. აგრეთვე გენიალური რუსი ხატმწერის ანდრეი რუბლიოვის, მართლმადიდებელთ მშვენება სამებით. ბიზანტიური მაცხოვრის უკვდავება ხატი, ქართული უნიკალური ხახულის ხატი: ყინწვისის ანგელოზი და საყდარ უბისას დამიანეს ფრესკები: საოცრება ფეოფან გრეკის და კიდევ რამოდენიმე ქმნილებებით — ღმერთი მარადიული და დაუსაბამოა, რათა ყველა მათგანში ქვეყნიერების მსხნელის, დაუსრულებელი ბუნება, სახე და სუნთქვაა.. მზედქმნილ — „ჯოკონდას“, რემბრანდტს, სეზანს და პლანეტის სუფთა ჰაეროვან-ვანგოგის რამდენიმე ანდამატური ქმნილების სიცოცხლე პეიზაჟს ადამიანები ბოლომდე ვერასოდეს ჩასწვდებიან. სასიამოვნო ზოგადი განხ-

ილვეები კი იქნება; მზე ჩალვრილი ავტორები თავიდან რომ გამოგვეცხადონ, ისინიც კალამს თუ ყალამს დადებენ და გაოგნებულნი უძირო ცას ისევ ახედავენ, უფრო მარტივად ნასაკითხად, მაგრამ უფლის მიერ ამალღებულ სწავლა-მითითებებს ვერ ასცდებიან. ყველა აქ წარმოდგენილი ზეციური მეხსიერებიდან გამომხობილი ქმნილებებია, მრავალი საუკუნის თუ ათასწლეულის ადამიანებს, დაუთვლელ ჯეროვანი, საფიქრალ-საზრუნავ-სააზროვნო რომ გაგვიჩინეს. საოცრებათა შედეგის მზერა, მოსმენა თუ ნაკითხვა სიამოვნებაა, აზრთა ამალღებაა, თანვე შენელებული, განყენებული სულიერ-გონებრივი სიმძაფრეა. ბუნების და ხელოვნების ქმნილება უსაზღვროდ გატკობს, ხოლო გაჯერებულ-დამატებული ღვთიური ხედვით და გონებრივი სიღრმეებით ზეციურად მძიმედ და საამოდ გვტვირთავს; ჩვენივე ადამიანური სისუსტეებიდან გამომდინარე. სწრაფვა, დინება, სტიქიური ჯიბრი, კოსმოსური მოძრაობა, შეუპოვრობა „მერანი“, მრავალ ჩვენთაგანის ოცნება — ხილვებ-ფანტაზია, წარმოსახვა ზეციური მოვლენაა. შეუღწევლობა უსასრულობის კედელ-მწვერვალი „მერანი“ ადამიანის ფიქრ-აზროვნებაზე ბევრად მაღალია, სრულად შეგრძნებითი მიახლოების მიუღწევლობაა და ვარსკვლავეთის ცის გუმბათზე მუქგანსხვავებულ ფერებში მოხატულ-მინერილი ლექს შედეგია: ისევ უშორესი და მიუწვდომელი, მაგრამ ჩვენსკენ მუდამ ჟამს მსწრაფლმავალ-მკურნალ-მომდინარი, როგორც ხშირად ვფიქრობ და ვწერ, არაფერი იკარგება ქვეყნად და უკვალოდ არ ქრება. სამყაროს ურთულეს მოვლენათ მდინარებათა და ბნელეთის ქარიშხლის გამკვეთ-აღმწერელ, მოციქულთა სწორ მგოსანს, ღვთიურ ნიკოს, მარტოობის მბორგავ მწვერვალ ლექსი „მერანი“ სამყაროს მეხსიერებას მოძრავ სარკედ დაუბრუნდა ადამიანური გენიით დამშვენებულ-გაჯერებული და ღვთივდენი ისევ იქ ინახება უცნაურ პირვანდელში ყოველგვარი აზრთა თუ მოვლენათა მტკიცებულების გარეშე, მგოსანს ოლიმპოს მთის ღმერთთა პანთეონის, მთავარ სულიერ მოძღვართაგანის და უთუოდ რომ დიდი ჰომეროსის ღვთიური ხელდასხმაც ექნება მიღებული. მჯერა, ყველა საწმინდობათა ლექსის-საცავ-ოქროს ფონდებში მოიხილვება, პლანეტის მძაფრ მოვლენათა ფიქრდარდ გახელება „მერანი“ ზეგონებრივი მძაფრი უხილაობის ფორმათა უმთავრესი საწყისის კეთილისმყოფელ ჯადომეყრილი, უფრო ქართლის, ზაფხულის ცა მოღრუბლული, სიგრძე სიგანეზე განოლილი მუქი ლურჯი მთისფერი პოეზიის მარადიული მორბენალი შუქია... პოეტურ, ღრმად განმცდელ ძეგლ „მერანზე“: მხოლოდ ამდაგვარად უნდა ვიფიქროთ და შეუძლებლობის დაძლევით მიუწვდომლობის ზეუცხოობა გავითავისოთ. რადგანაც ჩვენი ხედვა და გონება, მზე-ქმნილების იდუმალ ხილვებს და შუქს დამაჯერებლად ვერ სწვდება, მაშინ ჭეშმარიტი ფაქტია, რომ ქარგრიგალთ-მკვეთავი ლექსი, ყოველგვარი შეგონების გარეშე, უთუოდ რომ ღვთიურია.

სამართლიანი აზრთ ჯანყი ითხოვს სულიერად, გულ-გონებით, უფრო მჭიდროდ მივუახლოვდეთ ლექსის არამინიერ, კოსმოსურ სისხლმჩქეფარ მა-



ჯისცემას:

კვნესა გულისა, ტრფობის ნაშთი,  
მივცე ზღვის ღელვას,  
და შენს მშვენიერს, ალტაცებულს,  
გიჟურსა ლტოლვას!  
გასწი, მერანო, შენს ჭენებას არ აქვს სამძღვარი,  
და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი, შავად მღელვარი!

ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში,  
ჩემთა წინაპართ საფლავებს შორის;  
ნუ დამიტროს სატრფომ გულისა,  
ნულა დამეცეს ცრემლი მწუხარის, —  
შავი ყორანი გამითხრის საფლავს  
მდელოთა შორის ტიალის მინდვრის, —  
და ქარიშხალი ძვალთა შთენილთა ზარით,  
ღრიალით, მინას მომაცრის!

სატრფოს ცრემლის ნილ მკვდარსა ოხერსა  
დამეცემიან ციურნი ცვარნი,  
ჩემთა ნათესავთ გლოვისა ნაცვლად  
მივალალებენ სვაენი მყივარნი!  
გასწი, გაფრინდი, ჩემო მერანო,  
გარდამატარე ბედის სამძღვარი,  
თუ აქამომდე არ ემონა მას,  
არც ან ემონოს შენი მხედარი!

ღვთისუნთქვა! სხვადასხვა შეგონებათა და განწყობილებათა ვრცლად გაშლით ხშირად ვიმეორებ და ყოველთვის ვიტყვი, ჯანსაღი ფანტაზიის, მთლიან ფიქრთა, შეგრძნებათა მოზღვავებულ ვარსკვლავეთურ ენერგიათა, გარდამავალ შუქჩრდილთა ჭიდილი, მრავალფეროვანი და ნიუანსური — ჩაუნვდომლობა და გამაოცებელი განცდებითი აზრთმიუნვდომლობაა. ამღვრეულ-ატეხილი ზეციური, გახელებულ გიგანტურ მთიანეთურ ფორმათა სწრაფვაა, ლექსად თქმული, შავ ლაქებად მღელვარი სისხლშეუდებელი სივრცის გზებით ალტკენა, ქუხილთ გადავლა — „მერანი“, რომლის სულიერ გახელებულ ფორმათა განმარტება თემატური გაშლით, რეალურისკენ მავალ მითოლოგიათ მპყრობელია, არარსებულისგან ძლიერ დამატყვევებელი და თანაც ხილულ-რეალური, რომელიც უტყუარი-მართალი აზრთ დასტურია, მხატვარ პაბლო პიკასოსავით, ირეალურიდან გამოსხმობილი ფერ-ხაზებით, თემისკენ სწრაფვის რეალურ აზრ-ფორმათა მოტანაა. დღეს რამდენიმეჯერ გადავიკითხე ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსი „მერანი“ და ბოლოს განსხვავებულგანწყობილებიანი მხატვარ მუნკის ღრმად ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური კომპოზიცია უკიდურესობის „კივილი“ ბნელეთის სიღრმიდან ამომიტივტივდა. მხატვრის ეს სურათი შესრულებულია ძალიან უბრალო ფერთა მონასმებით, მაგრამ ფერწერის ფარული და მარტივმეტყველი, უფრო ქვეცნობიერ ფორმათა გენიით, წარმოუდგენელი მძაფრი ხასიათ-მოტივია შექმნილი და სურათ შედევრად ალიარებული. ხოლო „მერანი“ მოსვლაა ბევრად უფრო ღრმად, უჩინარ ფორმათა მოხმობით, ატეხილ ხაზთა და მკაცრ კონტრასტულ ფერ-ფორმათა მოძრაობის უძლიერესი ანუ ძალიან მაღალი ტექნიკით; ჟინ-გულით დაუოკებელი სრბოლა ქართა და მათათა შემტვევი გამაოგნებელი შინაგანი ამხედრებული მოუთვინიერებელი

ენერგიით, რითაც სრულიად განსხვავებული განწყობილების ფერწერულ-ფილოსოფიური უმძაფრესი ლექსია გამოძერწილი. დააკვირდით, დაინახეთ, შეიგრძენით, ალიქვით და უმალ ნაწარმოების გეომეტრიულ ფორმათა კომპოზიციურ წყობას შეიგრძნობთ, თითქოსდა კუბისტური მიმდევრობის ლექსია „მერანი“. არაა გასაკვირი, კუბისტებმა ხომ ზეციურ უხილავ სამარხებში მოიპოვეს ყოველივე და ნიკოლოზ ბარათაშვილი ვისზე ნაკლები სივრცის უთვალავ უცხო ფორმათა მადიებელია?! აქ დროის ფაქტორი არ მუშაობს, უფრო უსაზღვრო გენია ყოვლის მყოფელ-მპოვნელი... ხაიმ სუტინი გახლავთ უდიდესი ებრაელი ფერმწერი; პიკასოს, მოდილიანის, უტრილოს, შაგალის, კანდინსკის, მალევიჩის, ხუან მიროს დიუფის, დერენის, მატისის, ვლამინკის, ვანდონგენის, რენუარის; მოქანდაკეების: ანტუან ბურდელის, მაიოლის, დესპიოს, ცატკინის და მურის თანამედროვეობის მხატვრულ-ავარდნილი ველური ჯადო ფორმათა მომთვინიერებელი. სუტინის აღმგზნებ-აღმტყენი ფერწერა, ოდნავზე მეტად არეული ფერ-ხაზ-ფორმათა და მრავალ ტონალური ქაოსისკენ სასწაულმოქმედი ფუნჯით წერითი სწრაფვაა, რითაც სურათის სიბრტყეზე საკვირველ ფერთა წესრიგს აღწევს, უძლიერესად აჟღერებული ფერი და ტონი თითქოსდა ცხელი ლავასავით გადმოდუღს ნახატის სიბრტყიდან და აჰა-საცაა, დაამსხვრევს-დაღენავს ჩარჩოს... მხოლოდ ამდაგვარი მიდგომით, გააზრებით და შედარებებით შემოძლია ტატოს, თანამედროვე მოდერნისტულისკენ მავალი ფერწერული საოცრება ლექს „მერანის“ ახსნა, ან ჩემეული დამოუკიდებელი ინდივიდუალური აღგზნებით-ხედვითი გულმართალი წარდგენა.

მოკრძალებული თხოვნაა ზოგიერთ ლიტერატურულ მეცნიერულ-ისტორიულ მიმომხილველთა მიმართ: „მერანის“ ურთულესი შინაარსის, თემის, იდეის, უტეხი ფიქრის ფაბულის სიმბოლოთა და მთლიანი ნაწარმოების ფსიქოლოგიურად დამუხტული განწყობილების სხეულ ორგანიზმის, საკვირველი კონკრეტულ-სიბრტყე-ფორმიანი არქიტექტონიკის შინაარსობრივ განხილვა-გარჩევისას, უბრალოდ, ან ჩვეულებრივად გამშლელ-გამრჩეველთ, ზენაარისგან ევალებათ, არ დააზიანონ შედევრ „მერანის“ ღვთიური, თვალთ უხილავი და გონით მიუნვდომელი მაღალმხატვრობის მთლიანობის კოსმიური უფაქიზესი აზრთდინების გარსი, რომელიც უფალზე ჭეშმარიტი ლოცვასავით ნაზი და მიუკარებაა. მოვერიდოთ ამ ღვთის ნაფიქრალთან სითამამეს, თუმცა თავისუფალნი კი ვართ! მაგრამ... აქედან, ამ საუბრიდანვე ვიტყვი „მერანის“ კონსტრუქციული რითმათ წყობა, დაუდგრომელ-ზნეობრივი სიმტკიცე, აზროვნება, ვარსკვლავეთური ხედვა ძალიან თავისებურია და თავად ავტორის სხვა ნაწარმოებთაგანაც მკვეთრად განსხვავებული. ლექსში მთლიანი ურღვევი ფორმათა მონოლითური ზნეობრივ-გონებრივი ჩამოსხმა, მკვირივი ქანდაკებურობა და ეგვიპტური პირამიდების, მოგანგაშე მზის ჩასვლისას მათივე ჩრდილებში სილუეტური იდუმალტევადი გამოსახულებებივითაა: ანუ უდიდესი არქიტექტორის ფრანგი ლე-კორბუზიეს გენიალური ეკლესიასასახლეთა თანამედროვე დამუხტულ ფორმათა





გამოსახულებებს გვაგონებს. ქმნილება „მერანში“ აზრთ შემარყეველი შიდა მრავალშრიანი განწყობილებაა უკიდურესი: უცხო ძალებს განწირულივით ბნელეთის ლაბირინთებში შეყავხარ და მხსნელის ლაზარეს აღდგინებასავით სამზეოზე განახლებული ისევ ამოყავხარ, აქაა გენიის ჯადო კოსმოსური იდუმალება...

უხილავ, თითქმის არარსებულ ჩვენს ირგვლივ აბსტრაქტულ მოხეტიალე ფორმათა სასწაულებზე ხატვა, თან ზემხატვრულობით, უკვე უსასრულობაში გასვლა და უფალთან სრული მიახლოებაა. „მერანი“ თითქოსდა მრავალწლოვანი, წითელი ღვინის უტყვევლობ-გახელებაა საუკუნოვან მდუმარე ქვევრში...

უფალს ეახლა ნიკო – მგოსან მოვლენა! ოთხფეხა მითოლოგიური არსება ახალშობილი ნორჩის ტყავ-ეტრატით. ადამიანის ურთულესი ბუნების ბორგვა, ხეტიალი — სწრაფვა გამოცხადებაზე ლექსად აღვლენილი ფილოსოფიური აზრთ წესრიგ „მერანით“. ანუ მარად მოძრავი, უფსკერო და უხილავი ზეცის ფურცელზე, დრამატულ მგვრინავ ხმაზე ამოთქმული საამოდ აღმგზნები და აჩქარებულმუსიკალური დემონმოდარაჯე გამაოგნებელი ხელთუქმნელი აზრმდიდარ-მკვრივკუნთოვანი კომპოზიციანა...

ისევ მშვიდად გავალოთ უხილავი კარიბჭე შედეგისა და მორიდებით შემოვებრძანოთ ლეგენდარული მერანის დაუდეგარ-შეუპოვარი ლეგიონი...

დაე მოვკვდე მე უპატრონოდ მისგან ოხერი!

ვერ შემაშინოს მისმა ბასრმა მოსისხლე მტერი!

გასწი, მერანო, შენს ტყენებას არ აქვს სამძღვარი,

და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი, შავად მღელვარი!

იდუმალმომდინარე მრავალსხივ ფორმიანი დაუდგრომელი წინააღმდეგობა მკვეთავი „მერანი“, დაუტყვევლ ნიშნად გაუხსნელ ეროვნულ სიმბოლოდ, ბედი სამშობლოსი ხომ არ კრთის მგოსნისა? დიდგვაროვანი შეწირული ავტორი, და ღირსეული, მაღალი ზნეობის შვილი, თავისი ხანგრძლივწამებული ქვეყნისა, ის დღედაღამ ლოცვით, ტანჯვით განიცდიდა და გლოვობდა მტრისგან დაპყრობილი, გადაშენების გზაზე მიმდგარი მამულის ავბედით მომავალს. სულიერად შინაგანად ინვოდა და ნაკვერჩხალ-ნაცარდებოდა მაღალი პატრიოტული შეგნების და ეროვნული ვალდებულების გზებით. პოეტის უსაზღვრო გენიამ შეპარვით უთუოდ რომ გმირულად გახსნა საქართველოს მთლიანი — თავის დროინდელი უნაკლო მრავალშრიანი ხასიათი და ამაღლევებელი ღრმადფსიქოლოგიური მუქფონიანი მარადიული პორტრეტი, რომელიც თითქოსდა ფრანცისკო გოიას გენიალური ნათელმხილველური გულგონდამატყვევებელი ფუნჯითაა მოხატული, გოიაში საოცრად ჟღერს ქართული, ან კოლხურ-იბერიული სულისთვის დამახასიათებელი ფერწერული მძაფრგანწყობილებიანი ნახევარტონები და კონკრეტულ მძაფრმეტყველ ფერთა მიმზიდველი აღმატებულგემოვნებიანი გამა. ესპანეთში ის ადგილი, სადაც გოია დაიბადა და გაიზარდა, საშუალო ზომის მთა ყოფს იბერიელებთან. პარიზში მყავს მეგობარი მხატვარი, ესპანელი კეთილშობილი ქალბატონი, ცისფერთვალება მარიამი, რომელიც ნათესავის დონეზე ურთიერთობდა ჩემთან. ხშირად დამყვებოდა პარიზის

პეიზაჟებზე: მანებივრებდა საჩუქრებით, მეც უპასუხოდ არ ვტოვებდი, რადგანაც ჩემს პეიზაჟებზე იყო შეყვარებული, — სხვადასხვა დროს სამი თუ ოთხი ფერწერული ნახატიც გადავეცი. ვდგავართ, ვსაუბრობთ და მათთვის დამახასიათებელი ევროპული ღიმილით მეუბნება: ჩემს ქმარს მოველაპარაკე და საკუთარ სახლს რამოდენიმე თვით სამუშაოდ დაგიტომობთო, რომელიც პარიზის ქალაქგარეთ დგასო. ერთხელ ესპანელი იბერიელების თემაზე მომიყვა: — მეო, მათთან ახლო ქალაქში დავიბადე და გავიზარდეო, თქვენი გვარის მსგავსი გვარებია იქო! ვთხოვე, გაიხსენე რომელიმე, ქალბატონო მარიამ-მეთეი, როგორ არ მახსოვსო, აი, მაგალითად, ნოდია, გოგია, თელია, ერისთავი და რამოდენიმეც ჩამოთვალა. ძალიან პატარაა ჩვენი პლანეტა, დიდ წარმოდგენებთან, წარმოსახვებთან და ფაქტებთან: ისტორიულ მოვლენათა შედარებითაც და არაფერი არაა გასაკვირი, რა თქმა უნდა, მილიონობით მარად გაუხსნელი მოვლენების წინაშე ვცხოვრობთ ადამიანები და კერძოდ, ჩვენ, ქართველები ვფიქრობდი და ასე ვაზროვნებ დღესაც. ვგონებ ნიკოლოზ ბარათაშვილმა ამ შემთხვევაში ეროვნული გენის კოსმოსური მსგავსება-მთლიანობის ქართული ილბალი და მონამეობრივი მღელვარი სწრაფვა-ტკივილი განავრცო, შინაგანობის გულდათუთქული მართლმსაჯულის ხედვით. სამშობლო! მგოსნისთვის უზენაესი სატრფოს დონეზეა გაიგივებული, მაგრამ აქ ვაუკაცური სიყვარულის დრამატული ფონის, მაღალი ტონალური ჟღერაა, რომელსაც მართლაც ფრანცისკო გოიას ჯადოსნური ფუნჯის შავ-ვერცხლის მოცისფრო-მომწვანო-მოთეთრო ფერების ღრმადმეტყველ კოლორიტულ დონეზე გვიხატავს. პირადად, კრძალვით, ურთულესად ჩამობრძანებული დიდი ნაწარმოების სიმბოლოს გულამდე ვაღწევ, ჩემეული გაგებით. ეს სიახლე არ იქნება, რომ ვთქვა „მერანის“ შინაგანი მსგავსება გახლავთ დაუტყვევლი ფიროსმანის ფერების გენიის უფსკერო აუზის ქართულ ისტორიულ თემათა ამსახველი ექსპონატებისა. მაშინ ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპოქაში ყველა მოწინავე პატრიოტი ქართველი ხომ მოხერხებული მიზანხედვით ემალებოდა სტეპური დამპყრობი რუსეთის ტარტაროზულ რისხვას. დიდი და ბრძენი ოსტატის ინტუიციით პოეტმა დაგვიხატა, მარად ტანჯული, დაუჩოქებელი, პროგრესულ-მებრძოლური პატრიოტული სწრაფვის, ქარიშხალური ქროლვის საქართველო. კოსმოსური და სივრცობრივი სრბოლა და შეგონებაა უფალივით მართალი, რომელსაც ვერავითარი ადამიანურ სატანაშეპყრობილი მტრის რისხვა, ვერასოდეს ვერ შეაჩერებს... „მერანი“ ის ქართულ-ეროვნულ-ფსიქოლოგიური გმირული მცნებაა, მონობას ცოცხლად კი არა, მკვდარიც არა და ვერ შეეგუება... ამრიგად, მგონი, ვუახლოვდები ავტორის გარემოებისგან შეძრწუნებულ მარად მფეთქავ გმირულ გულს. საქართველოს და მგოსნის პირადი არსებაც წინასწარმეტყველურია და მუდმივ წმიდამეომრული. ნაწარმოებში ის უსიამოვნო ფრინველები, რომლებიც დაქრიან „მერანის“ მოქუფრულ სივრცეში, არასოდეს არ აკლდა საქართველოს და მასზე ტანჯვით შეწირულ მარადიულ საფლავების ზეგრძნობა სიყვარული, სატრფო-ტრფიალი კი, ღვ-



თიური მარად თანმდევი როგორც მსოფლიური, ასევე უკვდავი კოლხეთ-იბერიისა და მხატვრული-იდეური ურთიერთმსგავსება რეალურია. ხატი მრავალია შექმნილ-დანერვილი, მაგრამ ღმერთქმნილი-ერთეულებშია (რელიგიური ფანატიკური რწმენით დაბინდულნი ყოველივე ამას იშვიათად ხედავენ). რამოდენიმე ათეულ წელიწადს რომ ვიცხოვრო, როგორც მოგიყვით, შედეგ „მერანს“ ბოლომდე მე ვერ ჩავწვდები. გონითი წერა, გულითადი მცდელობა იქნება პიროვნულ-მეობრივი სიამოვნება თემის სივრცობრივი ბრძოლის ფონზე და მეტი არაფერი. მხოლოდ დიდ პიროვნებებს ჰქონიათ მონოდება და იღბალი შემოქმედ უზენაესთან გაგება-მიახლოებისა, ისიც უშუალო შეგირდობის მეოხებით, რითაც მერმე მუდმივად ჩვენთანაც არიან. ნანარმოებ-შედეგრი და ზემოთ ხსენებული ბრძენ-ერთეულნი გვასწავლიან ხელოვნების ქმნილებაში თუ როგორი შინაარსობრივი მოსვლაა ადამიანის, კოსმოსიდან უშუალოდ ჩვენს პლანეტაზე, სასწაული „მერანისეული“ ველურ-ცხოველური დაუოკებელი ენერგიით მარადიული სიცოცხლის შენარჩუნებისკენ სწრაფვა ქროლვითი იერიშით. ყოველივე ამაზე დღენიდაგ იბრძოდნენ საუკუნეების განმავლობაში ღმერთამდე თითქმის ამაღლებული ძველი ეგვიპტის მთავარმმართველები: მარადიული სიცოცხლე თუ ვერ მოიპოვეს, მაგრამ მათმა უნიჭიერებამ მონებმა უფლის გვირგვინზიარებით და უკვდავ ხელოვანთა ავტორობით, სიკვდილთან მეტრძოლი ფარაონები თავიდან შექმნეს საუკუნოვან ხელოვნებაში, რომელიც სრულიად განსხვავებული სფერო და სამყაროა მზიუღეთში. მათივე ღირსეულ რიგშია ჩამდგარი ლექს მუსიკა სიბრძნედ ჩამოქნილი და მრისხანედ მოძრავი ოცნება ცას მონყვეტილი ვარსკვლავით გაელვებულ-გაცეცხლებული „მერანი“. თავს მივცემ უფლებას, რომ მსოფლიოს პოეზიის შედეგთა ლაშქრის ერთპიროვნულ რაინდული ზნეობის საიმედო წინამძღოლად წარმოვიდგინო, დავით აღმაშენებლის დროინდელი ძლიერების შემადარი მხედარ ნიკოს „მერანი“. უსათუოდ მის, მზისფერ მჩქეფარე, შემოქმედებით ძლიერ ძარღვებში, მზიუღეთიდან ჩვენს პლანეტაზე „მერანისეული“ გზავნილი შეუპოვარი და მღელვარია ბრძოლის ველზე, ერთხელ ბოძებული სიცოცხლის გამირულად შენირვა-შენარჩუნებისათვის მოვარდნილი ქარიშხალივით უდრეკი იერიში, რაც ლომგულ, დაუდგარი უსაზღვრო გავარდნაა მხედარ, წმიდა გიორგივით, დადუმებულ მერანოსან ადამიანისა, რომელსაც ცივ ოღროჩოღრო შავქვაფენილიან გზაზე ქვეყნიური ჭირვარამი, მუქი ყავისფერ ზედმეტხორცივითაა აკრული, რითაც თუ არ იგულადე, ბევრად უღირსნი უნამუსოდ დაგამხობენ. სრბოლა, სწრაფვა, ყინი, სატანისტებთან შეურიგებლობა, გახელება და სტიქიურ ჭემმარიტ-ზნეობრივ ზეპატრიოტული ნანარმოების მთავარ მოქმედი გმირი (სტიქიურის ნაზავია უმეტესი მოძრაობა ქმედება ქვეყნის და ადამიანებისა), აქ, ამ მითოსური ველის დაუოკებელი ლაშქრის, ერთ-ერთი და ფართე სიმბოლური თითქმის და მაინც შენირულ-განიარადებული მეტრძოლია, რომელსაც ახლავს გარდაუვალი და აუცილებელი ბინდმოსილებითი და მუქფენოვანი

შეუპოვარი მომავალი...

ამაოულ გამაოგნებელი სავესობის სივრციდან შენირვით, ჯვარცმული და ამაღლებული მაცხოვრის ხმაა აქ მოღწეული.

ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის

ეს განწირულის სულის კვეთება,  
და გზა უვალი, შენგან თელილი,  
მერანო ჩემო, მაინც დარჩება;  
და ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა სიძნელე  
გზისა გაუადვილდეს,  
და შეუპოვრად მას ჰუნე თვისი შავის ბედის  
წინ გამოუქროლდეს!

წყლის ცხრაბალიანმა, მომწვანო, მოცისფრო, ზოგან გამჭვირვალე გორებად ქცეულმა ტალღამ, ზღვის აზვირთებულ ზედაპირზე, მზე-მთვარეზე შემტევ გრიგალისებურად გადაუქუხა და აცახცახებული, შიშჩამჯდარი ხმელეთისკენ, ეშვებიანი სპილოს ლაშქარით დაიძრა. ერთდროს წარმართობის ღმერთთმთავარი უკვდავსხივოსანი ზევსი, რომელიც სამყაროში ლაღად ისვენებს და მათ უტევ მესხიერებას მუდმივად ავსებს. მრისხანედ გადმოხედა გაშმაგებულს, აქაფებულ უზარმაზარ მთად ქცეულს და შეეკითხა, რამ გაგაცოფა აგრე, ამხელა წყლის ზედაპირზე რომ ვერ დატეულხარო! პოსეიდონს მაინც თუ შეეკითხე რამეო. ჩემი ბატონის და აგორებულ მრავალ ტალღათა ნაშიერთა უპირველესი მიზანია ზღვა და ოკეანის, უერთგულესი და შორეულ ლეგენდარულ მეზღვაურთა თაოსნობით, მგოსან ნიკოლოზ ბარათაშვილის, ზეციურ მინისეული და ოკეანისეული ქმნილება „მერანი“, მოვიტაცო, ჩემს სიახლოვეს ვარბენ-ვაჭენო, გვერდით ვიყოლიო და დავიახლოვო; შემდგომ ოკეანეთა და ზღვების მომქმედ მთავარ ლაშქარში თვალსაჩინო წამყვან დაუმორჩილებელ სარდალ ძალაგონებად ჩავაყენო; იყო პასუხი. წყალუძლეველობის უჩინარობიდან გამომდინარე, ზევსს არ გაჰკვირვებია ამ ფორმის ბუნებრივ სტიქიური სწრაფვა და წარმართთა ზესაუფლოში ისევ მიდუმდა... ღვთიურ ქმნილებათა შედეგთ წინაშე, როგორც გიამბეთ, ბედნიერები ვართ და ბევრი უძღურნიც. რა თქმა უნდა, არა ჩაგრულნი. უთუოდ მათ, თავისებური სულიერ-ფსიქოლოგიური თვისებები გააჩნიათ. ააბა, მიდით და ახლოს ნახეთ, მოისმინეთ, ნაიკითხეთ და მოინდომეთ მთავარ შედეგებთან დაახლოება, ნდობით თავს გაგაცნობენ დინჯად, თანმიმდევრულად — გამორჩეული ორიგინალობით გასიამოვნებენ და უკიდურესად გაგაკვირვებენ, მერმე გაგიშინაურდებიან და გამოუცნობ საიდუმლოებათა მხატვრულ სიახლეებს მდიდრულად შემოგთავაზებენ. შემდგომ შემოქმედებით სიღრმეების უჩინარი საწყისებისკენ დარბაისლურად გიხმობენ და სულგულთა და გონების მამებლად — ფენომენალურ ნებისმიერი პიროვნების შემძვრელ ანგელოზისეულ ანდამატურსა და უმთავრეს ნანარმოებისეულ ნარნარ გემოვნებას გაახლებენ. საბოლოოდ კი მათ წინაშე დატყვევებული მაყურებელი, მსმენელი თუ მკითხველი თავყვანისცემას რომ იწყებ უმაღლ, არავითარი მოულოდნელობაა და ზეციურ მითიურ ჰაერს შერეული ხაზებივით გაგედინებიან ხელთვალიდან — და ისევ ივლიან მიუნვდომელ წრიულად, ციური სიღრმეების მუდმივ მგზავრად: მათი



დინების სწრაფვა, ალბათ, დაუდგენელია, მაგრამ შესაძლებელია ამ შემთხვევაში სინათლის სიჩქარე ჩვეულებრივი დონე იყოს.

უძირო და განუსაზღვრელი ტევად მზისფერი ხაზის ფორმის, მსუყე და წონითი ტონალობის ხასიათის ინდივიდუალური გამოხატული სახის, სტილის და ხაზგასმული მკვეთრი განწყობილებებით თავისი ეპოქის ფესვებჯანსაღი შვილნი და უსასრულო მსოფლიო თუ კოლხურ იბერიული საუკუნეების სახე ქმნილება, შედეგები აუნონავი და აღუნერელი მხატვრულ საფშინველის დონეებით არიან გამდიდრებული. თითქოსდა ზოგ აზრთ ვიმეორებ მოვლენათა უფრო გაღრმავებისთვის. ნებისმიერ ექსპონატ-ნაწარმოების უკვდავ-მოძრავი ცოცხალი კრთომა, ყოველი მათგანი გონებისთვის თანმიმდევრულია და ნაწარმოებიდან უწყვეტ შთამბეჭდავ თილისმად გადმოედინებ-მოედინება: უხილავ-გაივლის ჩაგონებით ჩვენ-თვალ გულ, სულ-გონების, მთლიან სხეულს, სისხლძარღვების უმცირესი კაპილარების ჩათვლით და უნაზესი ნერვული სისტემის სრული დაუფლებით: ეს ხომ გონით, ენით, აზროვნებით და კალმით აღუნერელი პროცესია ნაწარმოებ-ქმნილებისაგან, რეალურ მომდინარე მხატვრული უხილაობა, თავად ნიმუში, ფერწერული სურათი, პორტრეტი, პროზა-ლექსი თუ, საერთოდ ნებისმიერი ხელოვნების შედეგ-ნაწარმოები მუსიკის გარდა არ მოძრაობს და მოჩვენებით სტატიურია, მაგრამ რამდენადაც მეტს უყურებ, ისმენ თუ კითხულობ, თანდათანობით გრძნობ, რაღაც მნიშვნელოვანი უხილაობა ანუ დამოუკიდებელი თითქოსდა უცხო სულ-ფორმა შედეგისა განუწყვეტელ მოძრაობაშია. გიკვირს, გზიბლავს და გარემოს სხვა ყველაფრისგან ითიშები, მაგრამ გრძნობის და გონების თვალთ ხედავ ცოცხალ არსებაზე არანაკლებ მარადიული აზრთამთელი იდუმალი სიცოცხლითაა სავსე. თითქოსდა არარსებულიდან უმაღლესი რეალურობის შეგრძნებაა. ყოველივე ამ მალულ უცნაურობების შემდეგ წარმოიდგენ, რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი შენგანაც გადის, მას უერთდება და ისევ ერთიან შემოდის მუდმივ წრიულ უსასრულობის სივრცეში... შორს თუ სიახლოვეს კოსმოსურ-სისტემურად ეახლება ქმნილება უპირველესს და ვინ იცის, მერამდენად ასე განწმენდილ ნაკურთხ მონათლული მიდის საწყის შედეგთან; ჰაერზე უფრო გამჭვირვალე რაღაც განსხვავებული ისევ ჩასახლდება მის სასწაულ ქმნილება ორგანიზმში, კვლავინდებურად უჩინარ მოივლის ნაწარმოებიდან თავისუფალი დინებით და ისევ გადმოვა: გონებრივ სრულყოფილებაში წარმოიდგინეთ, ამდაგვარი მარადიული წრიული წერტილდაუსმელი წრიულ ჯაჭვისებური სვლაა ქმნილებაში ამქვეყნიურ და იმქვეყნიურ მრავალსახოვან შემადგენლობათა შორის, უკიდურესად განსხვავებული ღვთივ კოსმოსური სულისაც; რომლის ბოლომდე კი არა, მიახლოებითი შესწავლაც ურთულესია, რადგანაც ყოველივე მხოლოდ ღვთიურ-მიუწვდომელია. ამ სახის და შინაარსისაა ქმნილებათა მხატვრულ-მისაიდუმლოებული ფორმა, აზრთ მოცულობა თუ ლიტერატურული სივრცე — უთუოდ წმიდად შობილი ქმნილებებისა: ყოველივე მართალ-თქმული თვისების და მარად ცოცხალი სხეულ ორგანიზმისაა — საოცარ-ძეგლად

აღმართული ნიკოლოზ ბარათაშვილის, შედეგ — „მერანი“ წარმოდგენელია, მაგრამ სინამდვილეა, რომ ნებისმიერი შედეგური სამყაროს მსგავსი მარადიული უსასრულობის ნატეხ თანამგზავრებია. ყოველგვარი მიუწვდომლობა ხომ შემოქმედისგან რეალურ-სახიერად ქმნილი საოცრებაა; მერმე უამიდან-უამში მათთან არყოფნისას ისინი სულიერად ჩვენგან გარდასულ მიემგზავრებიან და ყველას სინანულად იშვიათად თუ გვეკარებიან: ხელოვნების ნიმუში და შედეგური ჩვენგან წუთიერ განშორებასაც კი ვერ იტანენ... უმთავრესი და საჭირობოროტო ყოველდღიური საკითხია შედეგურის მარადიული ხელხება და უდიერი ხსენებაც ხომ სამყაროსეული მზაკრული დანაშაულია. უკეთურები ნებისმიერი ქვეყნისა თუ ერისა მალალ მხატვრული ძეგლების განადგურებით თუ განდგომით უფალს, ზეციურ ნიჭსა და ფენომენ გენიას ებრძვიან გაცოფებულ-გააფთრებულნი. თვინიერ მოკრძალებით რომ ავილოთ ლექსად შობილი „მერანი“ ხომ ფასდაუდებელია და შეუდარებელი, ყველასგან დამოუკიდებელი, განსხვავებული და მზისსახოვანი შედეგ ხატქმნილებაა; კოლხური-იბერიული უძველეს მარადიული ერთიანი სივრცის. უმძიმეს საშინელ დღეს, შეიძლება ღმერთმა ნუ ქნას და ეშმაკმა დედამინა ძირფესვიანად მოშალოს. ხოლო „მერანი“ ანტიკური ეპოქის ქმნილებათა დონე და როგორც ნათელი სახე, ღვთივ-ადამიანური ქმნილებისა, მზესავით მარად დარჩება სამყაროს უსაიდუმლოესი მესხიერების გაღერის ფონდებში, სამარხებში თუ უცხო მარად წრიულ დინებაში რათა როგორც ზეცის შორეულიდან გამოცხადება სასწაულებრივი მოძრავი ლექსფორმა, ისევე, თავის პირვანდელ უფერულ საშო განძთსაცავს სამარადისოდ ფლობს. ის ხომ ჩვენთან გამოცხადება ღმერთია და აქედან გამომდინარე, ვით კოსმოსური მკვეთავი თანამგზავრი „მერანი“ მრავალ ქართული ოხვამეს (სალოცავების) წმინდა კედლებზე, თეთრი ასომთავრული ასოებით უნდა იყოს აღბეჭდილი. თუ არადა სახე პლანეტარული ნიმუშქმნილება, რელიგიური ხელოვნების მუდმივ საცავებში, სალოცავის დონეზე დავანებული, როგორც გახლავთ ღირსება ფრესკები, ხატები, მინიატურები, ორნამენტული ოქრომჭედლობა, გორელიეფ-ბარელიეფები, მინანქარი; მრავალი აგოგრაფიული ლიტერატურა — წმინდანთა სარკოფაგები (მოგესხენებათ და ყველა საფლავიც მინას მიბარებულ-შენახულიც...) და მათ გვერდით ღვთიური ქმნილება „მერანი“. როგორც მრავალათასწლოვან კოლხურ-იბერიულ უკიდურეს განცდა-დარდს-ამოყოლილი, იდუმალ უვარსკვლავო ცას მიმსგავსებული და კაეშნურ-გაღრმავებული მქროლავი სუნთქვა.

თანამედროვე დიდმა მწერალმა, რუსთაველის პრემიის ლაურეატმა, ჩამაგონა და ღრმად დამარწმუნა, რომ „მერანი“ ქართული სულიერების, ზნეობის, ცნობიერების შთამაგონებელი გრაალიაო! და აუცილებელია ჩვენი მომავალთათვის, მარადიულად განმტკიცდეს ეს რწმენა-მართალი შეგონებაო, რათა ლიტერატურული ძეგლქმნილება სიცოცხლის თასია ყოველთა ქართველთათვის აუცილებელი: მართლაც რომ „მერანი“ „ქართული მუდმივი სერობის“ გრაალია, თავისი სინმინდით, თითქოსდა



ამ შედეგის მეოხებით ზეციური სითხე კოლხური-იბერიული ვაზის ნაჟური, უფალმაც მიიღო, საოცრებაა, აბა რაა? ნუ გიკვირთ, კეთილშობილნი!..

თამამად ვიტყვი, თუ ქართლის ცხოვრების ამ-სახველი უნიკალური წიგნი, ქვეყნის უტყუარი წარსულია; „მერანი“, საქართველოს ანმყო-მომავლის უხილაობიდან გამომხობილი სამართლიანი ბრძოლა, კანონ იმედი ხომ არაა? ვარსკვლავეთური წინასწარმეტყველებითი ძახილ-კვილი, ანუ მომავლის სურათ დაუოკებელი სინამდვილე: „მერანი“ ჩვენი დღევანდლობის ეროვნული გაჭირვება-საჭიროების კოსმოსურ უსასრულო დროში ჩასახულ-ჩაკირული უდრეკი უძლიერეს განმარტოება სფინქსია...

ოდიტანვე მხოლოდ ღარიბ-შენიღული ყოფილან ერის ძირითადი უახლოეს გადამრჩენელნი, როგორებიცაა მოძღვარნი, ხელოვანნი-მეცნიერნი და პატრიოტნი, ამათ მიჰყავდათ და მიჰყავთ ქვეყნის გენეტიკური საიდუმლოება და კულტურა-ცივილიზაცია...

ღმერთი ხომ სამყაროს უსასრულობის უსპეტაკესი არქაულ-კლასიკური აბსტრაქციაა რეალურად ჩვენგან მცირედ აღქმულ-დანახული, რაც მარადიულობაშია ჩაძირული კოსმოსური საკვირველი ფორმათა ცამნათი უხილავი სივრცობრიობა და მასში სრული შემადგენლობით არსებული დიდი ხელოვნება.

საოცრება „მერანი“ მხოლოდ საქართველოში უნდა დაბადებულიყო, სხვაგან ის აგრე ღვთიურად ვერ იშვებოდა. კოლხეთ-იბერიის აღმოცენებამდე უთუოდ რომ უსასრულობაში უკვე არსებობდამეთქი რომ ვთქვა, ვერ ვბედავ, მაგრამ მართლაც შეიძლება იმ უცნაური არარსებულის კოსმიური შემადგენლობა მერანი მოდიოდეს. ღრმად თუ ჩავუფიქრებთ და გავიხედავთ ჩვენგან შორეული სივრცისკენ, „მერანი“ თითქოსდა არარსებულის შემქმნილი ერთ-ერთი მართალთაგანი რეალობაა, ჩვენეული ბუნების დაუდგრომელ-მბორგავი სამყაროსი, რომელსაც ბოლომდე ვერ ვიმორჩილებთ და ვუგებთ, მის ზოგჯერ გაურკვეველ მიმართულებას; ურთულესი ფსიქოლოგიიდან გამომდინარე, უფრო ზეძალების ტეხილხაზოვანი ლტოლვაა — შმაგი, მარადიული აზრთა ზნეობრივი არსებით უმტკიცესი მოქმედების და წარმოუდგენელი წმიდანური ტალღების მოძრაობაა, სრულყოფილ ადამიანურთან მიახლოებით ზეციურ-სივრცობრივი რომანტიკაა ღამეული გრიგალით გამოწვეული. მხოლოდ გენიათა უკვდავ სულებს ძალუძთ მარად მოძრავ სივრცეში შეღწევა და სინამდვილის რეალურ-ანტიკურ-კლასიკურისმიერი ლექს-ქანდაკების ჩამოქნა...

ქართული ჭეშმარიტი უძველეს-კლასიკური და თანამედროვეობის ათასწლოვანი ხმა „მერანი“ ოქროს მრგვალ მედალიონში მინიატურულად, მოციმციმე ცისფერებით უნდა იყოს ჩანერილი და ყოველ ქართველმა გულის უბით სათუთად ას ნელინადს უნდა ატაროს ლექსის სრული პატრიოტულ-სამართლიანი ტექსტი, რომელიც ერთ დროს, ვარსკვლავეთის ტალღად მოძრავ გუმბათზე იყო ფრაგმენტებად მიმოფანტული; ნიკოლოზ ბარათაშვილის ნათელმა შემკრებმა გენიამ კი ჩამოაბრძანა დედამინაზე და პოეზიის შედეგ მარგალიტად აწყობილ-გარდაქმნი-

ლი უბოძა ყოველ ჩვენთაგანს.

შორეთიდან მოსული საკვირველი და ეს, მხოლოდ მუსიკალურ-პოეტური ხმა არაა, ზეცად მსრბოლელი მარადიულობის კვნესა-ჩივილი და მიწიერი ნერვიული ბლავილ-შეძახილიცაა დაუსრულებელი...

მირბის, მიმაფრენს უგზო-უკვლოდ ჩემი მერანი, უკან მომჩხავის თვალბედითი შავი ყორანი! გასწი, მერანო, შენს ჭენებას არ აქვს სამძღვარი, და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი, შავად მღელვარი! ბნელეთ-ნათელის უკიდურესი დაპირისპირებაა „მერანი“...

ღმერთკაც-ქმნილება, სამყაროს, კერძოდ, დედამინის უთვალავ მძაფრ ფორმათა ჭექა-ქუხილის მოვლენათა შემჭიდროვებულ-მონოლითური, სრულყოფილი ქარიშხლურ-ცეცხლოვანი, უფრო ზეციურ ჭარბ მოვლენათა, მხატვარ-ლეგენდა ელგრეკოსეული, პლანეტის უზარმაზარი ფერწერული დამოუკიდებელი და მღელვარე საოცრება ავტოპორტრეტ-კომპოზიციაა...

უთვალავი ასტრონომიული ავბედითი საუკუნეები, შორეული ციდან განცდა მოვლენები მოდიოდა მომაჯადოებელი ლექს „მერანით“ და წმიდა ნიკოს პოეტურმა მოციქულეობრივმა გენიამ მიიზიდა, მიიტაც-მიისაკუთრა. შემდგომ, როგორც ვიზრ-ვიხილე, ჯადო-ჰიპნოზით გარდაქმნამ შეკრა — გაითავისა და სრულიად ქართულ უკვდავ ეროვნულ მებრძოლ-სამაგალითო კანონ სახეიდეად შვა. ამდაგვარი კოსმოსურ-სივრცობრივი სიმდიდრე ლექს-სამკაული სამართლიანად ყველას ეკუთვნის განურჩევლად ერისა და ქვეყნისა, რათა ნებისმიერი თავის საკუთარ ისტორიულ ცხოვრებისეულ რეალურ „მერანს“ ფლობს და ატარებს: როგორც დაგინახიათ, ერთ დროს ვარსკვლავეთის აზროვნებათა ფიქრ-ფორიაქი...

„მერანი“ უმძიმესი გოლგოთაგამოვლილი ჯვარი; მომავლის სიახლე ცხოვრების აღმდგენელი სრულიად საქართველოს, კოლხეთ-იბერიულისა...

ურთულეს მელანქოლიურ მდუმარე დარდიან მინაში ჩარჩენილი, მარტოხელა ჯავრის შემანჯღრეველ მხსნელად, უზენაესმა, მგოსან-ნიკოს, მოუვლინა ლეგენდარულ-ზემითიური ლექსი „მერანი“, შეუპოვარი, უსწრაფეს-სრბოლითი ენერგია, ვარსკვლავეთური გზებით უგზო-უკვლოდ დააქროლებს და მიმოაფრენს ჯადოსნური სივრცის დაუოკებელ თავდადებულ გრძნულ პოეტს; რეალურის იქითას-მაგვარ პლანეტათა დასახლებაში, ანუ გამაოცებელივით უჩინარ ყოველივეს გაღმა უხილაობისა, სადაც ყორნისფერი ამღვრეული სივრცის აღმგზნები მოწინაობა...

უსასრულოდ ქვეყნიურსა, ყოველთა ბოლოს, იქუხა მიუწვდომლობის სიშორემ და უფროდ ბნელი მოედო ქართულ ავბედით უკუნეთს. მერმე ქროლვით გაარღვია უკიდევანობის უმძაფრესი ენერგია „მერანმა“, და მსწრაფლშეუპოვრად შეიჭრა რეალურობის მარადიული ნათლის სინამდვილეში...

2017 წ. თბილისი





**ლაღო ასათიანის ტრაგიზმის  
წინასწარმეტყველური განცდა**

სიკვდილის ფენომენი დასაბამიდან დღემდე ყველა მოაზროვნის განსჯის ობიექტია.

როგორი ვითარებაა ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენში?

ცნობილი კრიტიკოსი კიტა აბაშიძე მე-20 საუკუნის დასაწყისში წერდა: „ქართველი მწერლები გაურბიან სიკვდილის პრობლემას და არ ჩერდებიან მასზე“ (ქართული ლიტერატურული ესსე 1986: 158). ტიცინ ტაბიძეც გამოეხმაურა ამ თემას და თავის ლიტერატურულ წერილში — „ომის თემა ქართულ მწერლობაში“ — აღნიშნა: „მე მგონია, ეს ფაქტი ფრიად მომასწავებელია და ამჟღავნებს ჩვენი მწერლობის ნაციონალურ ბუნებას; ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველო თავის კუბოში ცოცხლადაც რომ ჩაიჭედოს, სიკვდილზე არ ფიქრობს, რომ ერის სული კიდევ ყვავილობს და არ ჭკნება, რათა სიკვდილის წინ თავისი თავი გამოიტყოს“ (იქვე: 159).

რევაზ ინანიშვილი ერთ-ერთ თავის ეტიუდში მოგვითხრობს ფშაველ ქალზე, რომელიც სიკვდილის მძაბვებელ მოსაუბრეებს შემდეგნაირად მიმართავს: „ნუ ლაპარაკობთ სისულელეებსა. სიკვდილი რომ არ იყოს, ხო ჯოჯოხეთზე მეტად აქ გაუჭირდება ადამიანს. როცა ძალიან, ძალიან გვიჭირს, რო აღარ გვაქვს სულის მოთქმის სახსარი, სიკვდილი მაშინ მოდის და გვანთავისუფლებს ტანჯვისაგან“ (ვასაძე... 2008: 193) და რა გასაკვირია, რომ მის შვილს ეთქვა:

„ღმერთმა გიშველოს სიკვდილო, სიცოცხლე შენობს შენითა“.

შესანიშნავი მწერალი ჯემალ ქარჩხაძე კი წერს: „სიკვდილის იმედი რომ არ ჰქონოდა, ადამიანი სიცოცხლეს არ ისურვებდა“ (იქვე: 193).

რომაელი პოეტი და ფილოსოფოსი ლუკრეციუსი (ძვ. წ. 99-55) წერდა: „სიკვდილი საშიში არაა, ვინაიდან სანამ ჩვენ ვართ, ის არ არის, ხოლო, როცა ისაა, ჩვენ აღარ ვართ“ (მჭედლიშვილი 2013). თუმცა, ადამიანებს, მაინც აშინებთ სიკვდილის მოახლოება.

მართლაც, სიკვდილზე ფიქრიც კი ბევრს ზარავს. „სიკვდილი ყველაზე შემზარავი რამ არის, რადგან ის ყველაფრის დასასრულია“ (არისტოტელე).

სიკვდილზე საუბარიც კი არასასიამოვნოა, თუმცა, ჩვენ მაინც მოგვინევს ამაზე მსჯელობა, რადგან ადამიანი დროებით არის ამ სამყაროში.

სიკვდილის შიში მუდამ იქიდან იწყება, როდესაც ადამიანს ეუფლება სიცოცხლის შეწყვეტის მოსალოდნელი გრძნობა. არსებობენ ადამიანები, რომლებიც საკუთარი სიკვდილის მოახლოებას წინასწარმეტყველებენ.

ფსიქოლოგიაში წინასწარმეტყველება ნიშნავს, რომ გარკვეული ქცევა ან მოცემული კავშირი, რაღაც ალბათობით, გამოვლინდება. არსებობს ასეთი ტერმინი „პიგმალიონის ეფექტი“ (როზენტალის ეფექტი), რომელიც აღებულია ჯორჯ ბერნარდ შოუს პიესიდან და გამოიყენება ისეთი ფსიქოლოგიური ფენომენის აღსანიშნავად, როდესაც რაიმე მოვლენის მოლოდინის არსებობა ზრდის ამ მოვლენის განხორციელების შესაძლებლობას. სხვაგვარად, — ამ ფენომენს მოიხსენიებენ, როგორც თვითქმნად წინასწარმეტყველებას — როდესაც წინასწარმეტყველება პირდაპირ ან ირიბად გავლენას ახდენს რეალობაზე და ცვლის მას იმგვარად, რომ საბოლოოდ ეს წინასწარმეტყველება ხორციელდება (ზიმბარდო... 2009: 7).

წინათგრძნობა განსაკუთრებული უნარია იმის შეგრძნების, რაც ჯერ არ მომხდარა. და როგორც წესი, ეკუთვნის, კონკრეტულად, რომელიმე მოვლენას. ამჯერად, ჩვენ გვინტერესებს სიკვდილის — ტრაგიზმის წინასწარმეტყველების განცდა ქართველ მწერალთა შემოქმედებაში.

უპირველესად, უნდა შევხვით, თუ როგორ განმარტავს ბიბლია „წინასწარმეტყველებას“. წინასწარმეტყველება სულიწმიდის ერთ-ერთი ნიჭია; „წინასწარმეტყველება“ ნიშნავს ღმერთის დავალებით ლაპარაკს, როცა ვინმე აჟღერებს უფლის სათქმელს. კორინთელთა მიმართ მიძღვნილ ეპისტოლეში ჩამოთვლილია ცხრა ნიჭი, რომელთაგან ერთ-ერთი მათგანია წინასწარმეტყველება. ბიბლიაში ვკითხულობთ: „წინასწარმეტყველი დიდია ენებით მოლაპარაკეზე“ (ბიბლია 1989: 1144).

საკოველთაოდ ცნობილია, უფლის წინასწარუ-





წყება თავის ჯვარცმამზე. რაც უფრო ახლოვდებოდა წამების ჟამი, მით უფრო ხშირად ახსენებდა ამას თავის მოწაფეებს იესო და მოუწოდებდა მათ: „უნწყითა, რამეთუ შემდგომად ორისა დღისა ვნებაი იყოს და ძე კაცისა მიეცეს ჯუარ-ცმად“ (მათე 20, 17-28).

შატბერდის კრებულში დაცული „წმინდა ნინოს ცხოვრების“ მიხედვით, წმინდა ნინო მეფე მირიანს მისწერს: „მოვიდა და მოიწია ჟამი დღისა დაღვენი-სა და მზისა ჩემისა დავსებისაი... მე დღესა დაუ-ლამდები“, წმინდა ნინოს სიკვდილის განცდისეული ასპექტის გამოვლენაა. „ესერა მოსრულა სული ჩემი კორკად ჩემდა“, მოციქულის ამ სიტყვებს საფუძვ-ლად უძევს სიკვდილის ემოციური შემეცნება და თვით ეს სახე არის: არა — მომხდარის აღწერა, არამედ — აქტი, რომლის დროსაც განცდით უნდა შევიმეცნოთ ადამიანის ცხოვრების უკანასკნელი აკორდი. „ესერა მოსრულა სული ჩემი კორკად ჩემდა“, — სიკვდილის მოახლოების განცდის მხატვრული შინაარსია“ (საბა მეტრეველი).

სიკვდილის მომასწავებელი ნიშანი, ზოგადად, ეს არის რალაც ხდომილება, მოვლენა, ან — მათი ერთობლიობა, რომელიც, წესისამებრ, ადამიანის აღ-სასრულს მოასწავებს. მაგალითისათვის, შეგვიძლია გავიხსენოთ არსენა. დაღუპვამდე რამდენიმე ხნით ადრე მისდის სიკვდილის მო-მასწავებელი ნიშანი. მას ესიზმრება:

„ვნახე წუხელი სიზმარი, იმისთანა თქვენსა მტერსა, ვნახე წუხელი სიზ-მარი, სისხლში ვიღე-ბავდი წვერსა, წრეულ მე ხომ არ მოვრჩები, რაც რომ უნდა გადაწყდესა, ან თათარი მილა-ლატებს, ქართველი არ მომარჩენსა“.



ლადო ასათიანი და ანიკო ვაჩნაძე

სიკვდილის წინათგრძნობას ბევრი ქართველი მწერალი განიცდიდა: ნიკოლოზ ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე, გალაკტიონი, ტერენტი გრანელი, ტიცციან ტაბიძე, გურამ რჩეულიშვილი და სხვანი. მაგრამ, ამჟამად, შევეხებით ლადო ასათიანის დაღუპვის წი-ნათგრძნობას.

არავინ იცის, როდის მოგვადგება სიკვდილი და გადაგვიყვანს უსასრულო ცხოვრებაში. ამაზე ფიქრიც კი ბევრს აშინებს. თუმცა, არსებობენ ადამი-ანები, რომლებიც საკუთარი სიკვდილის მოახლოე-ბას გრძნობენ, რასაც თან ახლავს დეპრესია. სოსო სიგუა აღნიშნავს: „სიმბოლისტებისა და რომან-ტიკოსებისათვის მელანქოლია და დეპრესია სულის ბუნებრივი მდგომარეობა იყო“ (სიგუა 2077: 90-91).

ლადო ასათიანს უბის წიგნაკში ჩაუწერია: „რა იქნებოდა ტოლსტოისა და გოეთეს ხნის ბაირონი, პუშკინი, ბარათაშვილი ან ლერმონტოვი“... ( ასა-თიანი 1988: 122). თავადაც ადრე წასულთა ხვედრი გაიზიარა.

ლადო ასათიანის პოეზიაში არ იგრძნობა სევდა და მელანქოლიური განწყობილება, არც ლაპარაკობს სიკვდილის შიშზე თავის ლექსებში. „მხოლოდ პირად წერილებში თუ ახსენებს სიკვდილს სევდანარევი ირონიით, ლექსებში კი, თითქოს, აგდებულად, და ხანდახან, საყვედურითაც კი გაეპაექრება მას, ისე, უბრალოდ და ამხანაგურად, როგორც უყვარდა კამა-თი და საუბარი თანატოლებთან“ (აგიაშვილი 1978: 9).

მაგრამ, ჰქონდა მაინც ლადოს ერთი ლექსი — აღსავსე სევდითა და მწუხარებით — ეს გახლდათ — დედაზე დაწერილი ლექსი. პოეტის ბიოგრაფიიდან ვგებულობთ: „ავბედით 1937 წელს, გაუთავებელი თავნებობის პერიოდში, ლადოს დედა დაუპატიმრეს და გადაუსახლეს კიდეც. ქალბატონი ლიდა ოჯახს აღარც დაბრუნებია... მაშინ მომავალი პოეტი „ხალხ-ის მტრის შვილად“ გამოაცხადეს და ინსტიტუტიდან-აც გარიცხეს. დედის დაკარგვამ ლადო ასათიანის სუ-ლიერ სამყაროს წარუშლელი კვალი დააჩნია, ჭაბუკს სევდა მოეძალა და უკიდევანო ქვეყანაზე ადგილს ვერსად პოულობდა. იგი დღენიდავ რეპრესირებულ დედაზე ფიქრობდა... გასაგები მიზეზების გამო, დე-დისადმი მიძღვნილი ლექსი ლადოს სიცოცხლეში არ

დაბეჭდილა. ეს ლექ-სი ზვიად გამსახურ-დიამ გამოაქვეყნა თავის არალეგალურ ჟურნალ „ოქროს სანძისში“.

ლექსში იგრძნო-ბა, რომ ლადო ასა-თიანს გულს უკლავს ძველი, დიდებული სამყაროს გაქრობა, ენატრება ძვირფა-სი დედა, იგონებს დაუძღვრებულ მა-მის სახეს... ოღონდ, ლექსში, სინანულ-თან და მწუხარე-ბასთან ერთად

საკუთარი და თანატოლთა ბედიცაა ნანინასწარმ-ეტყველვევი. პოეტი წერს:

„მე კარგად ვიცი, მალე მოვკვდები,  
მე ვერ გავუძლებ ამ საუკუნეს“.

იმდროინდელი თაობის ტრადიციას ლადო ასა-თიანის მწარე ბედიც შეემატა. გრძნობდა, რომ დიდი გზა არ ედო წინ გასავლელი, რომ მალე დამ-თავრდებოდა უკვე ჩამწარებული ახალგაზრდობა. არადა, როგორ არ უნდოდა სიკვდილი. „მე, დაწყე-ლილი ლადო ასათიანი, ერთი კვირაა, რაც გეახელით თბილისს. თითქმის ხუთი თვე გავატარე აბასთუმან-ში... არავითარი გაუმჯობესება არ მიმიღია ჯანმრ-თელობის მხრივ. ჩემი ფილტვების მიხედვით, მე მალე უნდა მივიცვალო, ძვირფასო, და აბა, შენ იცი, ცრემლებს ნუ დაღვრი“ — სთხოვდა მეგობარს, ნიკა აგიაშვილს.

მაგრამ, ზუსტად იმხანად, ომახიანად წერდა:  
„რადგან სიცოცხლე ასე ნავარდობს,  
სიკვდილის ყველა კარი დარაზეთ  
და იმ ბედნიერ დღეს გაუმარჯოს,  
როცა ჩვენ გავჩნდით ამ ქვეყანაზე!“







გარდაცვალების კვირას სულ მამამისს ნატრულობდა, უხმობდა... სიკვდილის დღეს უთქვამს: მამაჩემი დამესიზმრა და უთუოდ ჩამოვაო. სწორედ იმ დღეს, ჯერ არც კი გაციებულიყო პოეტის ცხედარი, აივანზე ერთი მოხუცი შესულა და ლადო ასათიანის ბინა უკითხავს. ეს იყო — მექი ასათიანი (რეზო შატაკიშვილი).

ლადო ასათიანმა სიკვდილი ლექსით დაამარცხა:  
„მჯერა ამ დიად ბუნების კართან

მე თვით სიკვდილსაც გარდავქმნი ლექსად“

სწორედ ეს პიროვნული სილაღე და ჯიუტად შენარჩუნებული შემოქმედებითი გულწრფელობა არ აპატიეს კომპარტიის იდეოლოგებმა. ეს იყო მთავარი მიზეზი მისი პირველი ნიგნის განადგურებისა. მას სიცოცხლეში არ დართეს ნება, რომ გამოეცა ლექსების კრებული. ლადო ასათიანის ნიგნი: „წინაპრები“ მთელი ტირაჟი დაჭრეს. პოეტის გარდაცვალების შემდეგ, 1944 წელს, ლადო ასათიანის ლექსები გამოიცა, თუმცა, მისთვის ძალიან გვიან. პოეტი წერდა:

„შენ როცა ამ ნიგნს ხელში აიღებ, ცოცხალთა შორის მე არ ვიქნები“.

გასაოცარი იყო ამ თაობის ბედისწერა. „დაუკარით, რომ ჭაბუკნი ვიყოთ მარად, რომ ცხოვრებამ ვერასდროს ვერ დაგვაბეროს“ — არავის ეგონა, რომ ლადო ასათიანის ეს სიტყვები ტრაგიკული წინასწარჭვრეტა აღმოჩნდებოდა მთელი იმ თაობისათვის, — ამბობს მწერალი როსტომ ჩხეიძე. ომში დაიღუპნენ: მირზა გელოვანი („ამაღამ მტერთან მომიწევს შეხლა, და იქნებ ტყვიას ვერც გადვურჩები“); გიორგი ნაფეტვარიძე („ვფიქრობ, ვითომ დავბრუნდები? ეჰ! ვინ იცის!“); სევერიან ისიანი („რა ვუყვით, ომში ბევრი წასულა, მაგრამ ყველა ხომ ვერ დაბრუნდება“); ალექსანდრე საჯაია სვანეთში, მეგობრებთან — რევაზ მარგანიანთან — სტუმრად მყოფი მოულოდნელად გარდაიცვალა ფილტვების ანთებით („ჩვენ ახალგაზრდა ვიქნებით მუდამ, ჩვენ არასოდეს არ მოვხუცდებით“).

ასე ერთმანეთის მიყოლებით დაკარგა ქართულმა პოეზიამ „ოქრობიჭები“, როგორც გალაკტიონი მოიხსენიებდა მათ სიცოცხლეშივე.

დავიბადებით თუ არა, მაშინვე იწყება სიკვდილთან ჩვენი დაახლოების გზა. სიკვდილზე საუბარს ყველა თავს არიდებს, თუმცა, თითოეულ ადამიანს აქვს შიში მისი მოახლოების.

წინასწარმეტყველების უნარი მეტ-ნაკლებად ყველა ადამიანს აქვს, მაგრამ შეიძლება დავასკვნათ, რომ შემოქმედნი, მწერლები, გარდა იმისა, რომ ნიჭიერი ადამიანები არიან, განსაკუთრებულად განვითარებული აქვთ წინასწარმეტყველური გრძნობა. ზოგში კი ის იმდენად გამძაფრებულია, რომ უმნიშვნელო მინიშნების, ინტუიციის წყალობით, წინასწარ ხვდება მოსალოდნელ საფრთხეს და წინათგრძნობა მართლდება კიდევ.

არსებობს პერიოდები, როდესაც ადამიანთა ინტუიცია ზღვარს აღწევს და ამ დროს მომავლის პროგნოზი, ანუ, ფაქტების წინასწარმეტყველება ხდება — მათი წინათგრძნობა ინტუიციურად იმდენად ზუსტად ცხადდება, რომ ადამიანმა თითქოს იცის, თუ საიდან ელის საფრთხე, როგორი იქნება გარდაცვალება და ა.შ.

ადამიანთაგან ფიზიკური სნეულებით ბევრი იტანჯება. ერთი მხრივ, სიკვდილის გარდაუვალობის განცდა შესაძლოა გახდეს სხვადასხვა ფსიქიური აშლილობის მიზეზი. საბოლოოდ, ადამიანი ხვდება, რომ ვერაფერი შეცვლის იმას, რაც უწერია და ითრგუნება, — ცხოვრება უაზროდ ეჩვენება, სასწრაფო კვებითილებაში ვარდება. ამის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ ტერენტი გრანელი.

მეორე მხრივ კი, სიკვდილის გარდაუვალობის გაცნობიერებამ შესაძლოა ადამიანი უფრო ძლიერი და სიცოცხლით სავსე გახადოს. ამ დროს, პიროვნება ცდილობს მოაგვაროს და გააკეთოს ის საქმეები, რაც მისთვის მნიშვნელოვანია. სწორედ ესაა სიკვდილის მაკურნებელი ძალა. ის სრულებით ახდენს საკუთარ პიროვნული რესურსის მობილიზაციას და დარჩენილი დრო ყველაზე აქტიური შეგრძნებებითა და სიცოცხლით აღსავსე ხდება მისთვის, ვიდრე მთელი მისი განვლილი ცხოვრება იყო. ასეთ ადამიანებს მიეკუთვნება ლადო ასათიანი...

**თინათინ თუშაპრაიშვილი**

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. აგიაშვილი 1978 — ნ. აგიაშვილი, წინასიტყვაობა, ლ. ასათიანი, მ. გელოვანი, ა. საჯაია, ლექსები, ბალადები, პოემები, ზღაპრები, „ნაკადული“, თბ., 1978.
2. ასათიანი 1983 — გ. ასათიანი, თანამედვეი სულები, „მერანი“, თბ., 1983.
3. ასათიანი 1978 — ლ. ასათიანი, მ. გელოვანი, ა. საჯაია, ლექსები, ბალადები, პოემები, ზღაპრები, „ნაკადული“, თბ., 1978.
4. ბიბლია 1989 — ბიბლია, საქართველოს საპატრიარქოს გამოცემა, თბ., 1989.
5. გერიგი, ზიმბარდო 2009 — რ. გერიგი, ფ. ზიმბარდო, ფსიქოლოგია და ცხოვრება. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2009.
6. ვასაძე 2008 — თ. ვასაძე, ნ. მუზაშვილი, ნ. ჩუბინიძე, მოსწავლის ნიგნი, გამომცემლობა „დიოგენე“, თბ., 2008.
7. ტაბიძე 1986 — ტ. ტაბიძე, ომის თემა ქართულ მწერლობაში, ქართული ლიტერატურული ესსე, გამომცემლობა „მერანი“, თბ., 1986.
8. სიგუა 2007 — ს. სიგუა, მხატვრული აზროვნება: გენეზისი და სტრუქტურა, გამომცემლობა „მწერლის გაზეთი“, თბ., 2007.





### მირზა გელოვანს

*„მე დავბრუნდები აპრილის თვეში,  
მე შენი თმები დამაბრუნებენ“.*

შენს დაბრუნებას, სულ, ცოტა ეკლდა,  
შენ მოიაზრე ნაზი აპრილი,  
გეგონა, სატრფოს დალაღს ნახავდი, —  
რომ ექნებოდა მკერდზე დაყრილი.

მაგრამ... კაჟი ხარ, გამაგრდი მაინც,  
ვაჟკაცთ ცრემლები არ შვეენის, მირზა,  
სევდა არ შველის, დარდი არ შვეენის,  
ხარ ბრძოლის ველზე, მირზა, რას იზამ!

და... ისწრაფვოდი სიყვარულისთვის  
გაზაფხული რომ შეგინახავდა;  
როცა — მზე მინას იით ქარგავდა  
და, ნაზი ფუნჯით, მდელოს ხატავდა.

თუმც, — ცოტა აკლდა შენს დაბრუნებას,  
გამარჯვებამდე — რალაც დღეები...  
გაზაფხულთან, ხომ, გაყრა, გემძიმა,  
როდესაც — სიკვდილს ჯიქურ შეეები...

ომში მოვიდა ლადოს ამბავიც,  
ცისკარმა როცა ცისფრად იალა...  
ხომ ჩარაზეო — სიკვდილის კარი, —  
მაგრამ... ჩაუნყდა — სიმი წკრიალა.

აელვარებულ ლექსთა ნაკადში —  
მკაცრი სიცივე შემოდიოდა...  
ზეცა გაორდა, მიმქრალ თვლებში —  
შენი იორი ცრემლად დიოდა...

ნეტავ, ბრძოლაში ჩემთან მყოლოდა,  
დავიფარავდი ლადოს — მე, ისევ,  
გული — საგულეს, თითქმის, სცილდება,  
როცა — ძმობილზე, სამძიმარს ისმენ.

გამარჯვებამდე... რა ცოტა აკლდა...  
შენთვის სიცოცხლე აღარა რეკდა,  
ჩვენს გამარჯვებას სჭექდა ცა — ბუკით  
და... შენ კი... დარჩი, — მარად ჭაბუკი...

**ნუნუ ქაფუკაშვილი**



თეგურ ტაბატაქა



წმინდა ნინოს ცხოვრება

პოემა

პროლოგი

მძიმე ნაბიჯით  
 მიგყვები ბილიკს,  
 „შუქით ნაჯიჯგნი“ ილევა ღამე,  
 ვით შესანიერი უფლის ბატკანი,  
 ისე მორჩილად მომყვება მთვარე.  
 „ცხოვრების ხურჯინს“  
 ქექავს ფიქრები,  
 ო! როგორ უჭირს  
 ცოდვიან სურვილს,  
 როცა „ვიქნები“ და არ „ვიქნები“,  
 ამ წუთისოფელს მოვეუკლავ წყურვილს;  
 მრჩება ტკივილი,  
 „სიმღერა გედის“,  
 გზას მინათებდა შუქი ჩირაღდნის,  
 მამულის ბედის  
 ვარ მოზიარე,  
 მომყვება მადლი ჩემი წინაპრის;  
 წუთისოფელმა შემამკო „ვერცხლით“,  
 „თავს დამჩხაოდა შავი ყორანი“,  
 მე ამირანის მათბობდა ცეცხლი,  
 ღმერთებთან ბრძოლით მონაპოვარი;  
 „ოქროს სანმისი“ დავკიდე ხეზე,  
 „აიას“ ბედი მივანდე ურჩხულს,  
 ნაცარქექიას „ნატერფალს“ ვენდე  
 და „ბენვის ხიდი“ გავდევი უფსკრულს.  
 როდესაც ეპყრა ველურ აზრს კვერთხი,  
 ფარნავაზ მეფემ მომიძღვნა წიგნი,  
 მაგრამ გამიწყრა მაღალი ღმერთი,  
 „ულრუბლო ცაზე“ ჩამოწვა ბინდი;  
 ხელის ცეცებით ვათენე ღამე,  
 „გვირაბის ბოლოს“ ველოდი ნათელს,  
 „ქვესკნელის კარნი“ ძალით განვახვნე  
 და დავუძვერი დავგებულ მახეს.  
 შუქი არ კრთოდა  
 წყვდიადში არსით,  
 არ ასდიოდა კერიას კვამლი,  
 შურიტ და ფარსით  
 ხარობდა ჟამი,  
 ბაყბაყდევს ეპყრა „ცისკარას ხმალი“;  
 სულზე მომისწრო „სიტყვამ დიადმა“,  
 ჯვრით შემობრძანდა მცხეთაში ნინო,  
 მართალი ვიყავ, გონმაც მიაზრა,  
 „ჯვარზე ვემთხვიე“, უფალმაც მიძმო.

სვეტიცხოველში  
 დავფალი კვართი  
 და უფლის სახლი  
 ავაგე იქვე,  
 აღარ მოვიდე არმაზის ხათრი,  
 „გაცი“ და „გაიმ“ დავამხვე პირქვე.  
 „ფეხი დავადგი“ ზვიად იალბუზს,  
 „მგლისთავა მეფეს“ ბრძოლაში ვახლდი,  
 სიმი გავუბი სვანურ ჭიანურს,  
 მახვილის ცემით „გავშალე ქართველი“;  
 ისევ ჯიუტად „დავოთხე“ დღენი,  
 რადგან წარსული ანმყოს მწყემსია,  
 პირქუშ ეპოქას მოვთხოვე „ძღვენი“,  
 ბოროტსა ვძლიე, ვიყავ მესია;  
 გობრონის რწმენა შევწირე მიზანს  
 და სარკინოზთა აღვეკეთე ფეხი,  
 კურაპალატის ოცნება ვიყავ,  
 მისი სატევრის „ციური მეხი“.  
 სისხლდანრეტილი ვეახლე ბაგრატს,  
 „ერთიან საყდარს“  
 დავადგი ჯვარი,  
 კავკასიონზე „დავადე ტორი“,  
 ურჯულოებზე ვიყარე ჯავრი.  
 ჭყონდიდს ვაახლე  
 მე მზეჭაბუკი  
 და მენამული  
 გავფანტე ნისლი,  
 „დიდგორის ველზე“ ვიყავ ყიფჩაღი,  
 სიკვდილს, სიცოცხლის დავუდე ფიცი.  
 „აღმოცისკრებად  
 ისურვა მზემან“...  
 და მტერზე ძღვევამ,  
 შემმატა რწმენა,  
 ტფილის-ქალაქში დავიდგი ტახტი,  
 კვლავ ავაბოლე მიმქრალი კერა.  
 ფუძე ვუკურთხე, გელათის ტაძარს,  
 იყალთოს მისწვდა ნათელი ფიქრი,  
 სწავლა მომწყურდა „ბრძოლებით მაძღარს“  
 და გადავშალე „ცხოვრების წიგნი“.  
 ძე არ მიბოძა გამჩენმა ქვეყნის,  
 გაორდა სული,  
 გადასწვდა წარსულს,  
 კვლავ გავიხსენე „სანმისი ვერძის“,  
 სკიპტრა ვუბოძე „ნათლისდარ ასულს“.  
 „ვეფხი“ მოვაშთე, გავხადე ტყავი,



„ტყავი“, რომელიც ჩემს მინას მოსავს,  
 ბედისწერასთან დავედვი ზავი,  
 „ჯვრის მონასტერში“ გავყევი შოთას...  
 ეჰ! მერამდენედ ვკიდივარ ბენჯზე,  
 სიკვდილის ლანდი, სიცოცხლეს უღრენს,  
 „კოჭლი მონღოლი“ შემდგარა სერზე,  
 ნირშეუცვლელად მომავალს უმზერს.  
 ისევ „გავთვალე“ ბოროტი მზერა,  
 „რვაჯერ გავტეხე“ ბრძოლებით ნავსი,  
 ღმერთმა მასწავლა ჭირი და თმენა  
 და „ფერფლში“ ვპოვე სიცოცხლის არსი.  
 ძმამ არ მაცალა  
 „აღდგომა მკვდრეთით“,  
 ჟამმა „ცანცარამ“  
 შემყარა ეშმას,  
 „თავსა ვუხეთქე“ მოყვარეს ხმალი,  
 „გული გამითბო“ ლალატის ეშხმა.  
 მაგრამ შემაკრთო „ყივილმა სისხლის“  
 და „ხელი ვკარი“ ქარაფით ლალატს,  
 არ ვარ დამთმობი არცერთი მისხლის,  
 მამულს არ შევყრი ჭირსა და ვარამს.  
 ვაჟკაცის სიტყვას  
 დავადე ფასი,  
 ოცნებას მიმქრალს,  
 „შევასხი ფრთები“,  
 ანის-ქალაქში ნავისვი თაფლი,  
 ნოინის თვალნინ გავიკარ მხრები.  
 ამერ-იმერის დავლოცე მიწა,  
 „ბრწყინვალე“ ჟამით ვახარე ქართლი,  
 ისევ „იყვილა“ წინაპრის სისხლმა,  
 მწამდა მომავლის, ვიყავი ნაღდი.  
 ერთანმინდაა სინმინდე ერის,  
 „შვილო, გოგიავ!“ — ქოთქოთებს ჩიტი,  
 „მამულისათვის სიკვდილიც მღერის!“ —  
 ამაყად ამბობს „პატარა ბიჭი“.  
 შირაზის მინას ტკეპნის ჯალათი  
 და მშვიდად ფერავს ძვლისმკვნეტელ მარნუხს,  
 ცეცხლში გიზგიზებს იფნის სანათი,  
 დედოფლის მზერა,  
 მზეს ეძებს ქართულს.  
 „აქ, არს ცხირეთი!“ — ნარმოთქვამს ბერი,  
 ღიმილით ხვდება თურქმანის რისხვას —  
 „ჩემი სიცოცხლე, ქართველია ჩემი!  
 ამის უმეტესს არ დავძრავ სიტყვას!“ —  
 „კრწანისის ველზე“ ზუზუნებს ქარი,  
 „დაჭრილი გული“ ძალუმად მიძგერს,  
 გრძნობას აფხიზლებს მოხდილი ვალი  
 და მომავლიდან მამული მიმზერს;  
 მძიმე ნაბიჯით  
 მივყვები ბილიკს,  
 „შუქით ნაჯიჯგნი“  
 თენდება ღამე...

## ნანძლი პირველი

### თავი I

აღმოსავლეთით ბინდი შეიმღვრა,  
 აულაჟლაჟდა „ლოყები“ ზეცას,  
 ბანაკი ველზე მძიმედ შეირხა,  
 ნისლებს მზის სხივის დანახვა შერცხვათ;  
 ქექვა დაუნყეს მხედრებმა საგზალს,  
 ატყდა ყაყანი, ჭიხვინი ცხენთა,  
 მეფე ჩქარობდა ბანაკის აშლას,  
 მონატრებოდა მირიანს მცხეთა.

წრეში შეგროვდნენ ყველანი ერთად,  
 როგორც სჩვეოდათ ბრძოლის წინ მხედრებს,  
 სიცილს აყრიდნენ ფეხოსნებს ერთხმად,  
 შამფურზე სწვავდნენ გაპუტულ დედლებს.  
 მეფეს მიაერთვა დაჩიმ ვარია,  
 მხედართმთავარმა იბერთა ჯარის,  
 მეფემაც ხათრი უხმოდ „დალია“  
 და აახია უსიტყვოდ „მხარი“.  
 ითხოვა ცხენი, მოეველო ზურგზე,  
 ხელი აღმართა, წინ გაიშვირა,  
 ნამოიშალა ლაშქარი უცებ,  
 მეფის ნიშანზე „ბუკმაც იყვირა“.  
 ტაატით მიყვნი კლდოვან ხეობას,  
 ნამოენია მირიანს დაჩი,  
 კითხვა შეჰბედა, როგორც მეგობარს:  
 „მეფეო! გუშინ აქ რატომ დავრჩით?“ —  
 „მხედართმთავარო! დალილი ვიყავ,  
 ჯარსაც ამიტომ მივეცი ნება,  
 ჩემს სახლეულს და ღმერთებს ვფიცავარ,  
 ყველა მეომარს ეკუთვნის ქება;  
 კი ენატრებათ თვისი სახლ-კარი,  
 მაგრამ ერთი დღე განა რამედ ღირს?  
 ბიზანტიელებს მაგრად დავკარით,  
 აღარ იზამენ ჩვენსკენ აწი პირს.  
 მაგაზე უფრო მე სხვა მადარდებს,  
 როდემდე უნდა ვიომოთ ასე?  
 ბერძენ-სპარსელთა „ჭამის მადაზე“  
 და „მოთმინების ფიალით“ სავსემ?“ —  
 „ვიდრე ვიცოცხლებთ, უნდა ვიომოთ,  
 ალბათ მეფეო! ასე არს ბედი!“ —  
 მიუგო დაჩიმ მეფე მირიანს  
 და დაანახა ქალაქის ხედი.  
 თვალი შეავლო ხელმწიფემ მცხეთას,  
 გაუქრა დარდი, აძგერდა გული,  
 მშვიდად უცქირა გაღმიდან ერთხანს,  
 ცხენს გადმოეველო, გამართა მუხლი.  
 ჩამოქვეითდა მხედართმთავარიც,  
 მეფეს შეხედა, ნარმოთქვა სიტყვა:  
 „გამომივლია ჭირი მრავალი,  
 მამულის მიმართ გული მაქვს წმინდა.  
 ნუ მიწყენ თუკი სიმართლეს გეტყვი  
 და ნუ შემრისხავ, ამისთვის მეფევ!  
 ერთი რამ არის, აქამდე ვერ ვსტქვი,  
 არმაზ-ღვთაება გყოლოდეს შემწე!  
 ზოგი მთავარი ჩვენს რჯულს განუდგა,  
 გაუგზავნია უსტარი მტრისთვის,  
 თუმცა ვერ ვხვდები, ამით რა უნდათ,  
 რად ეპყრობიან ჩვენს ღმერთებს ზიზლით!“ —  
 ხელმწიფე შედგა გაოცებული,  
 დაჩის შეხედა მრისხანე სახით:  
 „ვითომ რადა ხარ დამორცხვებული?  
 რისი თქმა გინდა ნეტავი ამით?“ —  
 „მეფევ! განსაჯე სამართლიანად,  
 რომი კი იცი, თაყვანს სცემს ქრისტეს,  
 არ იქცევიან ნალმართიანად,  
 ფიქრებით ჭკუას დღედაღამ ვიმტვრევ.  
 მსტოვარმა ასე მიაბო, თურმე,  
 იკრიბებიან მთავარნი ხშირად,  
 ამის გამგონე „გავსივდი გულზე“,  
 თუ ნებას დამრთავ დავუჯენ ძვირად!“ —  
 „მცხეთას მიაბე შენ დაწვრილებით,  
 მხედართმთავარო, რაც ახლა მითხარ,  
 უნებლიეთ თუ ვილაცის ნებით,  
 დაჩი, ამაზე რად სდუმდი დიდხანს?“ —  
 „პირველად მეფევ! ვერაფერს მივხვდი





და ყურადღება არ მივაქციე,  
მაგრამ, როდესაც ღრმად ჩავუფიქრდი  
და რომაელნიც უკუვაქციეთ,  
მხოლოდ მაშინლა გამიჩნდა აზრი,  
რომ ყველაფერი რთულია ძალზე,  
ბედმა გვიმოუხთლა, განყრა არმაზი,  
განკითხვის დღენი მოგვადგა კარზე;  
თუ რომი შესძლებს, თუნდაც მალულად,  
ქრისტიანობით იბერთა გარყვნას,  
ზედმეტი განსჯა ამას არ უნდა,  
წყალში ჩაგვიყრის ერისთვის ამაგს!“ —  
ზურგში უეცრად ყაყანი ატყდა,  
ნამოსნეოდნენ უკან მხედრები,  
ვილაც მებრძოლი „მუხლებში გატყდა“,  
მეფეს შეხედა შიშისფეთებით.  
„რა ხმაურია?“ — იკითხა დინჯად,  
მეფემ და სივრცე მზერით გააპო, —  
„ჩვენო პატრონო! გულში მაქვს ხინჯად!“ —  
მხედარმა ქედში ხელი ჩაავლო  
და დააჩოქა მეფის წინაშე,  
მავედრებელი თვალებით მზერი —  
„ხმალი ვიშოვე ამის ჯინაზე,  
როცა ავგოტეთ ქალაში მტერი;  
ლამით მომპარა, დამტოვა სახტად,  
დღეს წელს შეერთყა, ყოფილა ურცხვი,  
არმაზს ვფიცავარ! დამასვა დამლა,  
რომაელ მხედარს ძლივს გადავურჩი.  
„კმარა!“ — წარმოთქვა: „არ მინდა ფიცი!“ —  
მიუტრიალდა ხელმწიფე მპარავს:  
„რად მოიპარე? ნუთუ არ იცი,  
რომ გაგონებაც კი ამის მზარავს? —  
სადაური ხარ?“ — უსწორა თვალი —  
„უჯარმელი ვარ!“ — იყო პასუხი —  
„ყველა ბრძოლაში ვიქნე ხმალი,  
სახელი ჩემი გახლავთ სალუხი;  
ღარიბად ვცხოვრობ, მიჭირს მეფეო!  
ექვსი შვილი მყავს, ქალია ყველა,  
სხვა გზა არა მაქვს, უნდა ვეფერო,  
მოგეხსენებათ: ძნელია რჩენა.  
გუშინლამ ვნახე ხმალი კარავში,  
გულმა არ მიყო, ამის თქმა მიჭირს,  
მე შემჩნეული არ ვარ პარავში,  
არმაზს ვფიცავარ! ვფიცავარ სინდისს!“ —  
ცხენზე ამხედრდა მეფე მირიან:  
„მომეცით ხმალი!“ — გასცა ბრძანება —  
„ქურდობის ფასი მეტად ძვირია  
და ვერ უშველის ბედი თავნება“. —  
თქვა და უჩვენა დაჩოქილ ქურდზე,  
მხედარს მიმართა: „მოსხიპე თავი!  
ტანი მოიბი მაგ ცხენის კუდზე,  
ნაალაფარი, შეირგე ხმალი! —  
ამის სახლეულს“ — მიმართა თითი,  
დახედა ცერად თავდახრილ მებრძოლს:  
„აჩუქეთ ქისა, მიეცით იფქლი,  
რა დააშავეს, სიკეთე ერგოთ“.

## თავი II

ზეიმით შეხვდა მირიანს მცხეთა,  
ხარი შესწირეს ღვთაება არმაზს,  
საჭეთმპყრობელი „ცეცხლთა და მეხთა“  
მარჯვნივ და მარცხნივ აბნევდა ალმასს.  
სასახლის კართან მან თვალი ჰკიდა,  
ილიმებოდა მშველივით მკვირცხლი,  
მამულისათვის იმედად ზრდიდა,  
რატის ძარღვებში უდღულდა სისხლი.

რევი დაარქვეს მშობლების იმედს,  
რატის უხმობდნენ მას მოფერებით,  
მღელვარებისგან სუნთქავდა მძიმედ,  
მამას უცქერდა ყელმოღერებით.  
ნანაც იქ იდგა, რატისთან ერთად,  
სულგანაბული პატრონს ელოდა,  
მუხლებს იყვლეფდა სრულიად მცხეთა,  
ღვთის საგალობელს ისე მღეროდა.  
ცხენს გადმოველო ხელმწიფე მყისვე,  
თვალი შეავლო სასახლის სამანს,  
ზურგი აქცია უცბად მცხეთის ერს  
და მიეახლა დედოფალ ნანას.  
ზღვისფერ თვალებში ცრემლი პანია,  
შენიშნა ნანას, მონმინდა ცერით,  
რატის დახედა, მალლა ასწია  
და მიუბრუნდა გართულებს მღერით:  
„დღეგრძელი იყავ! იბერთა მეფევე!  
გვარვიდეს არმაზ!“ — შეჰბლავლა ერმა —  
„დრო გაგიგრძელდეს და შემწედ გვექმენ,  
დიდხანს იბრუნოს შენს თავზე მზემან!“ —  
„შევიდეთ დარბაზს!“ — გასცა ბრძანება —  
„ერს კი მიეცით მოლხენის ნება!“ —  
მხარზე შეისვა ვაჟი თავნება  
და გაიარა სვეტების წყება.  
ბავშვი ძირს დასვა, გადასცა დედას,  
თითით მოიხმო მღუმარე დაჩი —  
„დამტოვეთ მარტო!“ — მიმართა ყველას —  
დაჩის უბრძანა: „ჩემს გვერდით დარჩი!“ —  
დარბაზში ერთად შევიდნენ ორნი,  
ტახტზე ჩამოჯდა ხელმწიფე დინჯად,  
ეს უთხრა დაჩის: „შეგრისხე მგონი,  
დილით ნათქვამი არ დაგრჩეს ხინჯად;  
შანთით ამონვი მცხეთაში ქრისტი,  
დასაჯე ყველა და „ძელზე გასვი“,  
როგორც გადაწყვეტ მოიქცე ისე,  
გამოიყენე ყოველი შანსი.  
ახლა კი წადი, ჩემო სარდალო!  
ფიქრთან დამტოვე, მხევალს უთხარი,  
რომ მომიმზადოს ცხელი აბანო,  
ნითელი ღვინო, მცირე ნუგბარი“.

## თავი III

დამძიმებული გონებით მთვრალი,  
ენვია ღამით დედოფლის დარბაზს:  
„ხვალ დილისსულზე შევწიროთ ხარი,  
ყველანი ერთად ავიდეთ არმაზს!“ —  
უთხრა ნანას და სარკმელთან დასვა,  
მთვარეს ახედა მეფემ იბერთა,  
თავი დახარა ითხოვა წასვლა,  
დედოფლის სეფემ ჟამი იხელთა.  
და როგორც იქნა, პირისპირ დარჩნენ,  
„იმედის ნათელს“ ფიქრები სცრიდა,  
სიოს გრიგალის უშფოთველ „ნარჩენს“,  
ვერხვის ფოთლები ჰანგებდა წნიდა.  
კვარი კუთხეში ღამეს შეყროდა,  
სული და ხორცი მღეროდა ერთად,  
გულს, გულისცემის ექო ესმოდა,  
დედოფლის ცრემლი ჩამოდნა სევდად.  
„თუ კი ოდესმე მიმუხთლა ჟამმა!“ —  
მეფემ წარმოთქვა სიტყვები მშვიდად,  
მთვარე ღრუბლებში ნაცრისფრად დადნა,  
დრო წყეულ ნუთებს მარცვლებად „ფშვნიდა“; —  
„არვინ დაჩაგროს, მიხედე რატის,  
ის უნდა იყოს ტახტის მემკვიდრე,  
მებაღემ იცის სად დავფალ განძი,



არ ჰკითხო, დრო არ დადგება ვიდრე;  
გაჭირვებაში ენდე საურმაგს  
და ჩააბარე შენ განძი სრულად,  
ფიქრი და განსჯა ამას არ უნდა,  
აქ შეიძლება მოგექცნენ მრტულად.  
წადი თქვენებთან, გადადი პონტოს  
და დაელოდე ბედ-ილბლის ღიმისს,  
ცხოვრებას ბრძოლა და ქიშპი მოსწონს,  
მოსწონს თამაში, „გატყება პირის“ ...  
შიშმა შეიპყრო, შემფოთდა ნანა,  
სრულად დაებნა საბრალოს აზრი:  
„ნეტავ ვინ ლესავს მეფისთვის დანას?  
შესაძლო არის სიძე ან მახლი;  
მაგრამ მეფის ძმა ხომ არ იკადრებს?..  
მაშინ ფეროზი, სიძე მეფისა,  
თუმცა ფეროზმა ერის წინაშე,  
მას ერთგულება ბევრჯერ შეჰფიცა.  
გულბოროტია რანის მმართველი,  
თვალი უჭირავს ტახტისკენ მუდამ,  
როგორ გადარჩა მაშინ ჯანმრთელი,  
როგორ იწივლა ისარმა ფუჭად.  
ვისზეც დაიკრა მცირედი იჭვი,  
მარგილზე გასვა, შეჰყარა სიკვდილს,  
მაშინ დაუდო მეფესაც ფიცი,  
რომ იცოცხლებდა მხოლოდღა მისთვის“. —  
გაფანტა დარდი, შეხედა პატრონს,  
მოჰკიდებოდა გადაღლილს რული  
და გონებაში „ფიქრებზე ნათოვს“,  
სევდას ეღვიძა „ფიქრების წნულით“ ...  
აშლილი გონი ძლივს ჩადგა „ხნულში“,  
ამობრწყინებულ მზეს მისცა სიტყვა,  
სამარადჟამოდ დამარხა გულში,  
რაც მეფის მხრიდან ნუხილით ითქვა.

#### თავი IV

ტახტზე დაბრძანდა მეფე მირიან,  
„დარბაზისერიც“ დასხდა „სელებზე“,  
ერისთავ გვარამ თავი იწვია,  
მიისვ-მოისვა ხელი წვერებზე. —  
„მეფეო, მინდა შეგკადრო სიტყვა,  
ლაზნი ომისთვის შეუდგენ გარჯას,  
დაჩის წინაშე ამაზე ითქვა,  
რადგან ვესწრაფი გუბაზის დასჯას“. —  
„ვერ გაბედავენ, შეშინდებიან!“ —  
მშვიდად მიუგო ხელმწიფემ გვარამს —  
„არა, მეფეო! არ მშვიდდებიან,  
ლაზნი უცილოდ შეგვყრიან ვარამს;  
ასმა მებრძოლმა და „მეისარმა“,  
ძირულის პირას დასცა ბანაკი“; —  
ხელი შემართა, თქვა ერისთავმა:  
„ჩემი თვალთ მატქს ესე ნანახი;  
ორთავე ვითომ ვემხრობით სპარსელთ,  
სპარსნი კი იცით ვინაც არიან,  
წაგვაქეზებენ, ერთმანეთს დაეცხებთ,  
არ ინაღვლებენ ამას ძალიან!“ —  
„ველარ შესძლებენ, რომ მაგ მზაკვრობით,  
ომში ჩააბან ორივე მხარე,  
ეს არ მოხდება ჩემი სარდლობით,  
ვიდრე ზეცაში ჰკიდია მთვარე.  
რადგან სპარსელნი არ მშვიდდებიან,  
ძმობა შევფიცოთ დიდ კონსტანტინეს,  
ამით ისინი დაშინდებიან,  
ომს ავიცილებთ ძალიან მძიმეს!“ —  
მეფის სიტყვებზე ყაყანი ატყდა,  
არ მოელოდნენ რომაელთ ქებას,

მაგრამ, როგორც კი დარბაზი „გატყდა“,  
დაჩი წარუდგა თავდახრით კრებას; —  
„დიდო მეფეო! იყავ დღეგრძელი,  
შენი მეფობა იყოს სვიანი,  
მამულის დაცვა თუ ვერ შეეძელი,  
არ გამითენდეს დილა მზიანი!  
გვარამის სიტყვას ეშხი აკლია,  
თუმცა ერისთავს აზრები უჭრის,  
ასეთ ყოფაში ნეტავ რა ყრია?  
სპარსეთს ამჟამად თავისთვის უჭირს.  
ეგ წყეულები დასუსტდნენ სრულად  
და უნდა ითქვას მართალი სიტყვა,  
ეს საქმე უნდა გადავჭრათ ბრძნულად,  
ჩვენი გზა ილბალს რომისკენ მიჰყავს.  
თუ არ შევეკვრით რომაელთ სწრაფად,  
ისარგებლებენ ჩვენი სისუსტით,  
შემოგვიტევენ ლაზები მძაფრად,  
დაასრულებენ საქმეს სიზუსტით.  
არა, მეფეო! არამც და არამც,  
არ შეიძლება სპარსელთა ნდობა;  
შენც შეისმინე ერისთავ გვარამ,  
უნდა შევფიცოთ რომაელთ ძმობა!“ —  
ხელი აღმართა ხელმწიფემ ზემოთ,  
თანხმობა უთხრა ერთგულ ძმადნაფიცს:  
„ჩვენი ღმერთების წყალობას ვენდოთ,  
ნულარ გადავდგამთ ისეც მცდარ ნაბიჯს!  
ნუ დაუწროებთ სპარსელთა მიზანს,  
ომს ვერ დაგვინყებს, შიში დაეძლიოთ,  
თუ საჭიროა, იბერთა მიწას,  
თავი შევწიროთ, სისხლი ვანთხიოთ!“ —

#### თავი V

მაცნე მოვიდა სპარსთაგან მცხეთას,  
ომში იწვევდა შაჰი მირიანს:  
„შევერკინები კეისარს მედგრად,  
დღეს დაუზბნელებ რომაელთ მზიანს!“ —  
ღიმილით შეხვდა შაჰის მოთხოვნას,  
იბერიონთა დინჯი ხელმწიფე:  
„გაუჭირდებათ ჩვენი მოთოკვა,  
რადგან რომს ძმობა უკვე შევფიცეთ!“ —  
თქვა და აახლა უსტარი მტკიცე,  
შაჰ ნარსეს გული ბოღმით გასივდა,  
მირიან მეფემ უარი თქვა ფიცზე,  
სისუსტის წლები რადგან „გაფრინდა“. —  
სადარდებელი სხვა ჰქონდა მეფეს,  
ინერებოდნენ მსტოვარნი წვრილად:  
„ლაზნი განუდგნენ საკუთარ ღმერთებს,  
გონი დაებნათ, ტვინზედაც „სცივათ“. —  
ქრისტეზე ლოცვას შეუდგნენ ჩუმად,  
ვიღაც ქადაგებს მოსული რომით,  
ეგ წყეულები, გაგიჟდნენ სრულად,  
ღმერთკაცს ჰმონობენ შიშით და ძრწოლვით;“ —  
ძლიერ შეაკრთო მსტოვართა არზამ  
მეფე და მთელი „დარბაზის ერი“,  
დაჩის მოუხმო, თათბირად დასვა,  
ერთად გატეხეს დღე-ღამე მთელი. —  
„საურმაგ უნდა გავგზავნოთ ლაზეთს!“ —  
რჩევით მიმართა ხელმწიფეს დაჩიმ; —  
„შენი გულისთვის სიცოცხლეს დასდებს,  
უფრო ერთგული არა მყავს კაცი!“ —  
არ ეჭაშნიკა მონა რომ უქეს,  
მეფე მებაღეს შეჰყრიდა ხიფათს,  
მაგრამ იცოდა რომ მასზე უკეთ  
ვერ მოირგებდა ვერავინ „ნიღაბს“,  
მეფესთან სწრაფად მოუხმეს მონას,





ისიც „მოფრინდა“, როგორც სჩვეოდა,  
დაჩის კითხვაზე, შეუდგა „მოთქმას“,  
ქრისტიანებზე მასაც სმენოდა. —  
„ხვალე გაჰყევი ქარავანს ბარემ,  
შუშა წაიღე სავაჭროდ ურმით,  
კარგად დაზვერე ფაზისის მხარე,  
მერე გადადი ბიჭვინთას ცურვით.  
გზადაგზა შუშა აქციე ფულად  
და მსტოვრის ხელით მოგვეც უსტარი,  
ქრისტეს ამბავი გვაახლე სრულად,  
კარგად შეიტყვე ვინ ჰყავს „მუშტარი“.  
ახლა კი ჩადი შენ „მთვარის ველზე“,  
შუშის ოსტატი მოძებნე ბაქარ,  
ვიცი, მიზნისთვის ყველაფერს შესძლებ,  
ჩვენ შეგინახავთ მანამდე სახლ-კარს. —  
დაჩიმ ღიმილით შეხედა მსტოვარს:  
„დაგელოდება შენი ანასტა,  
შეხვედრის ჟამი უცილოდ მოვა,  
თუნდაც მახეში მოხვდე ანაზდად!“ —  
მებალე ღიმილს ღიმილით შეხვდა:  
„რა მელოდება, წინასწარ ვიცი,  
მე და ანასტამ არმაზთან ერთად  
სიცოცხლის დღენი შევკარით ფიცით!“ —  
ნიშანი მისცა მეფემ საურმაგს,  
მანაც ქარაგმა შეწყვიტა სწრაფად,  
მერე ორთავეს თავი დაუკრა,  
მთავარსარდალი დატოვა სახტად...  
„სამეფო ბაღში“ დაუყვა კიბეს,  
ქობის წინ შედგა, შებოჭა დარდმა,  
მიხვდა, ელოდა დღეები მძიმე  
და განყდებოდა „ყისმათის აცმა“. —  
„რად გეძებდაო, პატრონი ჩვენი?“ —  
მისვლისთანავე ჰკითხა ანასტამ;  
„ხვალ ლაზეთს მგზავნის, საქმეა გრძელი,  
უნდა წავილო ძღვენიც ამასთან“ —  
თქვა და მეუღლეს შუბლზე ემთხვია,  
ფარულ მზერაში სევდა გამოკრთა,  
სჯობდა, რომ ზეცა ჩამოექციათ,  
რადგან ვარამი კართან „ჩამოჯდა“.

### თავი VI

იბერთა მეფე ნაბრძანდა ურბნისს  
და სახლეულიც იახლა ქალაქს,  
ბრძანა შეკრება ასიოდ ურმის,  
ციხისთვის დიდხანს არჩევდა ალაგს.  
კლდეზე მიაგნო საჭირო ადგილს,  
ზეცას შეზრდოდა ქარაფის წვერი,  
არ დაივინყა გაღება მადლის,  
ხუროთმოძღვარი აავსო ძღვენით.  
სწრაფად შეუდგნენ საქმეს ოსტატნი,  
კირითხურონი აგებდნენ კედლებს,  
„ციხეს გვიგებსო!“ — მეფის ქომავნი  
მიმოდრიოდნენ, ქვეყანა შეძრეს;  
მეცხრე თვეში „ორკეცად იდგა“,  
მოლოგინებას ელოდა ნანა,  
მისი დანახვა ერთ რამედ ღირდა,  
ედგა საოცრად ლამაზი ხანა.  
მშენებლობიდან მობრუნდა მეფე,  
ნანას ეახლა სასახლის ბაღში,  
ხელი მოხვია, გამართა ფეხზე,  
თავად შეუდგა მეუღლეს მხარში;  
სურდა ეხილათ ბაღიდან ციხე,  
შორიდან ჰგავდა ფრთაგაშლილ არწივს,  
მაგრამ იტყოდა რაიმეს ვიდრე,  
თვალი შეასწრო მომავალ დაჩის.

არ ეჭაშნიკა ძუძუმტის ხილვა,  
წარბი აზიდა, შეხედა მწყურალად,  
დაჩი შეჩერდა, წარმოთქვა სიტყვა:  
„ხაზართ ბელადი გვესტუმრა ბარად!  
ბევრნი არიან წყეულნი თურმე  
და თანაც კარგი დაუდგათ დარი,  
გვარამს გაღმამთის სანახზე ვუხმე,  
რომ არ შელენონ „არაგვის კარნი“.  
რა წუთს მოვიდა ამბავი ესე,  
გამოვეშურე, დავტოვე მცხეთა,  
თუ ნებას დამრთავ, ვახლებ დღესვე,  
ათას მეომარს ჟალეთში სელთანს.  
სამიათასი მხედარი მახლავს,  
ორიათასსაც შევკრიბავ მალე,  
თუ ამ ჟამიდან დავინყებთ ათვლას,  
ჩვენ მზად ვიქნებით ბრძოლისთვის ხვალე!“ —  
„კარგია დაჩი, ეგ დასაწყისი,  
შველა სჭირდება უცილოდ სელთანს,  
კაცი აფრინე ფეროზთან გიშში,  
ხვალ დედოფალიც გავგზავნოთ მცხეთას!“ —  
მეფემ შეხედა მეუღლეს მშვიდად,  
იხმო თავისთან ძე თვისი რატიც,  
მდინარის გაღმა, ჭანჭრობის მხრიდან,  
დედალს უხმობდა მამალი ბატი.

### თავი VII

მამლის ყივილმა შეაკრთო ღამე  
და შუქიც ნათლის მედგრად იბრძოდა,  
დღე თენდებოდა მთებს შორის მდარედ,  
ოდნავი სიოც კი არ იძვროდა.  
„არაგვის კართან“ ეცვალათ მხარი,  
ხაზართ ბანაკი ვინრო ხეეს კვეთდა,  
დადევნებოდა მთიელთა ჯარი,  
წყალგალმით იდგა ერისთავ სელთან.  
დამხვდურთ ეამათ დანახვა მეფის,  
ფიცხლად ითხოვეს ბრძოლის დანყება,  
„შევებათ წყეულთ! ვახსენოთ ღმერთი,  
ნუთუ არმაზი ჩვენთვის განყრება?“ —  
ღდინი გასცლოდათ კაცსაც და ცხენსაც,  
ორი დღე-ღამის ჭენების გამო,  
ხელმწიფემ ბრძანა: „ნაგვივლენ ვერსად,  
მივხედოთ ცხენებს, ბალახი ჭამონ.  
ჩვენც დავისვენოთ, დავნაყრდეთ მცირედ  
და ბუკის ხმაზე დავენყოთ მარდად,  
მედგრად ვიომოთ, ვიცოცხლებთ ვიდრე,  
ხაზართა ჯავრი არ ნაგვეყვს დარდად!“ —  
ბანაკი დასცეს, დაიცხრეს ჟინი,  
რიგი ჩამწკრივდა ფარ-შუბთა ძნების,  
ფიქრი განაგდეს, გამართეს ლხინი,  
მთლად გააოცეს დამფრთხალი მტერი.  
ხაზართა ბელადს შეუჯდა შიში,  
მარჯვედ ცდილობდა შიშის დამალვას,  
დარდს იქარვებდა ვაით და ვიშით,  
ღამით ფიქრობდა ჩუმად გაპარვას; —  
„იქნებ, ღამემდე ვაჯანჯლო საქმე,  
იქნებ, მოტყუვდეს ხელმწიფე მათი,  
ხოლო მანამდე ვილონებ რამეს“ —  
თქვა და მოიხმო მებრძოლი ათი:  
„უჩუმრად წადით, იარეთ ფიცხლად!“ —  
უბრძანა მებრძოლთ ბელადმა ხაკიმ:  
„გზები დაზვერეთ, განაგრძეთ წინსვლა  
და ჩამოწვება სიბნელე რაკი,  
ცეცხლი აანთოს ყველა მზვერავმა,  
სწრაფად გვიჩვენოს ღამეში გეზი,  
ახლა კი წადით, კარგად ვერა ვარ!



გვრემას მუცლისას დილიდან ვებრძვი!“ —  
 წინ წარსდგა ერთი მებრძოლი მკვირცხლად,  
 დადრიკა ქედი, თავი დახარა,  
 ის იყო ბელადს პირობა მისცა,  
 მსახურმა ხაკის უცებ ახარა:  
 „ბანაკდებიან იბერნი მარცხნივ,  
 არ აპირებენ დღეს ალბათ ბრძოლას!“...  
 „რადგან ასეა!“ — წარმოთქვა ხაკიმ —  
 „ნულარ ატეხავთ ისრების სროლას!  
 ნურც გამოინვეთ წყეულებს ხმალში,  
 მათ მიმართ არ თქვათ სიტყვები ავი!“ —  
 ანაზდად შიში გამოკრთა ხმაში —  
 „შეინარჩუნეთ დილამდე ზავი!“ —  
 მაგრამ სცდებოდა ბელადი ისევ,  
 ხრიკს ამზადებდა მეფე იბერთა,  
 მტერს აჩვენებდა თავს ვითომ მქისედ,  
 რომ შიშის გამო უკან იხევდა...  
 მზე მოთმინებით „ჩამოდგა მთასთან“,  
 ხაზართა ბელადს დაუკლეს ცხვარი,  
 მოახლე ფრთხილად შევიდა მასთან  
 და შეუტანა ილლით კვარი. —  
 „ცხვრის მწვადი მინდა! უკვე მომშივდა!“ —  
 წყენით წარმოთქვა ბელადმა ხაკიმ:  
 „გაპარვის ჟამი უკვე მოვიდა,  
 აღარ მეცლება დავიძვრით რაკი!“ —  
 გარეთ გავიდა მსახური სწრაფად,  
 ხაკის მზარეულს მოუხმო სტვენით,  
 ვილაც „მოფრინდა“ კარავთან და თქვა:  
 „თვალი შევასწარ უამრავ ქვეითს!  
 ბელადს უთხარი, რომ თავს უშველოს,  
 მცირედი რა ზმი გაგ ზავნოს ზურგში,  
 ხევის ნაპირთან იქნებ უყელონ,  
 მტერი ახლოა, ხმა გვესმის სუნთქვის!“...  
 სიტყვა გაუწყდა ისარი მოხვდა,  
 ბრძოლის ყიჟინამ დაფარა ველი,  
 მეფის მხედრებმა „დაიდეს ცოდვა“,  
 ბოლო კაცამდე შემუსრეს მტერი.

### თავი VIII

მოითქვეს სული, ალაფიც გაჰყვეს,  
 დილით გაგზავნეს მცხეთაში მაცნე,  
 ველზე დაყრილი მკვდრებიც დამარხეს,  
 დედოფალს ბრძოლის მოგებაც ამცნეს. —  
 „რად არ მეახლა მმართველი რანის?“ —  
 იკითხა მეფემ სიძე თავისა —  
 სელთანმა ჰკადრა: „მცირე დრო არის,  
 ვერ მოასწრებდა მოსვლას ამ ხნისად“. —  
 „ერისთავ სელთან, რად ეძებ მიზეზს?  
 შორი გზა არის ეს მართალია,  
 მაგრამ თუ გული ბრძოლისკენ გინევს  
 და დახმარებაც მეფის გნადია,  
 ცხენის სირბილი ამოკლებს მანძილს  
 და ერთგულებას გამოცდის ჟამი,  
 თავის მართლება არაფერს არ ცვლის,  
 რანიდან მცხეთას დღე უნდა სამი.  
 ანაზდად მეფემ იცვალა მხარი,  
 ლაშქარს უბრძანა სასწრაფოდ აშლა,  
 ზღაზვნით გაუყვა ვინრობებს ჯარი  
 და ხეობაში სიმღერით გაძვრა.  
 მეფე რატომღაც აშარდა გზაში,  
 სიტყვა დაუგდო დაჩის და სელთანს:  
 „თქვენ ჯართან ერთად ჟალეთში დარჩით,  
 მე კი გავუტევ ამალით მცხეთას“. —  
 თავქვე დაეშვა იგი ჭენებით,  
 ატყდა გნიასი, ჭიხვინი ცხენთა,

გულის ფანცქალით, შიშისფეთებით,  
 გამოედევნა კოპორტა მცველთა.  
 დიდხანს მისდიეს, გატოპეს ლელე,  
 გუნდად შეიკრნენ, შენივთდნენ ერთად,  
 ველზე გავიდნენ და შედგნენ მერე,  
 რადგან ფლოქვების ხმაური ესმათ.  
 ქვემოთ გამორჩნდა მხედართა რიგი;  
 იკითხა მეფემ: „ნეტავ ვინ არის?..“  
 აჰა, შევიცან, არ უნდა ფიქრი,  
 ეს ფეროზია, მმართველი რანის“. —  
 ფეროზმაც იცნო პატრონი თვისი,  
 დგომა უბრძანა ხმამალა მხედრებს,  
 დეზი ჰკრა ულაცს, „გაფანტა ნისლი“,  
 არ დააცადა „თამაში ნერვებს“. —  
 ცხენს გადმოველო, დაეცა მუხლზე,  
 გესლი და შუღლი მარჯვედ დაფარა,  
 წარმოთქვა: „მეფე! მოგისწარ სულზე!“ —  
 მერე ბექარის შობა ახარა...  
 „ხომ ტანმრთელია ჩემი ძე ბექა?“ —  
 მეფის სახეზე გამოკრთა სხივი —  
 „დიახ! პატრონო! ზეიმობს მცხეთა,  
 გრძელია ჩვილის მნახველთა მწკრივი“. —  
 ხელით ანიშნა, წამოდგა ფეროზ,  
 მეფეს ესროლა ბოროტი მზერა,  
 მერე მიმართა გამოცდილ მეთოდს,  
 დააგუგუნა ბრძოლის სიმღერა.

### თავი IX

ცხრა დღეს ილხენდა სრულიად მცხეთა,  
 გამარჯვებას და ბექას გაჩენას,  
 რანის მმართველმა ჟამი იხელთა:  
 „ველარ შევძლებო თქვენთან დარჩენას!“ —  
 სთხოვა დედოფალს: „გამიშვით ხვალე,  
 სვენებ-სვენებით გავუტევ რანში,  
 რალაც ციება შემიჯდა მავნე,  
 უჟმური სენი ჩასახლდა ტანში“. —  
 ფეროზის სახე „სევდამ განურა“,  
 ცრემლები ღვარა „უცრემლო კაცმა“,  
 უბიდან ფრთხილად ამოაცურა,  
 ნანას ფირუზის აჩუქა აცმა.  
 თანხმობა უთხრა ნანამ ერისთავს,  
 აუნყა პატრონს, დაძლია შიში,  
 მეფე გაბრაზდა, უხმო ბერიკაცს,  
 მოურიდებლად მოუგო ნიშნი; —  
 „ჯერ ვინადიროთ, იმძლავრე სენზე,  
 მერე კი ვჭამოთ „ცვრიანი მწვადი“,  
 ამის შემდგომად თუ მოხვალ ფერზე,  
 საითაც გინდა, იქითკენ წადი!“ —  
 არ ეჭაშნიკა ხელმწიფის სიტყვა,  
 მაგრამ დათანხმდა რანის მმართველი:  
 „რადგან მეფეო! შენ ასე გინდა,  
 რა უნდა მქონდეს მეტი სათქმელი?! —  
 როდემდეც მეტყვი, დავრჩები მცხეთას,  
 თუ სენი დამძლევს გამიშვი მაშინ,  
 ეს გული კვლავაც იმედით ფეთქავს,  
 თუმც შეუმჩნევლად შევედი ხანში“. —

### თავი X

გათენდა დილა, შეიმღვრა ბინდი,  
 მწვერებმა ფიცხი ატეხეს ყეფა,  
 მარეკნი მწვერებს იკრებდნენ ირგვლივ  
 და მზის სხივებმა დაინყეს ფეთქვა.  
 მონადირენი ამხედრდნენ მკვირცხლად  
 და აღტიკნებამ აავსო ზეცა,  
 არაგვის ჭალებს „ბუკის ხმა“ მისწვდა,







„გეში დაიკრა“ კაცმაც და მხეცმაც.  
 შეცვივდნენ ტყეში, გამართეს მშვილდი,  
 გამოედევნენ შიშნაჭამ ირმებს,  
 ხეებს ებურათ რძისფერი ნისლი,  
 გაუდიოდათ წუილი ისრებს.  
 მოზიდა მშვილდი, ცხენი დაოთხა,  
 ქორბუდა ირემს სტყორცნა ისარი,  
 სტვენით გააპო სივრცე ნასროლმა,  
 მაგრამ წაუხდა მეფეს მიზანი.  
 კვლავ დაუმიზნა და ისევ სტყორცნა,  
 ნადირს ისარი დაასო მკერდში,  
 ზეცა გააპო, ბანი გამოსცა,  
 ირმის ბლავილი ჩაინთქა ხევეში.  
 სულ ერთი წამით წამოიჩოქა,  
 მაგრამ იმძლავრა სიცოცხლის ძალამ,  
 მწევარი ღრენით წამოიქოჩრა  
 და მეფის ხელში იელვა დანამ. —  
 ტოტების მტვრევით შევარდა ტვერში,  
 მხედარიც მიჰყვა უკან ჭენებით,  
 მისჭირდა ნადირს, ისარით მკერდში,  
 ტყეს მიაპობდა სვენებ-სვენებით;  
 ორთავემ ბრძოლით ძლივს გააღწია  
 ტვერს და მინდორში შედგა ნადირი,  
 მეფემ ისარი კვლავ დაანია  
 და ცხენს მოზიდა მშვიდად აღვირი;  
 წინა ფეხებზე დაეცა ხარი,  
 გვერდზე გადაწვა, თავი ასწია,  
 „სიცოცხლის ხათრით“ შეემღვრა თვალი,  
 ცრემლიც შენიშნა მეფემ პანია.  
 ჩამოქვეითდა, მოიხსნა მშვილდი,  
 ბალახზე დადო, დაუდგა თავითი,  
 დარდმა იმძლავრა, მოანვა ფიქრი,  
 გულმა გაკენწლა სულ ერთი წამით.  
 მაგრამ დამშვიდდა და ასე ბრძანა:  
 „ნადირის მოკვლა განა ბრალია?“ —  
 ყელში აძგერა ანაზდად დანა,  
 ირემმაც სული უცებ დალია.  
 გახადა ტყავი, „ხორცი დაოთხა“.  
 შიგანიც იქვე დააყრევინა,  
 უნაგირიდან თოკი ჩამოხსნა,  
 ყულფში ფეხები გააყრევინა.  
 ცხენს გადაჰკიდა მეფემ ნადირი,  
 სისხლი შეწმინდა ბალახით დანას,  
 თვალით გაზომა მერე მანძილი,  
 სიო არხევდა დაბლობში ყანას.  
 ორი მდაბიო ხის ჩეროს უჯდა,  
 ისიც წაადგა ორთავეს თავზე,  
 ძირს გაეშალათ პატარა სუფრა,  
 ცხვრის ტყავი ეცვათ მოხუცებს ტანზე.  
 წამოიშალნენ, დახარეს თავი,  
 ხეს გამოაბა ცხენის აღვირი,  
 მოუტრიალდა მათ მირიანი,  
 თითით უჩვენა მკვდარი ნადირი:  
 „მიდით, გაყავით რჯულით და წესით  
 და ააჭერით ბარემლა სუკიც,  
 ერთად მივირთვათ სამთავემ ხემსი,  
 ტყეში მესამედ უკვე „სცეს ბუკი“...  
 არ დაელოდა მწვადების შეწვას,  
 „პური გატეხა“ მეფემ დამხვდურთა,  
 ღვინო დაისხა და ჯამიც შესვა,  
 ცოტაც კიდევ და ლხინიც გახურდა...  
 სალამოს პირზე მიაგნეს მეფეს,  
 შეზარხოშებულ მოხუცთა შორის,  
 მზე „ნებივრობდა“ ტყის გაღმით, სერზე,  
 მაღლით ისმოდა ჭიოკი ქორის.

## თავი XI

ბალში შენიშნა მეფემ ანასტა,  
 ცხარე ცრემლებით სტიროდა „ქვრივი“,  
 ცხენს გადმოველო იგი ანაზდად  
 და ფეხით განვლო კოპიტის მწკრივი.  
 სახლში შეუძღვა დიაცი პატრონს,  
 ცეცხლი ბუხარში არხევდა ენას,  
 სევდას და ფიქრებს ვერცხლისფრად ნათოვს,  
 დამჭკნარი გულის ერთვოდა ძგერა. —  
 „იქნებ ჯერ კიდევ სუნთქავს საურმაგ,  
 შენზე ფიქრებით ამშვიდებს დღეებს?  
 ამ დიდ განსაცდელს ცრემლი არ უნდა,  
 ცრემლის გადმოღვრას მოვასწრებთ მერეც“. —  
 „ეჰ, ვერ გატეხა იმედმა ნავსი,  
 გადამენურა მეფეო ჟამი.  
 უმისოდ ყოფნას არა აქვს ფასი,  
 ყოველ ცისმარეს მე ვხვდები მკვდარი“. —  
 „ჰო, ეს ასეა! დრო გადის მიძიმედ,  
 მე და საურმაგ ვართ ერთი ხნისა,  
 ასე აჯობებს, ნუ მოვკლავთ იმედს!“ —  
 ეს თქვა მეფემ და დატოვა ქისა.  
 გარეთ გამოსულს მსტოვარი დახვდა,  
 ქედდარეკილმა აუწყა ესე:  
 „მგონი გვარამის ზმანება ახდა,  
 მტერი გადმოდგა ძირულის სერზე.  
 ლაზები სკანდას შეიჭრნენ ცეცხლით,  
 მცხეთას მოვიდა სისხამზე მაცნე,  
 სპერის ციხიონს თავს დასცეს მეხი,  
 ნიფის მალლობებს ბრძოლებით გასცდნენ.  
 ცხენს შემოველო მირიან მეფე,  
 დრო არ ითმენდა განსჯას და ლოდინს:  
 „ამქვეყნად მხოლოდ ვიშვებით ერთხელ,  
 დავუხვდეთ მედგრად, თუ მტერი მოდის!“ —  
 თქვა და გაქუსლა მსტოვართან ერთად,  
 ცრემლით დასველდა ანასტას ლოცვა,  
 დიაცის გულში დატოვა სევდა,  
 დარდმა იმძლავრა, იმედი მოკვდა...  
 მეფემ თათბირად მოუხმო დაჩის,  
 უნდა მიელოთ ლაზებთან ომი;  
 მანაც ეს უთხრა: „ბედი კვლავ გაჭრის,  
 მტერი არ არის იბერთა სწორი.  
 შევყაროთ ჯარი, შევებათ მომხდურს,  
 ლაზებს ვუჩვენოთ ერთობის ძალა,  
 ჟამის სიმუხთლე ახარებს ორგულს,  
 მაგრამ მისი მზეც უცილოდ ჩავა.  
 ნაღდად შაჰ ნარსემ ააგულისა,  
 ჩვენი მოძმენი, ეგ ლაზნი მტერნი,  
 ალბათ გუბაზმა ეს იგულისხმა,  
 რომ სპარსთა მხრიდან ვიქნებით ძღვენი.  
 ის კი არ იცის სულელმა მეფემ,  
 ნარსეს ლაზეთი თავისთვის უნდა,  
 მინდა, რომ გუბაზს სკანდაში შევხვდე,  
 თუ ნებას დამრთავ, გავშალო სუფრა!“...  
 „კარგი იქნება! ...მივიწოდოთ გუმანს!  
 მრავალი ღამე გავტეხეთ ერთად,  
 პირისპირ შეხვდი სკანდაში გუბაზს  
 და ძმობის ფიცი თავიდან შევკრათ“. —  
 ჩაფიქრდა დაჩი: „მამ თუ ასეა,  
 ხვალვე გავგზავნი სკანდაში მსტოვარს,  
 ჩვენი გული რომ ძმობით საესეა,  
 სრულად ვაუწყებ მეფეო თხოვნას.  
 ამით შევუხსნი შებოჭილ ხელ-ფეხს,  
 მაგრამ თუ არ ჰქნა გუბაზმა ზავი!  
 ბრძოლის დაწყებას მაშინვე შევძლებთ...  
 შევუტევთ მედგრად, ვიბრძოლებთ ხმალით...“



გუბაზს სიცილად არ ეყო თხოვნა  
და დაეძგერნენ მოძმენი ერთურთს,  
უსასტიკესი შეიქნა ბრძოლა,  
სპარსნი სიცილით უვილდნენ ფერხულს.  
იძლივნენ ლაზნი, გაიქცა გუბაზ,  
ძმამ გაიმარჯვა ბრძოლაში ძმაზე,  
დევნა აკრძალა ხელმწიფემ სრულად,  
ლაშქარი იხმო საყვირის ხმაზე.  
მაგრამ აუნყეს ამბავი ესე:  
„დაჩი დაჭრესო ლაზებმა მკერდში,  
სისხლი დაკარგა, არ არის ფერზე,  
ორჯერ ჩაგვაკვდა კინალამ ხელში“; —  
ეახლა დაჩის, ნუგეში მისცა,  
ძლივს გაახილა დაჭრილმა თვალი:  
„აღვასრულეო, რაც მქონდა მიზნად,  
მოვიხადეო, მეფეო ვალი!“ —  
თქვა და მილულა თვალები ისევ,  
სული მიანდო ღვთაება არმაზს,  
მეფე დაეშვა მუხლებზე მყისვე  
და მის ცხედართან წარმოთქვა ალთქმა.

## ნანილი მეორე

### თავი I

ლამემ იმძლავრა, ჩამონვა ბინდი,  
ქალი გამოჩნდა ქვემოდან გზაზე,  
დამძიმებული მჭმუნვარე ფიქრით,  
თავსაფრის პირით იწმენდდა სახეს.  
უცხო გარემო დაზვერა ფრთხილად,  
გასიებოდა საბრალოს ფეხი,  
უცებ იელვა, დაუშვა წვიმამ,  
კორომის თავზე გავარდა მუხი.  
ხეს შეეფარა და ფუთა გახსნა,  
ხელით მოძებნა საგზალში ხილი,  
მუხლზე დაეშვა, ფესვებზე დაჯდა,  
თვალები ნელა დამძიმდა ძილით...  
ზმანება ნახა, შუქმა იმძლავრა,  
ღვთისმშობლის დედა ზეცით გაბრწყინდა,  
ვერ მოისვენა დიდხანს იწვალა  
და ძილ-ღვიძილში სხივიც აზვირთდა;  
გამოიღვიძა და მზეს ახედა,  
დილა გათენდა საოცრად ნაზი,  
წინ დაიხედა, უცებ გახედა,  
იქვე შენიშნა ნასხლავი ვაზის.  
თმა მოიკვეცა იმავე წუთს ქალმა,  
თვალწინ დაუდგა ისევ სიზმარი,  
თმით გადააბა, ნასხლავი ჩაწნა  
და გამოსახა ვაზისგან ჯვარი.  
ჩამოიწურა ნამი მხრებიდან,  
გარდაისახა პირჯვარი სამჯერ,  
ზეცას ღვთიური შუქი ეფინა,  
ღვთიური შუქით ბრწყინავდა სახეც.  
შორს ჰორიზონტზე შენიშნა კვამლი,  
ორთავ ფეხიდან სდიოდა სისხლი,  
საბრალო ლტოლვილს არ ეცვა ხამლი,  
ღია წყლულები შეეკრა ჭინჭით.  
გეზი აიღო კვამლისკენ მანაც,  
ღვთიური ჯვარი ეჭირა ხელში,  
შაშვი ბურჩქებში „მღეროდა ნანას“,  
ხევს მიიკვლევდა მდინარე ხენეშით.

### თავი II

„ცხვარი გაშალე, ეგ სატიალე!“ —  
შემოუძახა ბერიკამ არტოს —

„დილის აქედან თავს დავტრიალებ,  
არ შემიძლია სირბილი მარტოს!“ —  
„მიდი, ბაჩუავ! ნაუკარ ხელი,  
მე კი საუზმეს გავშლი წყლის პირას!“ —  
ბერიკა შედგა, დააგდო წკნელი,  
„ტყავი“ გაშალა იქვე, ხის ძირას.  
ტბაზე აავსო დოქი ნახევრად,  
უკან მობრუნდა, დატეხა პური,  
ცეცხლზე შემოდგმულ ქოთანს ჩახედა  
და შეუბერა ცხვრის ნაჭერს სული. —  
„უკვე ეყოფა!“ — აიღო დანა,  
ისევ მოუხმო ორთავეს სტვენით,  
მწყემსებმა ტბასთან მორეკეს ფარა,  
ნასახემსებლად მოცვივდნენ „ფრენით“. —  
„ხორცი დათალე, ბაჩუავ, შენა!  
არტამ შენ კიდევ ღვინო დაასხი,  
ჯერ აქვე ძოვონ ბალახი ცხვრებმა,  
მერე კი იქით, ტყისკენ წაასხი“. —  
ხელით უჩვენა არტამას მხარე,  
პირით შებრუნდა ტყისკენ ბერიკა,  
არ დაუჯერა რატომღაც თვალებს,  
მწყრალად წარმოთქვა: „ბიჭოს, ერიჰა?..  
ერთი გახედეთ, ნეტავ ვინ მოდის?  
მეჩვენება თუ ნამდვილი არის?  
იქნებ მე თვითონ უამი „მომიდის“,  
ბილიკზე მართლა ამოდის ქალი?“ —  
ენა დაება ღელვისგან არტოს:  
„ნეტავ ვიცოდე, საითკენ მიდის?“ —  
ქალმა მოასწრო გადმოსვლა ამ დროს,  
ხეზე ქვისაგან ნაგები ხიდის.  
აქეთ აიღო გეზი უცნობმა,  
მარჯვენა ხელით რაღაცას არხევს,  
შეხედეთ ერთი, „მამა უცხონდა“,  
თმებით შეუკრავს საბრალოს სახრე.  
მგზავრი მწყემსებთან შეჩერდა ახლოს,  
თმა გაეშალა და ჰგავდა მთვარეს:  
სომხურად ეს თქვა: „აქეთ ვინ სახლობს?  
რა ეწოდება მწყემსნო ამ მხარეს?“ —  
კარგად ესმოდა სომხური არტოს:  
„იბერიელნი გახლავართ ჩვენა,  
ერთი გვაუნყე, სად მიხვალ ამ დროს?  
თავად ვინა ხარ, რა გქვია შენა?“ —  
„წინოს მიხმობენ, გზა მედო გრძელი,  
კვამლი შევნიშნე, ტბის გაღმით ვიყავ,  
აქეთ წამოველ, გადმოვჭერ ველი,  
მეფის ქალაქში გადასვლა მიწა“. —  
„კარგი გიქნია, მაშ დავგვენვიე!  
ჩვენ იბერებმა ვიცით სტუმრობა,  
არმაზის მაღლით საქმეს ვენიეთ,  
ახლა დავინყეთ ჩვენაც პურობა“. —  
„არტამ გვითხარი, რას ყბედობ ამდენს?“ —  
ღიმილით ჰკითხა ჭალარა მწყემსმა:  
„რაც შენ „აყეფდი“ ვერ ვამბობ სათქმელს,  
კილამ გამახრჩო ზანდურის ხემსმა“. —  
„წინო მქვიაო, ეს მითხრა ქალმა,  
რას დაგიღია შენც პირი ბაჩავ?  
„გაცმა“ ატაროს საბრალო წალმა,  
მაგ თვალებს ვითომ რაისთვის ქაჩავ?“ —  
ფეხზე წამოდგა ჭალარა მწყემსი,  
ნაბიჯი წარსდგა, შეხედა წინოს,  
მერე მოისვა სტუმარი გვერდით,  
ჯამში ჩაუსხა ნითელი ღვინო;  
უთხრა: „ჩვენა ვართ იბერნი ჯიშით,  
ვეთაყვანებით ღვთაება არმაზს,  
ამ ცისქვეშეთში მარტონი ვიშვით,





მაგრამ ჯიუტად მივყვებით აღმართს.  
მტერს ფასი არ აქვს, ფასი აქვს სტუმარს,  
ხელისგულზე დევს სიკეთე ჩვენი,  
ჩვენს ყოველ ნაბიჯს ცხოვრება ფურცლავს,  
გასავლელი გვაქვს ბილიკი გრძელი;  
თუ ამ ბილიკზე შედგები შენაც,  
ერთად მივყვებით ჟამთა დინებას,  
ერთი გვექნება სიტყვა და რწმენა,  
არმაზიც კალთას ჩამოიფერთხავს.  
შევიმსუბუქებს ცხოვრების ჭაპანს,  
სიკეთის დღენიც იმრავლებს ნინო!  
ყისმათიც სადღაც „საკბილოს ნაჰკრავს“,  
ასე მგონია და ასე ვფიქრობ.  
თუ შენ ისურვებ ჩვენთან დარჩენას,  
აქვე, სოფელში დაიდებ ბინას,  
რა ბუნება გვაქვს, ნეტავ გაჩვენა,  
მზე ტბის სამანზე ათასფრად ბრწყინავს.  
აგერ კარავი, ესა გვაქვს სახლად,  
კალმახიც ბლომად მოჰყვება ბადეს,  
შრომით ვმოულობთ ჩვენ დღიურ სახრავს,  
თუმცა იღბალი ოფლს ხშირად გვადენს“ ...  
„აქ ვერ დავრჩები“ — წარმოთქვა ნინომ —  
„მაგრამ გავთელავ იბერთა ბილიკს,  
ამ ცხოვრებიდან არაფერს ვითხოვ,  
ღმერთის-ძის სამწყოს გახლავართ მწირი...“  
კეთილი გულით, სავსე გუმანით,  
ნინოს იბერნი შეექმნენ შემნედ,  
მეოთხე დღით მზესთან უბარი,  
დაემშვიდობა მასპინძელ მწყემსებს.  
გზა მიასწავლეს, რუ არის აქვე,  
ხელით უჩვენეს კამკამა წყალი,  
მისდევ ტალღებს, დაჰყვივი თავქვე,  
გეზი აიღე მარჯვენა მხარით.  
ტივს წაადგები, მტკვარს გადაცურავ,  
გზაზე მგზავრებსაც შეხვდები ალბათ,  
მთას დიდი ნაბლი ქუდად ახურავს  
და მწვერვალამდე ბილიკით ახვალ.  
ის გზა მიგიყვანს ურბნის-ქალაქში,  
მცხეთაშიც შესძლებ იქიდან წასვლას,  
არ შეგეპაროს ეჭვი ნათქვამში,  
მარტო არ სცადო მტკვარზე გადასვლა.  
არმაზის მაღლი უსურვეს სტუმარს,  
ბაჩუამ უძღვნა ერკემლის ტყავი,  
ღიმილით უთხრა: „ენდე ჩემს გუმანს,  
ვაჭრებს მიჰყიდე, იყიდე ხამლი!“ —  
სიტყვა დასველდა ხალასი ცრემლით,  
იშვა სიკეთე, გულიც აძგერდა,  
თავსზემთ ნინომ აღმართა ხელი,  
ჯვარით ისურვა მწყემსთა განწმენდა.

### თავი III

მზე ჩაიფერფლა, ჩამონვა ბინდი,  
ტკბილად ეძინა კოფოზე ნინოს,  
გადაიარეს ურმებმა ხიდი  
და გააღწიეს დაცემულ მინდორს. —  
„უკვე მოვედით!“, წარმოთქვა მეხრემ,  
გამოაღვიძა სიფრთხილით იგი, —  
„ნუ გეზარება, წამოდექ ფეხზე,  
ჩვენ განშორების დაგვიდგა რიგი“.  
„იქნებ მასწავლოთ სასახლე მეფის?“ —  
თქვა ფიქრის შემდეგ, ითხოვა კვარი —  
„მეფის სასახლეს ეს შარა ერთვის!“ —  
მეხრემ უჩვენა სასახლის კარი.  
უპოვართ შეხვდა სასახლის ახლოს  
და მანაც მათთან დაიდო ბინა,

სევდას ებრძოდა „ფიქრებად ნათოვს“  
და ძილ-ღვიძილშიც გათენდა დილა.  
წამოდგა ფეხზე, გაუყვა შარას,  
ქვითინი მორთო ანაზდად გზაში,  
რიჟრას უმღერდა ტოროლა „ზლაპარს“,  
მზე იცინოდა მთის თავზე ცაში.  
ვილაც შეეხო უკნიდან მხარზე,  
ნინოც შებრუნდა ანაზდად მისკენ —  
„წამოდი ჩემთან! რად სტირი ასე?  
დიდი ჟამია რაც უკვე გიცქერ“ —  
„შენი არ მესმის! არ ვიცი ენა!“ —  
ნინოს ლანვებზე ჩამოდნა ცრემლი...  
„ერთად გავიყოთ ჭირი და ლხენა,  
ნუ შეშინდები, გული მაქვს წრფელი! —  
რა გქვია შვილო? ეს მაინც მითხარ!  
შეიშრე ცრემლი, შეწყვიტე მოთქმა,  
ქვრივი გახლავარ, დამტანჯა ფიქრმა,  
სახელად მქვია გორამის-ოტა;  
გორამი ერქვა ჩემს საწყალ პატრონს,  
მხოლოდ მცირე ხნით ვიცხოვრეთ ერთად,  
შვილი არ გვყავდა და დავრჩი მარტო,  
გულში დატოვა უჭკნობი სევდა“ —  
ღიაცმა მძიმედ ამოიოხრა,  
ოხვრას ამოჰყვა ნაწილი სულის,  
სიტყვებით გული რომ მოიოხა,  
კვლავ გაამხნევა უცხო ასული. —  
„მე, ნინო მქვია და ვარ ტყვე-ქალი,  
აქ არავინ მყავს, არავის ვიცნობ,  
აქეთ წამოველ, მეცვალა მხარი,  
საით წავიდე, დილიდან ვფიქრობ“ —  
ხელი გამოსდო ღიმილით მკლავში,  
ქვრივი ნაუძღვა სახლისკენ სტუმარს,  
ტყვე-ქალიც მშვიდად „ჩაუდგა კვალში“,  
თავი დახარა და ენდო გუმანს.

### თავი IV

თვე ჩაინურა „დროის ხურჯინში“,  
სიცხემ გარემო „შემოსა“ ხვარტით,  
თავს ლალად გრძნობდა ნინო ურბნისში,  
ბედს შეეგუა, გაუქრა დარდი.  
მოცლა არ ჰქონდა უფლისგან რჩეულს,  
გახდა სნეულთა მკურნალი დედა,  
ძლიერ უკვირდათ მისნობას ჩვეულთ,  
როგორ გვკურნავსო ტყვე-ქალი ნეტავ?..  
ერთ დღეს რძიანი ქილა გაუტყდა,  
ძირს დაიხარა, თიხა აკრიფა,  
წინ გადაუდგა, რილით აუნყა:  
„მომაპყარ თვალი!“ — ვილაც ყმანვილმა;  
„ჩემი სახელი არის ფარსმანი,  
თუ ნებას დამრთავ, მსურს დაგეხმარო,  
გული შენს მიმართ მე მაქვს მართალი,  
ერთი თხოვნა მაქვს, არ გამეპარო!“ —  
ნინოს ღიმილი მოჰგვარა თხოვნამ,  
უთხრა: „მოგიცდი, თუ მოხვალ მაღე,  
სნეულთან მივალ, სჭირდება მოვლა,  
ერთ ქილა რძეს კი მოგართმევ ხვალე“ —  
„მე რძე არ მინდა!“ — წარმოთქვა ვაჟმა, —  
„თუ დამრთავ ნებას მსურს გაგაცილო,  
მე სიყვარულის შემბოჭა დარდმა,  
არმაზს გაფიცებ, არ გამანბილო!“ —  
ხურჯინის თასმას მდუმარედ დასწვდა,  
ნინოს სახეზე მოედო ალი:  
„უფალს მივეცი მე ალთქმა ფარსმანი!“ —  
თქვა და ყმანვილკაცს უქცია მხარი.  
თავი დახარა, გაუყვა შარას,



წრფელმა სიტყვებმა „განენა ფიქრი“,  
შედგა ანაზღად, მობრუნდა ნაღმა  
და ეს სიტყვები წარმოთქვა რიდით:  
„სიმართლეს ვამბობ! მართლა ასეა,  
ქრისტეს ვცემ თავყვანს, მასვე ვმსახურებ,  
მისდამი რწმენით სული სავესა,  
სიყვარულისთვის გული დავხურე;  
ფიცი მივეცი ღვთისმშობელს ფარსმან,  
სიცოცხლის ჟამი გავლიო ლოცვით,  
ეს მიკარნახა ცხოვრების არსმა,  
რომ განვასხვაო სული და ხორცი.

## თავი V

ნინომ განათლა ქრისტიანებად,  
მტკვარში ოტა და ფარსმანი ერთად  
და ალასრულა გამჩენის ნება,  
ნაზარეველი ინამეს ღმერთად.  
ახლოვდებოდა დღეობა მცხეთას,  
თხოვნა აწვია ფარსმანმა ნინოს:  
„ნავიღეთ ურმით, ჩემს დასთან ერთად,  
რათა წლის სარჩო, გავყიდოთ ღვინო“. —  
ძლიერ უნდოდა მას მცხეთის ხილვა,  
თავის დაქნევით დათანხმდა ფარსმანს:  
„მცხეთაში წასვლა ნამდვილად მინდა,  
მე გავამზადებ სამთავეს საგზალს“ —  
უთხრა და მერე მადლობა უძღვნა,  
მცირედი ფიქრი აიჭრა ზეცად,  
გუმანით იგრძნო აუნყა გულმა,  
ღიადი მადლი ელოდა მცხეთას...  
ტევა არ იყო არმაზის მთაზე,  
ერეკებოდნენ სამსხვერპლოს ძალით,  
მეფის ქურუმი საყვირის ხმაზე,  
ყელს უღადრავდა ბრინჯაოს დანით. —  
„აი, ის არის მირიან მეფე!“ —  
ფარსმანმა ნინოს მეფე აჩვენა:  
„ჩვენც აქვე მივდგეთ დიდი ხის გვერდზე,  
რადგან მოგვიწევს ღამის გათევა“. —  
ნინომ გარემოს მოავლო თვალი,  
ქიმი შენიშნა მახლობლად კლდეზე,  
მარტო დატოვა მანაც ფარსმანი,  
იხრუკებოდნენ მცხეთელნი მზეზე.  
ალაპყრო ხელი, ილოცა ჯვართით,  
ევედრა ქრისტეს, მუხლზე დაეცა,  
მოულოდნელად აბლავლდა ხარი,  
ქურუმს მსხვერპლისთვის დანა ჩაეცა.  
მთაზე ჩამონვა უეცრად ქუფრი  
და გაძლიერდა ზუზუნნი ქარის,  
დაჩოქილებმა გამართეს მუხლი,  
ზეცას მიაპყრეს შეშლილი თვალი.  
ერთად აზვირთდა ქარი და დელგმა,  
შუქი გამოკრთა, ხმა მოჰყვა მეხის,  
არმაზ-ღვთაებას დაეცა ელვა,  
გადაუმსხვრია ორივე ფეხი.  
კერპი გრუხუნით დაასკდა მინას,  
ჯგლეთა-ყვირილი შეიქნა მთაზე;  
ეს დღე მიჰგავდა საშინელ სიზმარს,  
ხალხი ღრიალით დაეშვა თავქვე...  
გამთენიამდე წიოდა ქარი,  
გამოიდარა დილისკენ მხოლოდ,  
შეძრწუნებული, სულით საპყარი,  
აღმართს აუყვა მირიან სოლოდ.  
მთისკენ მიმავალს ზღვა ხალხი აჰყვა,  
შეუსვენებლად ავიდნენ მაღლა,  
მცხეთამ ისურვა კერპების ნახვა,  
არ ეტყობოდათ შიშნაჭამთ დაღლა.

ბზარი გაუჩნდა იბერთა რწმენას,  
ხალხში იმატა ვიშმა და ვაიმ,  
არმაზ-ღვთაება „შეჰყროდა წერას“,  
თავქვე ეყარნენ „გაცი“ და „გაიმ“...  
ჯვარი ამოჭრა აკაკის ხეზე,  
ექვს დღეს ილოცა ნინომ მხურვალედ,  
მეშვიდე დღით შენიშნა სერზე,  
ქალი უმზერდა კერპებს მდუმარედ. —  
„სეფე-ქალი ვარ!“ — გაეცნო ნინოს,  
მთაზე ამოველ არმაზის ხილვად,  
უკვე მცხეთაში სხვაგვარად ფიქრობს  
ხალხი და ღმერთებს ეპყრობა ცივად.  
ლუკმის გარეშე მთაზე ამდენ ხანს,  
როგორ გაძელი? ჩავიღეთ ბარში,  
მე მზე-გვირილა მქვია სახელად,  
აქ ამოსვლისთვის ტყუილად დავმვრი“. —  
სეფეს მიუგო ნინომ მადლობა,  
უთხრა: „შიშმილი ხვედრია მწირის,  
სამი დღე მთაზე ისევ დაყოვნდა,  
მეოთხე დღით დაადგა ბილიკს,  
სახემცინარი ჩავიდა მცხეთას,  
სამეფო ბაღში ქოხი შენიშნა,  
ჭიშკრის პირისპირ შეეყვნდა ერთხანს,  
მერე კი ზარის თასმა შეირხა.  
გამოიარა კოპიტის წყება,  
ანასტამ სტუმარს გაულო კარი,  
იქვე ბილიკზე კანაფით ება  
შეუსვენებლად ბლაოდა ცხვარი,  
შეიპატიჟა უცნობი ქოხში,  
ცერცვის წვნიანი დაუსხა ნინოს,  
პური დატეხა, აიღო დოქი  
ღვინო ფიალით მიართვა თვითონ; —  
„ხემსი გატეხეს“, მიუსხდნენ ბუხარს,  
„გული დასერეს“, ცრემლი ანთხიეს,  
მრავალჯერ უძღვნეს ლოცვა საურმაგს  
და შავი ღამე თეთრად ათიეს.  
ნინომ დალოცა მასპინძლის კერა,  
კვლავ გააღვივა სული ჩამქრალი,  
ანასტას უთხრა: „თუ კი გაქვს რწმენა,  
აუცილებლად გიხილავს ქმარი“...  
მალულად დარჩა ტყვე-ქალი მასთან  
მხურვალე ლოცვით გაჰყავდა დღენი,  
მისი სიტყვები ერთ დღესაც ახდა,  
ჭიშკარს მოადგა ვილაცის ცხენი.  
ჩამოქვეითდა მხედარი ფიცხლად,  
დაუკითხავად შეალო კარი,  
ნინო ქოხის წინ ტაბლასთან იჯდა,  
და ერთმანეთი გაზომეს თვალით.  
„აქ ერთი ქალი ადრე სახლობდა,  
ანასტა ერქვა იმ ქალს სახელად“...  
ნინომ მიუგო: „აქ მე დამტოვა,  
წყალი ნაულო მუშებს სასმელად.  
აქვეა იგი, ნავალ გავძახებ,  
მოკლეთ ჩავალ მდინარის პირას,  
მანამდე იქნებ სკამზე დაბრძანდე“ —  
წარმოთქვა მან და გაუყვა თხილნარს.  
გზაში შემოხვდა ანასტა ტყვე-ქალს,  
უთხრა გკითხულობს ვილაც მხედარი“ —  
სიტყვა შეწყვიტა უცქირა ერთხანს,  
სახე გაუხდა უცებ ნეტარი.  
ლეჩაქი შეხსნა, ბალახზე დადო,  
გადაეხვია გახვეულს თალხში,  
უცხო მხედარიც გამოჩნდა ახლოს,  
ხელგაშლით იდგა საურმაგ ბაღში.





## თავი VI

მეფის წინაშე წარსდგა მებაღე,  
დაეცა მუხლზე, ანთხია ცრემლი, —  
„ჩემო პატრონო! შავი დღე ვნახე,  
გამოვიარე ნუხილის გრდემლი.  
ლაზეთს გადასვლა სწრაფად შევძელი,  
უპირველესად ჩავედი ფაზისს,  
იქ გავიცანი ვილაც ბერძენი,  
შესყიდვა სურდა ლაზური ვაზის.  
ბიჭვინთას წაველ და ისიც მახლდა,  
თვალი ვუსწორე ავბედით ვარამს,  
მინას ვყიდდი გზადაგზა წარდად,  
სამი დღის შემდეგ ჩავედით ქალაქს.  
მან მიმიწვია მოძმეთა გემზე,  
ღვინით დამათვრეს, დაგვარგე გონი,  
„ჯაჭვი“ დამადეს ორთავე ფეხზე,  
ორი თვის შემდეგ ვიხილე რომი.  
მონად გამყიდეს უცხო მხარეში,  
გემზე შეგვყარეს და ნაპირს გავცდით,  
მათაც შემაგდეს ცხვრებთან ფარეხში,  
ბედი დაწვეყველე განცდილი მარცხით.  
ნაპირთან ახლოს, გემბანზე ატყდა,  
მონათა ჯგლეთა და მუშტის ცემა,  
მცველების რაზმი როგორღაც გატყდა,  
ძალით მოხერხდა იმათი ძლევა.  
მეც დრო ვიხელთე, გადავხტი წყალში,  
რადგან ბორკილი შევიხსენ ფეხზე,  
დიდხანს ვიცურე მხარულთ მამინ,  
ჩემდა საილბლოდ გავედი ველზე.  
იქ, ერთი ვილაც პლებეი ვნახე,  
პლებეი ჰქვია მეფე მდაბიოს,  
ეს, ის დრო იყო, გუგულის ბარტყებს,  
როცა პანია ჩიტი გადიობს.  
შვიდი თვე დავრჩი მის ქოხში სრულად,  
აღიარებდა ღმერთკაცის-ძალას,  
ამ ხნის მანძილზე ვცხოვრობდით ძმურად  
და მასთან ერთად ვმწყემსავდი ფარას.  
ურიასტანში დაბადებულა,  
იქვე აღმსდგარა იესო მკვდრეთით  
და მის სხეულში განკაცებულა,  
ქვეყნის გამჩენი, დიადი ღმერთი.  
მე არ შევმდგარვარ მათ რჯულზე მეფევე,  
თუმცა კი მქონდა პირობა ამის,  
არმაზის ძალას ბოლომდე ვენდე,  
მანაც მიჩვენა ბილიკი სახლის“. —  
„უხმეთ ხუარას!“ — მეფისგან ითქვა,  
დარბაზში გაჩნდა მისი მთავარი,  
პატრონს შესცინა, საურმაგს ჰკითხა:  
„რომში ცხოვრება არის რავარი?“ —  
„ახლა ხუმრობის არ არის ჟამი“ —  
ხელმწიფემ სიტყვა წარმოთქვა მწყრალად, —  
„თუ იცი, მცხეთას, რომ ვილაც ქალი,  
ქრისტიანობას ავრცელებს მყარად?  
დღეის შემდგომად შეუდექ ძებნას,  
დაუდარაჯდი ქოხის წინ, ხუარ!  
უსულო ცოცხლებს დააკლებს ვერას,  
მის მოსაშობად გამართე ძუა“. —  
მეფე წამოდგა, გაუშვა ყველა —  
გუმანით რალაც იეჭვა თითქოს,  
საურმაგს მგონი შეცვლოდა რწმენა,  
ჟანგი მოედო წინაპრის იქორს;  
მდუმარედ მიხვდა მებაღეც სათქმელს,  
უნდა ეღონა სასწრაფოდ რალაც  
წაუხდებოდა უცილოდ საქმე,  
თუ არ „გაჭრიდა“ გაზომილს სალად. —

ქოხში მობრუნდა, კარებში შედგა,  
ანასტამ ცეცხლთან დაუდგა სელი,  
ხელით უჩვენა, მერე კი ეს თქვა:  
„მიირთვი ოსპი, ვიდრეა ცხელი“. —  
„ჭამა არ მინდა, ფიქრი მახელებს,  
მეფემ შემხედა რატომღაც ცერად,  
როგორ მოვიქცეთ, ჟამი გვარჩვენებს,  
კარზე მოგვადგა ჭირი და ვნება!“ —  
წინოც გამოჩნდა, კიდეც დაღამდა,  
ტაბლაზე დადგა წვნიანი ჯამით:  
„დილით შევზილე ღვინო ბალახთან,  
ცოტაც ვაპკურე ზამბახის ნამი.  
შესვი წამალი, შეასვი ცოლსაც“ —  
უთხრა საურმაგს: „დაგლოცოს ღმერთმა,  
რომ შევება იგრძნოს სულმა და ხორცმა,  
ფესვზე იხაროს პატარა ნერგმა“...  
„ფრთხილად იყავი!“ — ეს თქვა მებაღემ,  
არსით დაგლანდოს მსტოვარმა თვალთ,  
თუ ეს ცხოვრება ვარამს შეგასმევს,  
მიჯობს, რომ ვიყო დიაცო, მკვდარი!“

## თავი VII

„ცხრა თვე გასრულდა, რაც თქვენთან ვსახლობ!“ —  
უთხრა ტყვე-ქალმა ანასტას ერთ დღეს:  
„აქვე გადავალ, გორაკის ახლოს,  
ბინას დავიდებ მაყლოვნის ფერდზე“. —  
წინოს წასვლიდან ათი დღის შემდეგ,  
ცოლ-ქმარს ეყოლათ მზისდარი გოგო,  
გახარებული ლოცავდნენ შედეგს,  
„გადავიხადოთ ამაგი როგორ?“...  
წინო დაარქვეს პატარა ასულს  
და გაინათლნენ ორთავე მტკვარში,  
ზურგი აქციეს საეჭვო წარსულს,  
ქრისტეში ჰპოვეს სიცოცხლის არსი...  
მაყვლოვანს იჯდა, ბალახს არჩევდა  
და ფანტელებად ათოვდა ფიქრი,  
კოპიტის ფოთლებს სიო არხევდა,  
წინოს ცეცხლისთვის შეენთო ფიჩხი.  
არ გაუგია როგორ მიადგა,  
ვილაც ქვემოდან და „გული გახსნა“,  
დარდმა იმძლავრა, „სევდად იბარტყა“,  
კარვის წინ წარსდგა მლიმარე ფარსმან. —  
„არმაზის მადლით გიპოვე წინო!“ —  
წარმოთქვა ვაჟმა გვერდით მიუჯდა:  
„როგორ დაგვარგე, მას მერე ვფიქრობ,  
წყეულმა ჟამმა რატომ მიმუხთლა.  
დუტი მომიკვდა ჯგლეთაში მთაზე,  
ეჰ, ახლაც მზარავს ამაზე ფიქრი,  
თავი ეხალა საბრალოს ქვაზე  
და ყურებიდან სდიოდა სისხლი;  
ძლივს ჩავიყვანე ჩემი და მცხეთას  
და წავასვენე ჩვენივე ურმით,  
ვერ ვუმკლავდები მონოლილ სევდას,  
იმ დღეს ვიხსენებ წყევლით და ურვით“. —  
გული ატკინა დუტის სიკვდილმა,  
ცრემლმა იწვიმა წინოს თვალთაგან;  
ვაჟმა წარმოთქვა: „მე დღეს მივივიარ,  
წვევა მივიღე დილით მგზავრთაგან“. —  
დაემშვიდობა, უსურვა სიმხნე,  
ფარსმანი ბილიკს დაუყვა ნელა,  
წინო შებრუნდა კარავში იქვე,  
გარედან ესმა ანაზდად ხველა.  
გამოიხედა კარვიდან გარეთ,  
ქალი იხილა მცხეთელი ერთი,  
მანაც შესთხოვა: „პატივი დამდე!



შვილი მყავს ავად, ილოცე ღმერთი“. —  
ნინომ შეიცნო მასში ის ქალი,  
მას რომ სწყევლიდა მცხეთაში ხშირად, —  
ქალმა წარმოთქვა: „რა ვქნა მითხარი?  
ვატყობ, რომ წყევლა დამიჯდა ძვირად!“ —  
ნინოს სახეზე სხივი გაბრწყინდა,  
ავადმყოფს ჯამით შეასვა წვენი,  
მერე ილოცა, ჯვარი დაჰკიდა,  
ბედნიერების უსურვა დღენი...  
ეს დღეც გასრულდა სიკეთის მაღლით,  
„გადალილი მზე“ შემოდგა სერზე,  
შაშვის ჭახჭახი ისმოდა გაღმით,  
ბინდი წვებოდა არაგვის ველზე.

### თავი VIII

კარვის წინ იჯდა, კემსავდა ჭილობს,  
გამოეგზავნა ხუარას კაცი —  
„შეუძლოდ ვარო!“ — უთვლიდა ნინოს,  
გამოეტნია საჩუქრად ვაცი.  
დიდხანს იცინა ნინომ თხის გამო —  
„აქ მობრძანდესო პატრონი შენი!“ —  
რადგან ლოცვებით უნდა ვუნამლო,  
რომ გავეუმრავლო ხუარას დღენი“. —  
მზე შუბის ტარზე წამოიშრათა,  
როცა მოადგა ხუარა კარავს,  
ნინომ ილოცა მხურვალედ ჯვართან,  
ბალახის წვენი შეასვა მთავარს.  
მოკეთდა იგი, ყველაფერს მიხვდა,  
სული დამშვიდდა და გახდა ქველი,  
იბერიის შემოსვლის დღიდან,  
ნინოს გასვლოდა სულ სამი წელი...  
ტყვე-ქალს ეახლა აბიათარიც  
და სიდონია, მეუღლე მისი,  
მუხლზე დაეცა უცებ ცოლ-ქმარი,  
ნინოს წინაშე წარმოთქვეს ფიცი. —  
„კვართი ჩვენ გვერგო, დავფალით მცხეთას“ —  
თქვეს და მოქცევა ისურვეს თავად:  
„გვინდოდა ჩვენი სულები გვეხსნა,  
ვიდრე ცხოვრების დღენი არ გავა“;  
იქვე მოიქცნენ ქრისტიანებად,  
ნათლის სხივფენამ სიბნელე დაგმო,  
წვერით ათრიეს მისიანებმა,  
აბიათარი მოქცევის გამო.  
არ დაიშალა, მაინც განაგრძო,  
ნინოსთან დგომა, ქრისტეზე ლოცვა,  
ჯვარის დიდების სიტყვა განავრცო,  
ერთი წამითაც არ ჰქონდა მოცლა.

### თავი IX

მეფემ პირიდან „ცოფები ჰყარა“,  
რაკი ტყვე-ქალის შესახებ ესმა:  
„უნდა მოკვდესო ეგ ქალი ჩქარა!“ —  
სრულად დაუხშო გონება გესლმა.  
თვისი განზრახვა გაანდო ნანას,  
ლიმილით შეხვდა ისიც განაჩენს;  
უთხრა: „ტყვე-ქალი შევყაროთ ვარამს,  
მერე მივხედოთ მეფე დანარჩენს“. —  
თხოვნა შებედა: „წავიდეთ გიშში,  
მანამდე მოვკლათ მისანი ქალი,  
მტერ-მოკეთეში დავთესოთ შიში  
და განვამტკიცოთ სამეფო გვარი“. —  
მეფემ მიუგო: „უნდა გავთვალოთ,  
განსჯა სჭირდება, აზრსაც და ფიქრსაც,  
ჯერ მოვიაროთ რანის სამთავრო,  
მერეც მოვასწრებთ მოშობას ტყვისას“...

ორი დღის შემდეგ დაადგნენ შარას,  
ცხენით მგზავრობა ისურვა ნანამ,  
„ბედის ბორბალის“ უკუღმართ თამაშს,  
გაურკვევლობის ებურა ფარდა.  
მეფე მისდევდა დედოფალს გვერდით,  
ერთად იარეს მდუმარედ დიდხანს,  
როს ჩაათავეს ხეობის ფერდი,  
ნანას ბაგეთგან უეცრად ითქვა:  
„ასე ცხოვრება უკვე მომბეზრდა“,  
როგორ აპირებ ტყვე-ქალის მოკვლას?  
იქ, მაცხოვრებელში ეს ვერ მოხდება,  
სასახლეში კი არ იზამს მოსვლას“. —  
„ძღვნად გავეუგზავნი მონამლულ კურდღელს,  
ნადირის ხორციტ „ვიხმაროთ ფანდი“...  
მზე მიეფარა ანაზად ღრუბელს,  
აუტანელი ჩამონვა ხვარტი.  
ცხენზე შექანდა, დაკარგა ფერი,  
ნანა დაემხო მიწაზე თავქვე,  
უცებ შემოკლდა დედოფლის დღენი,  
ბედმა დაუგო საბრალოს მახე.  
შიშით და ძრწოლვით მობრუნდნენ მცხეთას,  
სამი დღის შემდეგ მოვიდა ფერზე,  
მეფის აქიმმა უნამლა ერთხანს,  
მაგრამ ვერ დადგა სწეული ფეხზე.  
ხუარამ ბრძანა: „მოარჩენს მხოლოდ —  
ვინმე ტყვე-ქალი, ვთხოვოთ შენგენა,  
საქმე ეხება ბოლოსდაბოლოს,  
დედოფლისათვის წამლის შეძენას“. —  
„მაცხოვრებელს სახლობს!“ — დატკბა ხუარა,  
„მკურნალი იგი, შემახო ჯვარი,  
მაშინ მეხვია თავზე ბრუალა,  
კილამ წავიღე უსტარი ჯავრით“...  
დედოფალს მთაზე ამაღა აჰყვა,  
შვილიც თან ახლდა, უმრწმესი რატი,  
მთაზე ასულეებს სიგრილე დახვდათ,  
მცხეთას კი იდგა სიცხისგან ხვარტი.  
ნინო ღიმილით შეხვდა დედოფალს,  
ჯამში ჩაუსხა, შეასვა წვენი,  
მერე კი უთხრა: „ტანჯვა გეყოფა,  
უნდა დაძლიო ჯვრის მაღლით სენი“. —  
ძალა შემატა მისმა სიტყვებმა,  
დედოფლის სახეს დაეცა სხივი,  
სული დატოვეს მძიმე ფიქრებმა,  
და აკიაფდა ცრემლების მძივი.  
ფრთხილად წამოდგა, აღაპყრო ხელი  
და აღიარა ღმერთ-კაცის ძალა,  
ტიროდა ნინო, ხარობდა ერი,  
სიხარულისგან ტიროდა ნანაც.

### თავი X

მირიანს დიდხანს უმტკიცა ნანამ,  
რომ ნინოს ღმერთმა შემატა სიმხენი,  
აზვირთდა მეფე ყვირილით ბრძანა,  
ფეროზი იხმო რანიდან მყისვე.  
ქედდადრეკილი რანის მმართველი,  
მეფის წინაშე თოვლივით დადნა,  
მღელვარებისგან ძლივს თქვა სათქმელი,  
„კბილს არ უხსნიდა“ მირიანს დანა:  
„შენ უნდა შეძლო დედოფლის მოკვლა,  
სწორედ ამისთვის მოგიხმე მალე,  
არ გამაგონო, ხენეშა და ოხვრა,  
ნადირის გერში მოვსინჯოთ ხვალე.  
მერე შენ იცი, როგორ იქმნ საქმეს“ —  
თქვა და მცირე ხნით მეფე გაჩუმდა —  
და ფიქრის შემდგომ დააგო მახე,





რანის ერისთავს სპერიც ალუთქვა...  
შაბათი იდგა, ივლისის დილა,  
მწვერები ყუფით მოედვნენ ველზე,  
მეფემ მარეკებს ნიშანი მისცა  
და მაშინათვე ამხედრდა ცხენზე; —  
ლელე გატოპა, შეუყვა გორას,  
ფეროზიც მიჰყვა ცხენდაცხენ მეფეს,  
ერთად მისდიეს მცირე ხნით ქოფაკს  
და გადაევიდნენ გვიმრების მესერს;  
არ ეტყობოდა ხელმწიფეს დალლა,  
ფეროზიც ძალით იჩენდა სიმხნეს,  
ტახი დალანდეს ქარაფის გაღმა,  
თვალთ გაზომეს მანძილის სიგრძე.  
ჭენებით მიჰყვა მირიან ნადირს,  
მისდია დიდხანს, შეჰყვა უღრანში,  
შიშმა შეიპყრო, მოზიდა ალვირს,  
მარტო აღმოჩნდა რძისფერ ბურანში,  
სხივი ჩაინვა სიბნელის მძლევი,  
მზე „მიიცვალა“ სიკეთით სავსე,  
ბინდმა შეცვალა სინათლის ფერი,  
განგებამ მეფეს დაუგო მახე.  
ბევრი იყვირა, მოუხმო არმაზს,  
მაგრამ არ დადგა ირგვლივ ნათელი —  
„ჯვარზე ვილოცებ!“ — წარმოთქვა ცალკვად —  
„იქნებ დამადგეს ბნელში საშველი;  
ტყვე-ქალის ღმერთო! მექმენი შემწედ!  
მზეო დიადო, კვლავ ამობრწყინდი“ —  
დაინყო ლოცვა, მოვიდა ფერზე,  
ნათლით ნელ-ნელა შეიმღვრა ბინდი; —  
გაბრწყინებული მობრუნდა მცხეთას,  
მაგრამ აუწყეს ამბავი ესე:  
„ბიზანტიელნი ითხოვენ მძევალს  
და სთავაზობენ ერთობას ისევ“. —  
ხელმწიფემ მშვიდად „ანონა“ სიტყვა,  
ბექა აახლა დიდ კონსტანტინეს:  
„რადგან ერთობა ფიცის ქვეშ ითქვა,  
ალბათ ამიტომ მოინადინეს,  
ბიზანტიელთა ჩვენი მოყვრობა“ —  
თქვა და გადაჭრა მისხალით აზრი:  
„ასე აჯობებს, „თავის მოქონვა“,  
იბერიისთვის იქნება ნაღდი“.

### თავი XI

ორი დღე შიშით ებრძოდა ფიქრებს,  
ნინოს ეახლა და სთხოვა ლოცვა,  
ხელმწიფემ თავი დახარა მძიმედ  
და სინანულის აღმოხდა ოხვრა.  
მუხლებზე დადგა, წარმოთქვა სიტყვა:  
„ვაცხადებ ქრისტეს იბერთა ღმერთად!“ —  
ხელი აღაპყრო „მცირემ“ და „დიდმა“,  
მუხლებზე დადგა სრულიად მცხეთა.  
„დიადი შუქის“ დიადმა ძალამ,  
მეფეს აღუძრა ერთი სურვილი,  
წამოიშრათა და ასე ბრძანა:  
„უნდა მოვიკლა სულის წყურვილი.  
აქვე ავაგებ დიდებულ ტაძარს,  
რათა ილოცოს სრულიად მცხეთამ,  
ზურგი ვაქციოთ ღვთაება არმაზს  
და ვეთაყვანოთ უწმინდეს ღმერთ-კაცს.  
იქ, „თხოთის მთაზე“ მისი სახება,  
გამომეცხადა მე ნათლის შუქად,  
ეს იყო ალბათ ღმერთის განგება,  
რომ უვნებელი მოვბრუნდი უკან!“ —  
მერე კი ნინოს შეებდა რიდით:  
„სად მივუჩინოთ ალაგი ტაძარს?“

„იქ ააშენე მეფეო იგი,  
სადაც გონება შენი მტკიცე არს!“...  
შვიდი ნაძვის ხე მინაზე დასცეს,  
როცა ხეები კარგად გამოხმა,  
მეფემ უბრძანა ერთგულ მეზალეს,  
შვიდივე მორის სვეტად გამოთლა.  
შვიდი სვეტიდან ექვსი აღმართეს,  
ხოლო მეშვიდე ვერასგზით დადგეს,  
ხარაჩოებიც მკვიდრად გამართეს,  
რა არ ილონეს, როგორ არ სცადეს.  
ნინოს უამბეს სვეტის ამბავი,  
მანაც შესთხოვა შემოქმედს შველა,  
დილით იხილეს სვეტი დამდგარი,  
ამ ამბის გამო „შეირყა“ მცხეთა.  
აუწყეს მეფეს: „ოცნება ახდა,  
ზეცით გვეახლა ვაჟი მბრწყინვალე,  
მან აიტაცა სვეტი და დადგა,  
თანაც ხმა ჰქონდა ისე მგრგვინავი,  
ცოტა არ იყოს შევშინდით კიდეც,  
მაგრამ როდესაც ვიხილეთ სვეტი,  
იმ ვაჟს დაედგა ის სვეტი ისე,  
სინარულისგან დაგვესხა რეტი“. —  
„სვეტიცხოვლისა“ უწოდეს ტაძარს,  
სვეტის სასწაულს მიუძღვნეს იგი,  
წმინდა ასულის ოცნებაც ახდა,  
საყდრად დაიდგა „წარსულის ფიქრი“.

### თავი XII

ბიზანტიიდან ინერებოდა,  
იმპერატორი საამო წერილს,  
მასში სიკეთე იკვეთებოდა  
და თანადგომა, „გამართვა ხელის“. —  
„რადგან აღსრულდა უფლის მიზანი  
და მოიქეცი შენ ქრისტეს რჯულზე,  
ბექას გიბრუნებ, მღვდლებსაც გიგზავნი,  
ვაცხადებ ხელის დადებით გულზე:  
რომ დღეის შემდგომ, იბერთა მეფევი,  
მე, კონსტანტინე ფიცსა ვდებ შენთან,  
ჭირსა და ლხინში ჩემს ძმობას ენდე,  
ერთად ვიბრძოლებთ მოსისხლე მტრებთან“...  
ერთი თვის თავზე მცხეთას ეწვია,  
ეპისკოპოსი მღვდელთა ამალით,  
სვეტიცხოველში მინას ემთხვია,  
მეფეს მიჰგვარა ვაჟი ბაქარო...  
დილით დაინყეს განათვლა მტკვარში,  
ინათლებოდა სრულიად მცხეთა,  
ერი დაუდგა მირიანს მხარში,  
ტალღებს „ეტროფოდენ“ ჩრდილები ხეთა.  
წყალში შევიდნენ მეფე და რევი,  
ატლასის კაბა ემოსათ ტანზე,  
ტყვე-ქალმა წყალი აიღო პეშვით,  
სამჯერ აპკურა მირიანს თავზე.  
ცრემლი შენიშნა მეფის თვალებში,  
თვითონაც ცრემლით აევსო თვალი:  
„აღესრულაო, ჩემი თარეში!  
მოვიხადეო, მეფეო ვალი!“ —  
თავი დახარა, განაგრძო მშვიდად:  
„ჩემმა ცხოვრებამ იცვალა ფერი,  
იბერიაში შემოსვლის დღიდან,  
განესრულაო მეშვიდე წელი“. —  
„მთავრის სანათლო“ დაარქვა ადგილს,  
სადაც ნათლობა მიიღო ერმა,  
მეფე გადასწვდა ნაპირზე მარგილს,  
გამოეხატა სახეზე წყენა:  
„სად არს ფეროზი, მმართველი რანის?“



რად მოისურვა დარჩენა ჩრდილში? "...  
 ძებნა დაიწყეს მსტოვრებმა მთავრის,  
 გაპარულიყო წყეული გიშში.  
 მაცნე აფრინეს, მიუსწრო ბოდბეს,  
 თავი იმართლა მანჭვა-კაკანით,  
 ანონ-დანონა, იფიქრა ორ დღეს,  
 უკან მობრუნდა გულისფანცქალით.  
 თავად ისურვა ჯვარზე მოქცევა,  
 „იჭყუმპალავა“ კამკამა მტკვარში,  
 უთხრა მირიანს: „ახლა ოცნება,  
 ანი მოვხვდებით ორთავე ცაში“. —  
 მერე კი ხვეწნით გაუპო გული:  
 „გამატანეო, მემკვიდრე რანში,  
 მსურს მასთან ერთად გავშალო მუხლი,  
 ვინადიროთო ჯიხვებზე მთაში“. —  
 არ ეჭაშნიკა მუდარა წვევის,  
 ეს უთხრა მხოლოდ მმართველს რანისას:  
 „ჯერ დაველოდოთ სიძეო რევის,  
 რადგან აპირებს შერთვას ქალისას;  
 სალომე ჰქვია მშვენიერ ასულს,  
 ურბნისში სახლობს ოჯახი მისი,  
 იქ გავატარებთ წლევეანდელ ზაფხულს,  
 „სიგელით“ უკვე შეეკარით ფიცი...“  
 სამი თვის თავზე გასწიეს რანში,  
 ფეროზმა რევის მიუძღვნა „ქისა“,  
 უთხრა: „მზის-გულო შემედექ მხარში,  
 ხორნაბუჯს დავდგათ ტაძარი ქვისა!“...  
 რევიც დათანხმდა საყვარელ ბიძას,  
 გზიდან მიწერა სურვილი მამას,  
 ფეროზი „კბილით იჭერდა“ მიზანს,  
 რადგან ელოდა „უნაკლო“ საბაბს.  
 გიშში ჩასულებს ფაიქი დახვდათ,  
 ინერებოდა შაბური უსტარს:  
 „რანის მმართველო! სურვილი ახდა,  
 აღმასის თვლებს გიგზავნი მუშტარს.  
 სამმაგ ფასს მოგცემს, ცუდი არ ეთქმის,  
 საჭირო კაცად ითვლება ჩვენში,  
 ნარსე რაც მოკვდა და მე გავმეფდი,  
 მას აღარ ვარჩევ საკუთარ ძმებში.  
 შენც დამეხმარე, მომდიე ერთხანს,  
 მეფე მირიანს მოვულოთ ბოლო,  
 ქრისტიანობა აღმოვფხვრათ მცხეთას,  
 რაც შეეხება შენს საქმეს, ხოლო,  
 მინდა, რომ გახდე იბერთ მხარეში,  
 პირველი კაცი, მმართველი მესხთა,  
 ამასთან შეწყდე რომის თარეში,  
 მთელი ქვეყანა შენ გეპყრას ხელთა“.

### თავი XIII

ნინო ჩავიდა ურბნის-ქალაქში,  
 ოთას ჭიშკართან მცირე ხნით შედგა,  
 ფეხი გადადგა ლელვით ალაგში,  
 გამოეგება მოხუცი „დედა“.  
 თმა შევერცხლოდა დედობილს მისას,  
 გულამოსკვნილი ატირდა ოტა:  
 „ვერ დავრჩებო შენს ქოხში დიდხანს,  
 უნდა წავიდე, დრო მაქვსო ცოტა“. —  
 „არ წახვიდეო!“ — ვევერა დედა,  
 ხვეწნა-ვედრებით შეუძღვა სახლში,  
 ცრემლების ფრქვევით დაძლია სევდა,  
 ცერცვის წვნიანი ჩაუსხა ჯამში. —  
 „მაშინაც ასე ვისხედით, გახსოვს?  
 შენ, რომ გამოჩნდი პირველად ჩვენთან,  
 გზაში გიპოვე, სასახლის ახლოს,  
 ხემსი მოგართვი ზანდურთან ერთად“. —

ნინომ მიირთვა წვნიანი ცერცვის,  
 დაემშვიდობა, გავიდა გარეთ,  
 „მეჩქარებაო!“ — წარმოთქვა სევდით:  
 „გინახულებო, უცილოდ ხვალე!“ —  
 ეპისკოპოსი მღვდლებით სწვეოდა,  
 სურდა ეხილა ტაძარი უფლის,  
 ქალაქის მმართველს, როგორც სჩვეოდა,  
 უკვე მოესწრო განყოფილება სუფრის.  
 მადლობა უთხრა მას იოანემ:  
 „მე გახლავარო შვილო, მაძღრისად,  
 უნდა ვნახო ნინო და მეფე,  
 მერე კი მსურსო ხილვა ტაძრისა“. —  
 ნინო იხილა მონათა შორის,  
 იგი უცქერდა ღიმილით ფარსმანს,  
 როგორ ცდილობდა ყმანვილი მორის,  
 თელის მარგილით ადგილით დაძვრას.  
 ახლოს მივიდა, შესძახა ნინომ,  
 ხელით ანიშნა ჩამოსვლა მასთან,  
 მათი შეხვედრა ურბნისში თითქოს,  
 შეხვედრას ჰგავდა კაცისა მთასთან.  
 სიტბო გამოკრთა ღვთიურ თვალთაგან:  
 „როგორ ცხოვრობო?“ — მხოლოდ ეს ჰკითხა —  
 „ტაძარს ვაგებო, ნინო, ამ უამად,  
 შენ, როგორ ხარო, თავად ეს მითხარ!“ —  
 მონა მოვიდა და უთხრა ფარსმანს:  
 „ოსტატმა ბრძანა, ადიო მალლა!“ —  
 სახე უცვალა ყმანვილკაცს ხათრმა —  
 „არ შემატყოსო ოსტატმა დალლა;“ —  
 ნინოს შეხედა, ემთხვია ხელზე,  
 თავზე მოეველო სწრაფად ხარაჩოს,  
 ტაძრის პირდაპირ პატარა ველზე,  
 ძირს დაეხარა თავი ყაყაჩოს.

### თავი XIV

უჯარმას შედგა მცირე ხნით ნინო,  
 მრევლი განათლა ადიდა ღმერთი,  
 ხალხში დატოვა ულევით სიტბო,  
 აღმოაცენა სიკეთის ნერგი.  
 იქიდან ბოდბეს ისურვა წასვლა,  
 შეუძლოდ გახდა, გაორდა ფიქრი,  
 თხოვნა შებედეც, არაფრით არ ჰქნა,  
 არ გამობრუნდა მცხეთაში იგი.  
 სალომე იხმო, თავთით დაისვა,  
 განავრცო სიტყვა, დაიწყო თხრობა,  
 ცა შეამღვრია წითლად აისმა,  
 მიმქრალმა ღამემ ცისკარი შობა;  
 „მამას უხმობდნენ დაო ზაბილონს,  
 უმწრმესი შვილი ვიყავი მისი,  
 მისი საფლავი ღმერთმა ადიდოს,  
 გამტანი იყო ჭირსა და ლხინშიც;  
 დედას კი ერქვა“ — ნინო შეყოვნდა,  
 ამოიოხრა, ამოჰყვა გული:  
 „სოსანა ერქვა, როგორც მეგობარს,  
 ისეთი სათნო გააჩნდა სული.  
 მე დავიბადე კაპადოკიას,  
 კოლასტრა ერქვა პატარა ქალაქს  
 და წამიყვანეს, ესეც სწორია,  
 ქრისტეს წამების უწმინდეს ალაგს.  
 იერუსალიმს ვიყავ იმ ხანად,  
 როს გავინათლე ახალი რჯულით,  
 ბიძამ მოკეთის სახლში მიმგვარა  
 და დედობილმა მიჩვენა გული;  
 ნიაკოფორამ, ჩემმა მოკეთემ,  
 კვართის ამბავი მომიტხრო მაშინ,  
 სული გამითბა, და დრო ვიხელთე,







ველარ დავდექი, გავეჩრდი სახლში.  
კონსტანტინეპოლს ლოცვა ვისმინე  
და დედოფალი ელენე ვნახე,  
აქ გავიცანი დედა-რიფსიმე,  
მაგრამ დავვიგო ურჯულომ მახე;  
დიოკლეტიანს უხმობდნენ იმას,  
გამოგვატარა წამების გრდემლი,  
დრო შევარჩიე, დავუძვერ ხიფათს,  
გამოვალნიე უღრანი ტევრით.  
ტბასთან მოვედი, დავყევი თავქვე,  
ცხვარს აძოვებდა იქ სამი მწყემსი,  
შვილად მიმიღეს, სუფრასთან დამსვეს,  
მშიერი ვიყავ, გავტეხე ხემსი.  
სხვა დანარჩენი კი იცით უკვე,  
აქ, თქვენთან ვიყავ, ვნატრობდი დედას,  
ფიქრსა და სევდას მრავალჯერ ვუხმე,  
რომ ერთხელ მაინც მეხილა ნეტავ!“ —  
ითხოვა წყალი, შეწყვიტა თხრობა,  
დალოცა მეფე, დალოცა ერი:  
„ბოდბეს დამფალით!“ — ეს მაქვსო თხოვნა,  
„მაზიაროსო, მოვიდეს მღვდელი!“ —

### თავი XV

ცრემლად ჩამოდნა თვალთაგან სევდა  
და ბოდბეს დაფლეს ნინოს ცხედარი,  
იბერთა მოდგმას მფარველად ექმნა,  
ცად აღვლენილი სული ნეტარი.  
ბოდბეს ისურვეს ტაძრის აგება,  
მაგრამ მეფის ძე ავად შეიქნა,  
ლამეს უთევდა ნინოს ხატება,  
სრულიად მცხეთა მუშტად შეიკრა...  
მთელს იბერიას მოუკვდა რევი,  
სვეტიცხოველში აუგეს წესი,  
გლოვად დაემხო ათი დღე მრევლი,  
არ გაიკარეს მშობლებმაც ხემსი...  
ველარ გაუძლო სატანჯველს ხორცმა,  
„ტანში“ შეუჯდა მირიანს სენი:  
„მოუხმეთ ბექარს!“ — ძლივსლა წარმოთქვა —  
„აქ მომგვარეთო, მამულის მცველი!“ —  
მეფემ ილოცა ღვთისმშობლის ჯვარზე,  
ოქროს გვირგვინი გადასცა ბექარს:  
„ფეროზი მოჰკალ, მოიქეც ასე,  
თუ გსურს, რომ ქვეყნად ვაჟკაცი გერქვას!“ —  
უთხრა ძეს თვისას, აუნყა ესეც:  
„რანის მმართველმა მონამლა რევი,  
აღმოაცენე მომხრეთა ფესვზე,  
სიკეთის ნერგი, ამრავლე ერი“. —  
ბოდვა დაინყო მირიან მეფემ,  
თვალი დახუჭა, მოუხმო რატის,  
ბექარმა იხმო დედოფლის სეფე,  
მოატანინა ღვთისმშობლის ხატი;  
„ნინო სად არის?“ — ბორგავდა მეფე —  
„იბერთა ერის ასული წმინდა,  
ბექარ! შენ უნდა იყო ხელმწიფე,  
ამგვარად მსურს და ამგვარად მინდა!..  
მე, შვილის გვერდით დამიდგით „ბორცივი“,  
ისე იცხოვრე ნუ შექამ სირცხვილს“...  
გაქვავდა მისი ტანჯული „ხორცი!“  
სიცოცხლისათვის ეჯობნა სიკვდილს.

### თავი XVI

ერთი წლის თავზე დედაც მოუკვდა  
და მარტო დარჩა მეფე ბექარი,  
გლოვას რომ მორჩა, მსახურს აუნყა,  
მოაყვანინა მხედართმთავარი;

უთხრა: „რადგანაც დამიდე ფიცი,  
ჟამთასვლის გზაზე ჩემს სიტყვას ენდე,  
თავზე დაეცი, აილე გიში,  
ფეროზი გასვი გასანთლულ ძელზე!“ —  
გზა დაულოცა დარჩის ძეს მეფემ,  
ფარავნის ტბაზე ისურვა წასვლა,  
ტბასთან მისულმა გზის პირას ფერდზე,  
მოხუცი მწყემსი ეულად ნახა. —  
„აქ მოუხმეთო ჭალარა დევკაცს!“ —  
გასცა სასწრაფოდ მეფემ ბრძანება;  
ბექარის ფეხთით მუხლზე დაეცა:  
„ცხადი არისო, თუ არს ზმანება?“ —  
ეს თქვა დევკაცმა, გასწორდა ხვნეშით,  
მოჰკიდებოდა მზის სხივი კანზე,  
მწყემსის კომბალი ეჭირა ხელში,  
ერკემლის ტყავი ემოსა ტანზე. —  
„ვინ ხარ მოხუცო? მითხარ სად მოველ?“ —  
„ბაჩა გახლავარ, მეფეო მწყემსი,  
შენ დაგინახე, აქეთ წამოველ,  
სურვილი თუ გაქვს, გატეხე ხემსი!  
იმ გორის იქით, ქოხი გვაქვს მწყემსებს,  
იქვე ვისხედით ჩვენ წელან პურად,  
ფარავნის კალმახს მოგართმევთ კეცზე,  
თუ კი მიიღებ ჩემს ნათქვამს გულად!“ —  
„ჩვენც კალმახზე ვართ, ამბობენ ტობობს,  
რადგანაც მთხოვე, ნავიდეთ იქით,  
ასეთ წვევაზე უარი ვთქვა როგორ?  
არ შევიწუხებ თავს დიდხანს ფიქრით!“ —  
სუფრასთან დასხდნენ, გაჩაღდა ლხენა,  
თევზი იგემეს, გატეხეს პური,  
მოხუცმა მწყემსმა ითხოვა სმენა,  
მეფეს შესთხოვა: „მომაპყარ ყური!..  
მაშინაც ასე დავლაგდით რიგით,  
მე, არტაშა და ბერიკა ერთად,  
შენს ზურგსუკნიდან გამოჩნდა იგი,  
პატარა ჯოხი ეჭირა ხელთა;  
მარტო შემოვრჩი წარსულის ფიქრით,  
შემომაცალა სიკვდილმა ძმანი,  
ფეხშველი იყო, სდიოდა სისხლი,  
რადგან საბრალოს არ ეცვა ხამლი.  
მე რა ვიცოდი, უგნურმა მაშინ,  
რომ ჯვარი ეპყრა ჯოხის მაგიერ,  
უკვე დავბერდი, შევედი ხანში,  
არ შევხვედრივარ უფრო სახიერს;  
„ნინო მქვიაო!“ — მახსოვს ეს რომ თქვა —  
ეჰ, როგორ დნება მეფეო წლები?“...  
თასი დაცალა ჭალარა მწყემსმა,  
შეათამაშა „ბებერი მხრები“. —  
ზურგით შებრუნდა ბექარი ერთხანს,  
ფიქრში წასულმა მინდორს გახედა,  
მოუტრიალდა ჭალარა დევკაცს,  
მის ცრემლმორეულ თვალეებს ჩახედა;  
ქისა შეიხსნა, გადასცა ბაჩას:  
„მაშ, ეს ცხოვრება ყოფილა მქისე,  
ცრემლი მოუხდა მოხუცო ნათქვამს“ —  
თქვა და ბექარი წამოდგა მყისვე;  
ჯამი ითხოვა, მოციცქნა იფქლი,  
ბაჩუამ დინჯად ჩაუსხა ღვინო,  
ლუკმა ჩაანო, განაგდო ფიქრი  
მეფემ შესთხოვა შენდობა ნინოს.  
ღრუბელმა მზის სხივს დაუგო მახე,  
სხივთა დაჩრდილვა შეიმჩნა თვალთ,  
ცისფერმა ბინდმა დაფარა სახე,  
გამოისახა ღრუბლისგან ქალი;  
მცირე ხნის შემდეგ ისევ განათდა,



ცაზე არ დარჩა ღრუბლების კვალი,  
ცრემლი გამოკრთა მეფის თვალთაგან,  
როგორც კამკამა ბუნულის წყალი.

## ეპილოგი

„მე, უკვე დიდი ვარ!“ —  
ჩამხედე თვალებში  
და ბავშვურ მზერაში,  
წუხილი გამოკრთა...  
ზეციდან  
მინაზე უეცრად დავეშვი,  
ცხოვრების გრძელი გზა,  
მაშინვე დამოკლდა;  
„შენ უკვე დიდი ხარ!“ —  
მაგრამ მე იხტიბარს  
არ ვიტყვ, მამა ვარ,  
არ ვიცი რა მომდის,  
გვერდი-გვერდ ვდგავართ და  
ჯერ ერთად მოვდივართ,  
სიკვდილი სიცოცხლეს  
სულს როდის ამოხდის,  
არ ვფიქრობთ,  
რადგანაც  
ჩვენს ნაცვლად სხვა ფიქრობს,  
ან ფიქრი ამგვარი  
რას მოგვცემს წინასწარ?  
ჯერ „რიგი ჩემია“  
ღმერთით და გაჩენით,  
„ხელადა წავულო“  
იმქვეყნად წინაპარს;  
სამშობლოს მძიმე ტვირთს,  
ჯერ შენი მხარბეჭი,

ვერ ზიდავს,  
ვდუმვარ და  
არ ვამბობ ხმამაღლა,  
იღბალი,  
ცხოვრების ხახაში ნაღეჭი,  
ფრთაგაშლილ ოცნებას  
უსიტყვოდ დამარხავს.  
არ გკითხავს არაფერს,  
„ფეხებთან განვება“,  
აჩრდილის ფერით და  
შეფარვით ამას გთხოვს:  
„ორიდან ერთ-ერთის  
მოგინვეს არჩევა,  
ან მხდალი სიცოცხლე,  
ან „მოსვლა ყაყაჩოდ“;  
„იქორის ყივილი“  
წინაპრის დგრიტადან,  
ვენახის ფესვივით  
დაგრეხილ ძარღვებში,  
ამ წუთისოფელში,  
რას აღარ იტანდა,  
ძუ მგელის ლეკვივით,  
„აღგეთში ნაგეში“...  
შენ უკვე დიდი ხარ!..  
ზღვისფერი თვალებით,  
შეჰყურებ ზეცას და  
ბილიკზე კვალს ტოვებ,  
მოდინარ წინოს ჯვრით,  
გვართ და სახელით,  
რომ აწმყოს წარსული  
მუდმივად ახსოვდეს.  
...შენ უკვე,  
დიდი ხარ!..



წმიდა წინო. ხატმწერი რეზო ადამია





ზინაიდა ყუბიტაშვილი



## ჩრდილი

...ყველაფერი ჩვეულებრივ, არაფრით გამორჩეულ დღეს დაიწყო — უფრო სწორედ, შემოდგომის ერთ უფერულ საღამოს, „პაკაზიდან“ ადრე წამოვედი...

\* \* \*

ვიცი, ზვიკის გული დავწყვიტე, მაგრამ ძალიან მომბეზრდა ბომონდური „სვეცკობები“ და წამოვედი... წვიმას გადაელო... შემოდგომურად ციოდა... ჩაბნელებულ, მაგრამ ძალიან ნაცნობ ქუჩაზე მიმავალმა (რომელსაც აგერ უკვე მერამდენე წელია ვქსელავ და ლამის ზეპირად ვიცი სათითაო შენობის ბზარი, თუ ქარისაგან გადახრილი ჟოლოს კიდე), ჩრდილი შევნიშნე... ირგვლივ მიმოვიხედე, არც ლამპიონი ენთო, არც სახლების ფანჯრებიდან გამოდიოდა განსაკუთრებული სინათლე, მთვარეც არსად ჩანდა, რომ მის სუსტ სხივს მაინც გაენათებინა ვინრო ქუჩის ნახევრად ჩამოშლილი ბორდიური, რომ მის გაყოლებაზე განფენილი ჩემი საკუთარი სხეულის ანარეკლი მგონებოდა, არადა აშკარად ჩრდილი მომდევდა, ჩემზე ერთი თავით მაღალი და სილუეტის კვალობაზე საკმაოდ დახვეწილი მოყვანილობის ჩრდილი, მომდევდა აუჩქარებლად, მშვიდად, არც იმჩნევდა, ისე ზუსტად იმეორებდა ჩემს ნაბიჯებს, რიტმს, პლასტიკას, გულისცემასაც კი... უცნაურია, ჯერ არ გავგიჟებულვარ მგონი!... ვინ უნდა იყოს?... იქვე, საგაზეთო ჯიხურთან შევდექი, ვითომ რაღაცის შესამონმებლად... დავიხარე, ვითომ ფეხსაცმელზე რაღაც გამომედო... დავიხედე და ბიჯოს! — მართლაც ამკვროდა ნეკერჩხლის ულამაზესი წითელი ფოთოლი, სველი და ამ სისველით კიდეც უფრო ჩამუქებული და როგორც პანია ნაკვერჩხალი ისე ლუოდა ნეკერჩხლის ეს პანია ნაგლეჯი, ჩემი ფეხსაცმლის თასმას აკიდებული... ნეკერჩხალი-ნაკვერჩხალი... ნაკვერჩხალი-ნეკერჩხალი... ეკერჩხალი... ჩხალი... ხალი... ლი... ჩრდი-ლი!... ჩრდილიც შედგა, ფეხსაცმელზე დამაკვირდა... მე ვიეშმაკე და თავი ავნიე, რომ ერთხელ მაინც შემეველო თვალი ჯიხურის მინაში არეკილი ქუჩისათვის, ჩვენი მზერა წამით შეხვდა ერთმანეთს: სარეკლამოდ გამოდებული, მოლიცლიცე ვიტრინის მინას აკრული ჟურნალების ფონზე, ზუსტად ჩემნაირი ორი თვალი მიმზერდა... აი ისეთი, ყოველ დილა-საღამოს საკუთარი აბაზანის დაორთქლილ სარკეში რომ ვხედავ... „როგორ მგავს“, გავიფიქრე წამში, „ოღონდ ერთი თავით მაღალია, ჩემნაირი სახის ოვალით, ნაკვთებით, თვალის ფერით, ღიმილით... სისულელეა: ჩრდილს არ აქვს არც ნაკვთები და არც ფერები, სილუეტი — კი ბატონო,

ხაზები, მოყვანილობა, მაგრამ რა ფერი და რისი ღიმილი?“... არადა, ჩრდილი მილიმოდა და მშვიდად ელოდა ჩემს შემდგომ ნაბიჯებს... და მე, „ვითომც არაფერია“ განწყობილებით გზა განვაგრძე და მივხვედი, რომ რაღაც ახალი დაიწყო ჩემს ცხოვრებაში — გზა ჩრდილთან ერთად...

...მივდივარ და მახსენდება ბავშვობაში თუ რამე მინახავს: თავდაპირველად ძველი ქართული ფილმი „ჩრდილი გზაზე“ — რა ლამაზები და ახალგაზრდები არიან ლია ელიავა და ედიშერ მაღალაშვილი, მერე ამერიკელები „ჩრდილი ოპერაში“ გიჟი ჟერარ ბატლერით და „მოჩვენება“ საყვარლად მოხდენილი პატრიკ სვეიზითა და დემი მურით... მახსენდება ათასი რამ, რაც არანაირ კავშირშია ჩემს ჩრდილთან... ჩრდილი სულ სხვაა, შავ-თეთრი კადრია, ძალიან შინაური და ნაცნობი... ის ჩემი ჩრდილია, მერე რა, რომ მთელი თავით მაღალია და უფრო დახვეწილი... უფრო ზომიერი და განონასწორებული აზრები აქვს და ემოციაშიც უფრო აკადემიური... ის ჩემია და მორჩა!

...რა შუაშია შემოდგომა? — იკითხავს მავანი... ჩრდილი ზაფხულისაა, როცა მზე დააცხუნებს და მისი მხურვალე სხივებისაგან მთელი სამყარო ჩრდილებს შემოიცვავს... ჰოდა, გამორჩეულად მიყვარს ზაფხული, მზით, ზღვით მცხუნვარებითა და ჩრდილებით და საერთოდ მე სამხრეთელის ტიპი ვარ და ამით ყველაფერია ნათქვამი!... აი სწორედ ამაშია საქმე!... ჩემი ჩრდილი მე შემოდგომაზე ვიპოვე... ვიპოვე რა — აღმოვაჩინე, ანუ მივხვედი, რომ ამიერიდან მის გარეშე სუნთქვა გამძინელდება... ჩვენ ერთნაირად ვფიქრობთ, ერთდროულად ვგრძობთ და ერთნაირ ტემპში ვმოძრაობთ, ხანდახან მგონია რომ ის მე ვარ და მე ის... ალბათ ასეცაა... მე მისგან იმდენს ვსწავლობ, ხანდახან მრცხვენია კიდეც... თითქოს მე ვიყო მისი ჩრდილი და არა პირიქით!... ეხლა ვითომ ამისი დროა? არადა, მე ხომ შემოდგომაზე მინდოდა ორი სიტყვა მეთქვა...

...ბავშვობიდან არასოდეს მყვარებია შემოდგომა... თავდაპირველად ალბათ იმიტომ, რომ შემოდგომა სწავლის დაწყებას მოასწავებდა და რაც არ უნდა ბეჯითი და „ხუთოსანი“ მოსწავლე ვყოფილიყავი, მაინც რაღაცნაირად მიჭირდა საზაფხულო არდადეგების თავგადასავლებთან და უდარდებლობასთან განშორება... თავგადასავლები რაა რო? — განსაკუთრებული რა თავგადასავალი უნდა ჰქონდეს სკოლის ღანცალა თინეიჯერს — დიდი-დიდი სოფლის ორღობის პასტორალური ვნებები ან რომელიმე საზღვაო კურორტის ისტორია, ახალი ნაცნობობა და



მოჩვენებითი თავისუფლების პანია ყლუპ-ყლუპებად ღრმად ჩასუნთქული ჰაერი, როცა გგონია, რომ არავინ და არაფერია შენი დამჭერი, ხოლო სინამდვილეში ყველაზე დიდი ცენზორი საკუთარი არსებაა და რაც არ უნდა „გაგებული“ მშობლები გყავდეს, მაინც დაბინდდება თუ არა, შინ მიგეჩქარება, რომ დედის ან ბებუის მიერ „მგლის თავზე ნაკითხული სახარება“ და მამის ან ბაბუის თემატური, და როგორც წესი, დაუმსახურებელი ბუზლუნი აიტანო... — არა რა, — მაგარია არდადეგები, როცა არავინ გიფრთხობს დილის ძილის ყველაზე ტკბილსა და სანუკვარ წუთებს: არც მალევიძარა, არც მშობლები და არც საგანგებოდ მაღალ ხმაზე ჩართული რადიო ან ტელევიზორი დილის საინფორმაციო გამოშვებით... მერე იზრდები და სკოლას უნივერსიტეტი სცვლის და ისევ მკაცრი რეჟიმის არტახებში ცდილობ ისე მოირგო რეალობა, პატარა გამორჩენა მაინც ნახო შემოდგომის გულისგამანვრილებელ მელანქოლიაში; ნახვიდე ექსკურსიაზე ვარძიაში ან ანანურში, იქ მამა-პაპის დანატოვარი ძეგლები მოინახულო და როგორც შეგიძლია ისე მოეფერო „ცვირიან ბალახზე ფეხშიშველა სატანტალო მამულს“, ბუნებაში ნაიქეიფო და იქნებ მარცხიც იწვნიო ბახუსთან ჭიდილში და მაინც, კმაყოფილი დაბრუნდე თანმხლებ ლექტორ-პროფესორებთან ერთად, რომ შაბათ-კვირის უქმე შინაარსიანად და ნაყოფიერად გაატარე მეგობრებში... მერე... მერე ოჯახს წამოიკიდებ ზურგზე და, როგორც გრძელ დისტანციაზე მორბენალი მარათონისტი, ახლა უკვე შვილთან, ან შვილებთან ერთად (გააჩნია შვილების რაოდენობას) ტკეპნი უკვე მერამდენედ არაერთი თაობის მიერ გაკვალულ გზას და მიუხედავად იმისა, რომ სულ უფრო გენატრება ბავშვობის უდარდებობა, ეს შემოდგომა მაინც ვერა და ვერ გაყვარებს თავს... კი ბატონო, გალაკტიონს ხშირად დაესესხები „შემოდგომის ყვავილს ჰგავს სიყვარული უკანასკნელიო“ რომ ამბობს ყველაზე პოპულარულ ლექსში, მაგრამ რა? — პოეზია პოეზიაა და ცხოვრება ცხოვრება!.. ეს ლექსებშია ლამაზი და სასიამოვნო შემოდგომა, ლექსებში და კიდევ ფილმებში, თორემ ცხოვრებაში? ოოო-ეეე-ააა-ვააა, რომ გააბამს წვიმა მომბებრებელ ნკაპანკუპს, და რომ დასცვივა ხეებს ფოთოლი და ნისლი დაფარავს ხედს, ატალახდება ირგვლივ ყველა გზა და ბილიკი, რა დროს ლექსია და რომანტიკა, ნესტი, სიცივე, დღე რომ სულ უფრო იკლებს და ისე მალე მოდის ეს საღამოს ბინდი, არა რა, დაილოცოს ჩრდილი... ეხლა მისი გადამკიდე, წვიმის ნკაპანკუპი სუ და იარუმას „Kiss the rain“-ს მაგონებს, ხის ფოთლები — „autumn leaves“-ს, ნისლები და ტალახი — ხვარამხესაგან ვაჟიკას ცხენის ნალის შემოღობილ ნაკვალევს და ნესტი და სიცივე კიდევ — პიაციოლას „ბლივიონ“-ს ...ჰოდა, ძალიანაც კარგი! ანი მემახსოვრება, წლის რომელ დროს აღმოვაჩინე ეს უცნაური სიყვარული შემოდგომისა და კიდევ ჩრდილი, რომელმაც არათუ შემაყვარა შემოდგომა (თავად რომ არც იცის ისე, ისევე უცნაურად და შეპარვით, ქურდულად და ძუნწად, უსიტყვოდ, ყოველგვარი ზედმეტი საუბრებისა და ფილოსოფოსობის გარეშე) სამუდამოდ ამედევნა კიდევ... გვიანლა აღმოვაჩინე ჩვენი საბედისწერო თანხვედრა და მაშინ მივხვდი, თუ რა არის ფასეულობათა გადაფასება... არა, ძალიან მაღალფარდოვნად ჟღერს ეს „ფასეულობათა გადაფასება“, მაგრამ სამაგიეროდ, რა ზუსტია: ათიანში ხვდება!... რომ ვფიქრობ, დიდი ბრძოლა არ დასჭირვებია, — ახალ განზომილებას ნებაყოფლობით დაუთმო ადგილი წინამორბედი გულსა და

გონებაში, ფიქრსა და განცდაში და ახლა როცა მუდმივად თანამდევნი ჩემი არსების ჩრდილს ვესაუბრები, ან ვეკამათები, ან ვუზიარებ, ან უბრალოდ ვუღიმი ერთმანეთს, ირგვლივ შემოდგომის ჭრელი ფოთლების ჯახი აიტაცებს ჰაერში ჩვენს უწონად ეთერივით გამჭვირვალე სხეულებს და მე და ჩრდილი თავდავინწყებით ვცეკვავთ ჩვენს ერთადერთსა და განუყოფრებელ „ვალს-ბოსტონს“...

ჩრდილი ერთთავად ძალიან სერიოზული და ფიქრიანია... საერთოდაც, სერიოზულია, ცოტა მელანქოლიური, როგორც იტყოდა ზვიკი, კომპლექსებით დახუნძლული (ოლონდ ეს „კომპლექსებით“ ზვიკისავით მაგარი „ლასიო“ უნდა წარმოითქვას, თორე კაპიკია ისე მისი ფასი!) არადა, არაფერ შუაშია ეს კომპლექსები! უბრალოდ, ჩრდილი მოკრძალებულია, ზრდილობიანი, აკადემიური, კარგად აღზრდილი, ინტელიგენტი, „პაჩტი“ „დიმიტრი გელოვანი“, ანუ როგორც ბებია ამბობს, „ბეზიტი მინუტ ვრონსკი!“ რატო უყვარს ამ ბებიაჩემ ქეთოს ეს ვრონსკი, დღემდე ვერ გამიგია... წესით, ქალური სოლიდარობის ამბავში კარენინას მხარეზე უნდა იყოს... იყო რა ქალი, თავისთვის, მაგრამ არააა! — აედევნა ეს ვრონსკი ჩრდილივით და დაღუპა კიდევ... სისულელეა! არავინ არავის ლუპავს! ყველა თავად იკლავს თავს! — მართალია ეს მურტალო და მომკალი! — აი, მაგალითად, მე და ჩრდილი! რა შუაშია ჩრდილი, როცა მე თავად მსურს მდევედეს ყველგან და ყოველთვის: დავედივარ, მძინავს თუ ვქოთქოთებ, ყველგან ჩემთანაა, დავიღალე, ნაბიჯი ვერ გადამიდგამს უმისოდ... ავედივარ კიბეზე, მერე ჩამოვდივარ, ვითვლი საფეხურებს: ჩ-რ-დ-ი-ლ-ი! ერთი საფეხური ზედმეტია, ხურდაში მომრჩა.

...იმ დღეს დავემაღლე, მაინტერესებდა, რა მოხდებოდა... ავედექი და გავიპარე, დავითესე, როგორც ქურდი, გზის ავაზაკი, გადავიფარე თავზე საბანი, ამოვეფარე სიბნელეს და გავირინდე... ვარ ასე ჩემთვის, ვითვლი წამებს და წუთებს, ვუსმენ საკუთარ სუნთქვას და რაღაცას ველი... რომ მკითხო რას, მე მოვკვდე, თუ ვიცოდე! სიბნელეს ნელ-ნელა თვალს ვაჩვევ და „ბოჟე მოი!“ (ზვიკის ლექსიკონიდან!) დგას და ღიმილით მიმზერს... მშვიდი, უშფოთველი, რაზე ელიმება? ჩემზე რაღა თქმა უნდა — სასაცილო ვარ, რომ ვიფიქრე, დავიმალებოდი... აბა, საკუთარ თავს როგორ დავმალები? სანამ რამეს გავიფიქრებდე, მან ხომ უკვე ყველაფერი იცის და აბა, ასეთ დამალვას რა ფასი აქვს?! წესით, კი არ უნდა ელიმებოდეს, უნდა იცინოდეს, ხითხითებდეს ჩემს გულუბრყვილობაზე, მაგრამ ის მაინც მშვიდად მიღიმის და სწორედ ესაა, რომ მაცოფებს... ვიცი, რომ ვერასდროს ვერ გავექცევი ვერსად, ვერც გავუსწრებ, ვერც ჩამოვრჩები... ეს 2-3 ნაბიჯის სხვაობა არ ითვლება, ეგ უბრალო ფიზიკაა, აი სხვიის გარდატეხა თუ დაცემის კუთხის რადიუსი თუ დახრის ამპლიტუდა თუ რაღაცა ჯანდაბა! ამპლიტუდა არა, ანტილოპა! ამპლი-ტუდა-ამპლი-სუდა-ტუდა-სუდა! ტუდა-სუდა! ფიზიკაში სულ მუდამ მთხლე ვიყავი, ზვიკი მანერინებდა ხოლმე დავალებებს, ზაირა მასნს კიდევ ვეცოდებოდი და „სამიან ჯანმრთელობას“ „მადლიზა“ მიწერდა, ანუ არ მამადლიდა... ჩრდილი არის იგივე მე — ერთი ერთში!

— არა, მინი — „რაზნიცა“ არის ხო იცი?! — გვერდიდან მაკვირდება ზვიკი... „შენი პროფილი უფრო ანტიკაა, იმისი უფრო იზიანია“ — ატრაკებს და უხარია! ზვიკი დარწმუნებულია, რომ ცოდნა რომელიც სამხატვრო აკადემიაში შეიმეცნა, ყველაფერზე



„მიდის“, ანუ უნივერსალურია, „რატო? იმიტო რო მოდა ცხოვრებაა... მარადისობაა... სამყაროს მენტალური კონცეფციაა...“

— რა შუაშია პროფილი?

— შუაში? შუაში კი არა, თავშია გენაცვალე, ჩრდილი სუ პროფილი არ არის? სადა აქვს მოცულობა და განზომილება?

— აქვს, როგორ არ აქვს, ეს ჩვენ ვერ ვხედავთ და აღვიქვამთ, თორემ ყველაფერი ისეთი აქვთ, როგორც ჩვენ... ჩვენი ინტელექტუალური დებატები აპოგეას აღწევს, ჩრდილი კი შავ ღვინოს წრუპავს და ილიმება.

— ჯერ ეს ერთი ღვინო შავი არ არსებობს, ღვინო ან თეთრია ან წითელი და მეორეც, შენთან კამათს აზრი არ აქვს, შენ ხომ უაზროდ ამბიციური ხარ, ოღონდ სიმპათიური ამბიციური! — ზვიკის ვეცოდები და ბოლომდე არ „მწირავს“, რომ არ მატკინოს გული... „ვისი დედაა სიმპათიური“ მახსენდება ძველი ფილმიდან, ზვიკის თვალს ვარიდებ და ახლა უკვე ორივე ერთდროულად და ერთნაირად ვილიმებით: მე და ჩრდილი...

— შენ ვერა ხარ, ხო იცი... რა გიხარია? — ზვიკი კაპნალობს და ლამის ამოხტეს კისერზე სამფად დახვეული კოკო შანელის მოდური შარფიდან, მაგრამ ბოლმისტი არ არის და უცებ გამოიღარება:

— ხო საკაიფოდ აკვდება ეს შარფი ამ პიჯაკს? ჩემს დას ავახიე!

მე ისევ ვილიმი, ზუსტად ისე, როგორც ჩრდილი და გამომწვევად ვუსწორებ თვალს თვალში არა ზვიკის, არამედ უკვე ჩრდილს... ჩრდილი მზერას მარიდებს, რადგან აფრთხობს ჩემი მოულოდნელი გათამამება... მაგრამ ეს მხოლოდ სიზმარში... სითამამე სიზმარში მოსულა, რადგან იცი, რომ ჰოპ! და გამოფხიზლდები და ყველა მიქარვა თან გაჰყვება როგორც ჩაიდანს — ადევნებული ოხშივარი, ნიავს — შემოდგომის ქრელი ფოთოლი, მიცვალებულს — დამტირებლის ცრემლი... უცნაურია, საიდან გამახსენდა მიცვალებული... ბევრჯერ მიფიქრია, მაგრამ

არასდროს დამსიზმრებია საკუთარი დაკრძალვა... არა იმიტომ რომ მეშინია სიკვდილის... არა, უბრალოდ, არ დამსიზმრებია და მორჩა!... სიკვდილზე კი ხშირად მიფიქრია როგორც ყველა მოკვდავს, რომელმაც იცის, რომ ყოფნა ნუთისოფლად სასრულია და ცხოვრების კინოლენტს ადრე თუ გვიან ბოლო კადრად აუცილებლად დააჯდება სადა და უბრალო წარწერა „The End“...

მაგრამ ეს მხოლოდ მაშინ მოხდება როცა ჩრდილი დამტოვებს... როცა მისთვის საინტერესო აღარ ვიქნები... მანამდე კი ასე უნდა ვიაროთ ერთად და განუყრელად... მოულოდნელად ზურგიდან მუხრუჭის ხმა, დარტყმა და შეძახილი ახშობს ყურთასმენას...

— დაარტყა! უშველეთ!

— ნაბიჭვარი, გარბის, მოასწარი ნომრის დამახსოვრება?

— სასწრაფოს! სასწრაფოს გამოუძახე! ჩქარა! ჰაერი, ჰაერი მიუშვით...

— ქალია?! სუნთქავს?! რა ახალგაზრდაა?! სანყალი!

— გაატარეთ! საკაცე გაატარეთ!

— სად დაიკარგება ხოლმე ეს პატრული? როცა გინდა მაშინ არ მოდის სწორედ, რა!...

— „ზაკონ პოდლოსტი!“ — მე ველარაფერს ველარ ვგრძნობ... აღარაფერი მესმის, ვხედავ მხოლოდ ზვიკის, რომელიც ნერვიულად უკიდებს სიგარეტს და ბოლთას სცემს, თან მობილურზე ვილაცას ელაპარაკება!...

მე წონა აღარ მაქვს, არც თვალის ფერი, არც სახის ნაკვეთები, არც პალსტიკა... არც... მე ვხედავ ჩრდილს, რომელიც მილიმის და პირველად მიწვდის საკუთარ ხელს, რათა წამომამყენოს


\*\*\*

ირგვლივ უცნაური სიჩუმე იდგა. უეცრად, ლამპიონის შუქით განათებულ გზაზე, ვილაცის გრძელი ჩრდილი დაეფინა.



მხატვარი ალექსანდრე გოგიაშვილი





ბივი რილვინაქი

მარტონელა მასნავლებლის ჩანანარები



დანანებით გამოვეთხოვე ჩამავალ მზეში გატრუნულ სოფელს და ქალაქისაკენ ვქენი პირი. სკოლას საბოლოოდ შევხედე, დიდხანს ვუცქერდი გარინდებული... იქვე, ახლოს, ცაცხვის ჩრდილში მჯდომმა მოხუცმა გამომხედა.

— გენანება, შვილო?!. კი, დაგენანება, რამდენი ხანია ასწავლიდი მანდ, ეგ სკოლა აცოცხლებდა სოფელს, მანდედან გამოსული უვილ-ხივილი, კი იკლო იმ ხმამ ბოლოს, მაგრამ მაინც ვცოცხლობდით. ახლა კაპიკია ჩვენი ფასი, აღარაა, მოკვდა სოფელი. მიდიხარ შენც, შენისთანა ქალის საქმე, სილამაზე და სიკეთე რომ მოაკლდება სოფელს, რალა ფასი აქვს ამ ყოფას?..

— გამოსწორდება, ბაბუ, საქმე და დავბრუნდება იმ ყველა ერთად...

— ეჰ, რა ვიცი, ვითომ?.. ღმერთმა გისმინოს, შვილო!..

ამ მთიანი სოფლის პატარა სკოლის მასწავლებელი და ხელმძღვანელი ვიყავი დიდხანს, მერე ბავშვები შემოგვაკლდნენ და დაიხურა. ახლა დედაქალაქში მივდივარ, იქ უნდა გავაგრძელო ჩემი საქმიანობა...

მიკროავტობუსიც მოვიდა, მე ნაჩქარევად ვემშვიდობები მოხუცს და ავდივარ...

\*\*\*

ეს სასწავლო წელი ჩემი ახალი ცხოვრების დასაწყისადაც მივიჩნე. თუმცა პირად ცხოვრებაში ბევრი არაფერი შეცვლილა. ქალაქში გადმოსვლით ახალი ნაცნობ-მეგობრები შევიძინე და ცოტა გახალისდა ჩემი არსებობა. ადამიანებთან ურთიერთობაში ჩართული საკუთარ დაულაგებელ ყოფას ვივინყებ და საერთო ფერხულში ჩვეულებრივ მივიწევ წინ. მართალია, ჩემი თითქოს უფერული ცხოვრება მუდამ ჩემთანაა, მაგრამ სხვების სახეები მილამაზებენ მას. ახლაც სიამით ვუსმენ პატარა მირიანის მშვენივრად ნაკითხულ ლექსს და გული მისი სიყვარულით მევსება, მინდა მივიდე მოვეფერო, ჭკვიან შუბლზე ვაკოცო... ესენი მილამაზებენ ცხოვრებას, ზოგჯერ საოცრად მენატრებიან, ზოგიერთი მათგანი ნამდვილ მეგობრად მიმაჩნია და მათი იმედით ვცოცხლობ... მინდა ყველაფერი, რაც ვიცი, მათთვის გამოვიყენო, მათ გადავცე...

დღევანდელ სასკოლო პროგრამებს ძალიან ბევრი აკლია იმისთვის, რომ ღირსეული ადამიანები აღზარდოს. იქ რალაც ბუნდოვნად ჩანს სამშობლოც, ადამიანის დანიშნულებაც და მთელი სამყაროც. ახლა იმდენი მაცდუნებელი რამაა ირგვლივ, ახალგაზრდა თუ კარგ გზაზე არ დააყენე, შეიძლება, უფსკრულში

გადაიჩეხოს. ვერ გავიგე, ვისი ინტერესია ჩადებულის ამ ამკარად ნაკლულ და ზოგჯერ უსუსურ პროგრამებში, ვინ ადგენს ან ვინ უკვეთავს მას. ბევრი მიფიქრია დღევანდელ საგანმანათლებლო სისტემაზე, მაგრამ რას შევცვლი? მხოლოდ იმას ვცდილობ, ჩემს მოსწავლეებს შევავარო ნამდვილი ღირებულებები — თავისუფლებისა და მოვალეობის მართებული განცდა, სამყაროს ღვთიურობის აღქმა, სამშობლო, მისი წარსული, მისი კულტურა, ლიტერატურა, ადამიანებთან ურთიერთობა და მათი შენევნით, სწორი ორიენტაცია მივცე...

ნელა ვეჩვევი ქალაქს. აქ თითქმის მარტო ვარ. გაკვეთილების შემდეგ მონყენილი მივდივარ შინისკენ და დაძინებამდე ვკითხულობ ან საოჯახო საქმეებით ვარ გართული. მცირე ხნით სოციალურ ქსელშიც ვიძირები, იქაცაა ჩემი ცხოვრების რალაც ნაწილი, მეგობრები, ახლობლები და მათთან საუბარი...

\*\*\*

ჩემი კლასი ძალიან შემეყვარდა. ყველა მოსწავლესთან სათანადო ურთიერთობა დავამყარე. ყველას შესაძლებლობები, ოჯახური პირობები და პრობლემები გავითავისე. ვცდილობ, ყველაფერი გავაკეთო მათთვის. ბევრ მოსწავლეს სხვადასხვა სახის დახმარება სჭირდება ჩემგან. ყველაზე მეტად ნიას ბედი მაფიქრებდა. იმ დღეს მონყენილი, ძალიან სევდიანი ჩანდა. დედა უცხოეთში ჰყავს, მამა გაცილებულია ოჯახს, ისიც საზღვარგარეთაა ახალი ცოლით და, როგორც ჩანს, ეს შვილი აღარ აღელვებს. ნია მარტოხელა დიდდასთან იზრდება. არაფერი აკლია, ყოველთვის კარგად ჩაცმული და მონესრიგებული მოდის სკოლაში, მაგრამ მუდამ სევდას ვხედავ მის თვალებში. ამას წინათ ისე მწუხარე იყო, თითქოს ეტირებოდა. გაკვეთილების შემდეგ ჩემთან დავისვი და ყველაფერი გამოვკითხე: ბებია ავად გახდომოდა და საავადმყოფოში დაენვინათ, ბავშვი მარტო იყო შინ, მეზობელს ჩაბარებული. მაშინვე გადავწყვიტე, ჩემთან წამომეყვანა. ჯერ საავადმყოფოში წავედით, მისი ბებია ვინახულებთ, რომელსაც საკმაო ხანი დასჭირდებოდა ოპერაციის შემდგომ იქ დარჩენა. დავაიმედე, ჯანმრთელობა ვუსურვე, კიდევ ნახვას დავპირდი და ვუთხარი, რომ ბავშვს ჩემთან წამოვიყვანდი. გაეხარდა სათნო ქალბატონს, სხვა ახლობლებმაც შემომთავაზეს, მაგრამ აჯობებს, თქვენთან იყოს, სკოლაშიც ერთად ივლითო...

სასურველი სტუმარი მყავს. ახლა დავანვინე ნია, გვერდით ჩამოვუჯექი, ვესაუბრე თბი-





ლად, მოვეფერე, ვაკოცე სიყვარულით და მშვიდი ძილი ვუსურვე. ღელავს, თითქოს ერიდება თავისი მდგომარეობის გამო, მაგრამ სიყვარულით და მაღლიერებით მიყურებს. ამას აშკარად ვგრძნობ და საოცრად მიხარია. მე მეგობრობა შევთავაზე, როგორც ჩემს ტოლს, ისე ვესაუბრები. ამან მეტად დაგვაახლოვა. შევატყვე, გვიან ჩაეძინა, მე ვზივარ, თითქოს წიგნს ჩავკირკიტებ, მაგრამ სინამდვილეში მასზე ვფიქრობ. საოცრად მიხარია, რომ ჩემთანაა, რომ ვზრუნავ მასზე... მინდა მივიდე, წყნარად ვაკოცო და მოვეფერო ან გვერდით მივუნვე და გულში ჩავიკრა... დროა, მეც დავიძინო, რომ ადრე ავდგე, ბავშვიც მოვამზადო ჩემთან ერთად და მერე ხელისხელჩაკიდებული ერთად წავიდე სკოლაში...

\* \* \*

მეორე კვირაა, ნია ჩემთანაა. მისი ბებია გამონერეს საავადმყოფოდან, მაგრამ ჯერ სუსტადაა და შევთავაზე, ბავშვი ცოტა ხანს ისევ მე მყოლოდა. საოცრად შევეჩვიეთ ერთმანეთს, დავმეგობრდით, ტოლებივით ვართ მეზუთეკლასელი გოგონა და ორმოციოდე წლის მისი მასწავლებელი. ნია უნიჭიერესია, გაკვეთილებს მალე ვამზადებთ და მერე ათასგვარ საქმესა თუ თამაშს ვიგონებთ...

ახლა სკოლიდან ვბრუნდებით, მიკროავტობუსიდან ჩამოვდივართ, ბავშვს ხელს ვკიდებ და საუბრით მივდივართ ბაღისკენ, რომელიც უნდა გადავჭრათ და მოკლე გზით მივიდეთ შინ. ნია რამდენჯერმე შებრუნდება და თითქოს ჩემგან მალულად უკან ვილატას უყურებს. მე არ ვიმჩნევ, მხოლოდ მინდა, არაფერი გამომეპაროს. ცოტა ხანში იგი მაჩერებს და დაფიქრებული მეუბნება:

— მაკა, მასწ, გაჩერებაზე ვილატ ვკიყურებდა დაჟინებით...

— ვინ იყო, ნია, შენ იცანი?

— არა, მაკა მასწ, მე როგორ ვიცნობდი?

— იქნებ თქვენი ახლობელი იყო ან იქნებ მოგეჩვენა, ნია?

— არა, მაკა მასწ, ჩვენ ეგეთი ახლობელი არა გვყავს, არც მომჩვენებია. გაჩერებაზე მანქანაში იჯდა, ჩვენს დანახვაზე ფანჯარა ჩამოსწია და თვალი გამოგვაყოლა, მეორედ რომ მივიხედე, მზის სათვალე მოეხსნა და ხელში ეჭირა, თითქოს გაკვირვებული ჩანდა...

— ამდენის დანახვა როდის მოასწარი, ნია, თან რატომ დაინტერესდი ასე?

— მე კი არა, ის დაინტერესდა ჩვენი, უფრო სწორად თქვენი, ქალბატონო მაკა, — ღიმილით მაჯავრებს ჩემი პატარა მეგობარი, — იქნებ შენც მოკარი თვალი, მაგრამ არ ამხელ, ისე კარგი ვინმე ჩანდა, — იცინის ნია.

— აზრზე არა ვარ, ვინ არის, ნია, ტყუილად მტუქსავ, შეიძლება არავინაც არ გვიყურებდა და დამცინი? — თითქოს ვიბუტები მე.

ნია მეხუტება და ცრემლმორეული მეუბნება:

— რას ამბობ, მაკა, მე დაგცინი შენ?..

— გეხუმრე, ნია, — მისკენ ვიხრები და ვეფერები.

მერე ცრემლიანი სიცილით ვეხვევით ერთმანეთს და ახალგაზრდა კაცის ყურადღებას ვიქცევთ.

— რა იყო, გოგოებო, ხომ არაფრით შემიძლია დაგეხმაროთ?..

ჩვენ უცებ ვწყნარდებით, მე ვსწორდები, კაბას ვისწორებ და კაცს თავდახრილი ვპასუხობ:

— არა, არა, ბატონო, მაღლობა, ყურადღები-

სთვის! — წავედით, ნია, — ბავშვს ხელს ვკიდებ და მიმყავს. მამაკაცი ერთხანს ღიმილით გვიყურებს, მერე რალაცას ჩაილაპარაკებს და გზას განაგრძობს...

— ეს ვინლა იყო? — ამბობს ნია.

— მე რა ვიცი, იქნებ ის იყო, გაჩერებაზე რომ გვიყურებდა?..

— არა, ის სხვა იყო, არავინ გტოვებთ უყურადღებოდ, ქალბატონო მაკა, — ისევ ეშმაკურად იღიმება ნია.

— ისევ დამცინი, ნია? — თითქოს ვბრაზდები მე.

— არ დაგცინი, მაკა მასწ, თქვენ ლამაზი ხართ და ყველა გამჩნევთ, — ამბობს ის.

— მაღლობა, ჩემო ანგელოზო, — ვიცინი, ვკოცნი და მივდივართ.

— ჰო, ნეტავ, ვინ გვიყურებდა გაჩერებაზე? — ვინტერესდება მერე.

— ნახავ და გაიგებ, — მშვიდად მპასუხობს ნია.

— სად ვნახავ? — ვკითხულობ.

— სად ნახავ და ფოტოზე, რამდენიმე კადრი ჩუმად გადავიღე მობილურით. იმედია, ერთში მაინც მოხვდა...

— ამას უყურე, რა მოხერხებული გოგო ხარ, — ვიღიმები მე, — კარგი, მივიდეთ შინ, ვისადილოთ და მერე მაჩვენე.

— თქვენ ადგილზე სადილამდე ვნახავდი, მაკა მასწ, — დაფიქრებით ამბობს ნია.

— რა მეჩქარება?..

— რა ვიცი, ისეთი ინტერესით გიცქერდა, თქვენც უნდა გამოიჩინოთ ყურადღება.

— მაჩვენე ახლავე! — ვჩქარობ მე.

— ა, ბატონო, — ნია ახლადგადაღებულ ფოტოებს ხსნის ტელეფონში, ორში არავინა ჩანს, მხოლოდ გამვლელი და გაჩერებაზე მდგარი ხეებია, მესამე ფოტოზე დათო ჩნდება — ისეთი შეცბუნებული სახით იყურება ჩვენსკენ, რომ უნებურად მეციცინება...

— იცანი ხომ? — იღიმება ნიაც...

\* \* \*

ერთ საღამოს, ნია რომ ბებიასთან დარჩა, მე და დათო ვხვდებით ერთმანეთს.

— როგორა ხარ, როგორ შეენყვე ახალ ადგილს? — მეკითხება ის ღიმილით.

— ჩვეულებრივ, შევეჩვიე უკვე, განსაკუთრებული არაფერია, ხომ იცი როგორიცაა დღევანდელი მასწავლებლის ცხოვრება — ბავშვებს უნდა გადაჰყვე, ზედმეტი არაფერი უთხრა, მშობლებს უნდა ეფერო, — უაზრო ტრენინგებზე და გადამზადებებზე უნდა იარო და დაღლილ-დაქანცული დაბრუნდე შინ — ამასთან არც ანაზღაურებაა შესაბამისი, არც კარგი მოპყრობა, არც დაფასება...

— ვიცი, თანაც მარტო მასწავლებლები მუშაობთ ამ ქვეყანაში, სახელმწიფო დანესებულებებში ოთხი თქვენოდენი ხელფასი აქვთ და ძირითადად არაფერს აკეთებენ, პროფესიონალებზე აღარ მაქვს საუბარი, მათ თავის ადგილზე იშვიათად ნახავ...

— სრულყოფილი პროფესიონალები არც ჩვენთანაა ყველა, თანაც კარგის და ცუდის გარჩევა ჭირს, და უფრო მეტიც, პროფესიონალები თავდადებით მუშაობენ, თუმცა ყოველთვის სათანადო დაფასებას არ იღებენ...

— გასაგებია, როგორ გამოსწორდება საქმე, შენ ისიც გეცოდინება...

— ნუ დამცინი...

— არ დაგცინი, ვიცი ნიჭიერი და გონებამახვილი ქალი ხარ...



— გამოსავალი სახელმწიფო იდეოლოგიის არსებობაა, რომელიც ქვეყანას არ გააჩნია, ამ იდეოლოგიაზე უნდა აიგოს სახელმწიფოს ყველა რგოლი და მათ შორის განათლების სისტემაც. მან კი ისეთი პროგრამები უნდა შექმნას, რაც მოზარდს სრულყოფილი განვითარების გზაზე დააყენებს. სწორედ ღირებულებები და არა გარედან თავსმოხვეული თუ მათ თარგზე მოჭრილი დისციპლინები უნდა მიესადაგოს ჩვენს მომავალს...

— გასაგებია, ჩემო კარგო, საინტერესო და მართებული შეხედულებები გაქვს მაგ პრობლემურ საკითხზე, მეც მაგ აზრისა ვარ...

— დიდი მადლობა, თუმცა არ მეგონა განათლების სისტემის მომავლის გასაგებად თუ იყავი ჩამოსული ჩემთან...

— ვაფასებ შენს იუმორს, ნუ დამცინი, მაგისტრის არ ჩამოვსულვარ, უფრო ჩვენი მომავალი და ჩვენი ურთიერთობის დალაგება მაინტერესებს...

— შორიდან რატომ გვიყურებდი მე და ნიას?

— ნუ გეცინება, მამ, რა მექნა, ჩამოვდივარ ქალაქში, მინდა, ჩემს რჩეულს შევხვდე, რომელიც სამი თვე შემომწყრალა, არავითარი კონტაქტი არა გვაქვს და უცებ ვხედავ, რომ მას ბავშვი მიჰყავს თავისი სახლისაკენ...

— მერე რა იფიქრე?..

— ერთხანს გულში გამკრა, ხომ არ გადუსვა ხაზი ჩვენს ყოფილ ურთიერთობას და ვინმე ცოლგანაშვებ, შვილიან კაცს ხომ არ მითხოვდა-მეთქი...

— მერე ვერ მკითხე, შორიდან რას მითვალთვალე?

— როგორი საკითხავია, მაკა?

— ვითომ არ იცი ჩემი ამბავი, მილიონი წელი მჭირდება გადანყვეტილების მისაღებად და ახლა სამ თვეში მოვახერხებდი, დათო?

— ხომ შეიძლება, ისეთი ვინმე გენახა, რომ დაფიქრებაც არ დაგჭირვებოდა?

— სამწუხაროდ, ვერავინ ვნახე ეგეთი, ხომ ხედავ? განა ვინმეს საძებრად ჩამოვედი? — სოფელში სკოლა დაიხურა, რაიონის ცენტრშიც ვერ ვნახე ადგილი და დედაქალაქში გადმოვედი, რადგან აქ ბინაც მქონდა და გულიც მომიწევდა...

— გული რატომღა მოგიწევდა, გეგონა სტუდენტობისდროინდელი დღეები დაგიბრუნდებოდა?..

— არა, ეგრე გულუბრყვილო არა ვარ, მეგონა უკეთესად ვიგრძნობდი აქ თავს, მაგრამ განსაკუთრებული არაფერია...

— და რატომ ეძებდი სხვებს, მაკა, ნუთუ ვერაფერი ღირებული ნახე ჩემში?

— იცი შენ, რომ არავისაც არ ვეძებ, ბევრ ღირებულს ვხედავ შენში, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ თითქოს ახლოსა ვართ ერთმანეთთან, შენ ბოლო ნაბიჯის გადადგმას ვერ ბედავ... ვგრძნობ, რომ რაღაც გეეჭვება, რაღაცას ჩხრეკ ჩემს წარსულში, თითქოს გეშინია, მე, უკვე ორმოციოდე წლის ქალს, რაიმე ისეთი თავგადასავალი არ მქონდეს, რაც მომავალში გამოჩნდება და ჩემს შერთვას განანებინებს... მინდა, ჩემი გჯეროდეს, სხვანაირად ვერ გავუგებთ ერთმანეთს...

— რომ არ მჯეროდეს, ამდენ ხანს არ მექნებოდა შენთან ურთიერთობა. ხომ იცი, რომ შენ მიყვარხარ?..

— ეგ ვიცი, მაგრამ ისიც ვიცი, რომ ხანდახან სხვებთანაც ცდილობ დაკავშირებას, ახალი ვინმეს მოძებნას, თუმცა გული არ მიგყვება მათკენ... ასე თუ არაა, რაღას უცდი, სრულწლოვანებას ველოდები?..

— აღარაფერს ველოდები, ამ სამმა თვემ უკვე გადამანყვეტინა, რომ შენს გარდა არავინ მინდა. შენ რომ აქ არ გამოქცეულიყავი და რაიონში ჩემს მოძებნილ სამსახურს დასჯერებოდი, ახლა უკვე ერთად ვიქნებოდით... ამის გამო დავემდურეთ ერთმანეთს, მაგრამ როგორც ხედავ, ვერ გავძელი უშენოდ... შენ?..

— მეც ვფიქრობდი შენზე, სხვაზე როგორ უნდა მეფიქრა?..

\* \* \*

სკოლაში კრებაა, ეს დღეები დირექტორი რაღაც ცივად მიყურებს. ჩანს, ჩემი კატეგორიული გამოსვლები არ მოსწონს. მისი რამდენიმე გადანყვეტილება უსამართლოდ მივიჩნიე და არ დავუჭირე მხარი. ახალმა მეგობრებმა მიჩიჩიეს, არ გინდა წინააღმდეგობის განევა, დაეთანხმე ყველაფერზეო. მე მჯერა მათი მეგობრობის, მაგრამ, ჩემი ბუნებიდან გამომდინარე, ვერ ავიტან დირექტორის თავნებობას. თუმცა აქ ალბათ ვერც სამართალს მიაღწევ, სანამ შენ ვინმეს რამეს აუხსნი, მანამდე დირექტორი იმოქმედებს სათავისოდ...

კლასს ვუყვარვარ, საუკეთესო აკადემიური მოსწრება აქვს, მშობლები ძალიან მადლიერები არიან. ჩემი მეთოდი სხვა მასწავლებლებმაც გადაიღეს და ნაყოფიერად იყენებენ. მხოლოდ დირექტორი და მასთან მოლაქუცე რამდენიმე თანამშრომელი მიყურებენ არასაიმედოდ. ჩემს პედაგოგიურ მიგნებაზე ნაშრომიც დავწერე და სამინისტროს წარვუდგინე, ვერავინ დავაინტერესე, იქ მხოლოდ უცხოურ გამოცდილებათა დანერგვაზე იღვნიან. ჩემი ნააზრევის გამოქვეყნება მხოლოდ მასწავლებელთა ყოველთვიურ ჟურნალში შევძელი. მერე ინტერნეტშიც გავრცელდა და მრავალი გამოხმაურება მოჰყვა... მინდა, კიდევ გავაღრმავო ამ მიმართულებით კვლევა, უმნიშვნელოვანესი ამოცანის გადაჭრა დავუსახე თავს — ინტერნეტის ხანაში ბავშვმა წიგნიც სათანადოდ გამოიყენოს... სხვადასხვა საშუალებებით ჩემს მოსწავლეებთან ამ მიზანს ნელ-ნელა ვაღწევ. სწორედ ესაა ჩემი ნაშრომის თემა და აღწერილი მაქვს მეთოდის ძირითადი მახასიათებლები. ამდენად, ჩემი საქმიანობა მხოლოდ ჩვეულებრივი სწავლებით არ სრულდება, მე ვეძებ, ვიკვლე, თან პრაქტიკაში ვიყენებ და უმეტეს შემთხვევაში კარგ შედეგს ვაღწევ... თუმცა, თუ ეს მეთოდად ცნეს, შეიძლება, საერთო ხაზიდან გადახვევად ჩამითვალონ და სკოლიდანაც კი დამითხოვონ... დღეს ძნელია დიდი წამოწყების განსხეულება, შეიძლება სისტემის წინააღმდეგ მიმართულად შერაცხონ... მე გარკვეულ წრეებში ავტორიტეტი მოვიპოვე ჩემი მეთოდით, მიწვევენ დაინტერესებული მასწავლებლები და გვაქვს მეტის აღმოჩენის სურვილი, მაგრამ ეს ხელმძღვანელობის ზედა ფენებში არ მოსწონს უმეტესობას. ყველაზე მეტად ჩვენი სკოლის დირექტორია ჩემი მიღწევა-აღმოჩენებით შემოფოთებული, ფიქრობს, რომ მის ადგილს მოვინდომებ და მშრალზე დარჩება. ამიტომ დაუფარავად მიშლის ხელს ყველაფერში. ვერ წარმოუდგენია, რომ მე სიახლის ძიება, ბავშვებთან ახლო ურთიერთობა და ჩემი დაკვირვებების ანალიზი უფრო მიზიდავს, ვიდრე დირექტორის მოვალეობების შესრულება...

\* \* \*

ამას წინათ ახალი პროექტი დავწერე სასკოლო ღონისძიებათა ნუსხაში შესატანად. მისი არსი მოკ-







ლედ ასეთია: სკოლაში სწავლის დროს, დაახლოებით მეოთხე-მეთორმეტე კლასებში ბავშვმა აუცილებლად უნდა ნახოს საქართველოს ყოველი კუთხე, გაეცნოს მის გეოგრაფიას, ისტორიულ-ეთნოგრაფიულ თავისებურებებს, დღევანდელობას. ყურადღება უნდა დაეთმოს საკუთარი ფესვების ძიებას, წინაპართა ცხოვრების წარმოდგენას, გვარის გენეალოგიის შედგენას... ასეთი აქტივობისთვის აუცილებელია შეიქმნას გარკვეული სახელმძღვანელო, ან შესაბამისი ლიტერატურა დამუშავდეს მასწავლებლების მეთვალყურეობით. ბავშვს სწავლას ვაწყებინებთ საკუთარი ფესვებიდან და მერე განვავრცობთ მთელ ქვეყანაზე... ვთვლი, რომ ასეთი ღონისძიების საერთო პროგრამაში მოქცევა და განხორციელება აუცილებელია, რადგან ბავშვები ისე ამთავრებენ სკოლას უმეტეს შემთხვევაში, საკუთარ მხარეს ან დედაქალაქს არ სცილდებიან...

ჰოდა, ახლაც ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი მშვენიერი მხარის, აჭარის გასაცნობად ვართ... კლასთან ერთად სამი მასწავლებელი და რამდენიმე მშობელი მახლავს. მთიან აჭარას ვეცნობით, აღფრთოვანებული ვართ აქაურობით... ერთგან ფეხით სიარულმა მოგვინია და მეხუთეკლასელი ბავშვები, განსაკუთრებით გოგონები, დაიღალნენ, ზოგიერთი მშობელიც ღამისაა დავარდეს. მე კი აუცილებლად მინდა უმაღლეს მთაზე მდებარე ციხის ნახვა. მსურველი ჩემს გარდა მხოლოდ ერთია, შუახნის მასპინძელი მამაკაცი ადგილობრივი რესურსცენტრიდან. ბავშვები სხვა მასწავლებლებს და მშობლებს ჩავაბარე — ახლომდებარე ჩანჩქერის და უძველესი ხიდის ნახვა შევთავაზე, მე კი მასპინძელთან ერთად ტყიან აღმართს დავადექი, რომელიც სამ კილომეტრზე შორსაა და წინ და უკან სამიოდე საათი გვინდა გზაში. დარჩენილებმა ღიმილით, გაკვირვებითა და მოშურნე თვალთ გაგვაცილეს, მაგრამ ამისთვის არ მიმიქცევია ყურადღება. სულაც არ მერიდება, რომ თითქმის უცხო მამაკაცთან ვმოგზაურობ. ისეთი კეთილი ღიმილით მიყურებს და ისე გაეხარდა ჩემი სურვილი, რომ დარწმუნებული ვარ, ზედმეტს არაფერს მაკადრებს. ხოლო თუ შევუყვარდები, მისმა ცოლმა იდარდოს და ჩემმა თავმოუბმელმა რჩეულმა... ვხუმრობ, რა თქმა უნდა... სანვიმრები, მცირე საგზალი, წყალი ავიღეთ და გზას დავადექით. დათომ (აქაც დათო! — რა ვქნა?) ყველა ტვირთი თვითონ გადაიდო მხარზე, სასიამოვნო საუბრით მივიღვართ, მან დანვრილებით იცის ციხის და იქ არსებული ეკლესიის ისტორია, თან კარგი მთხრობელია. თუმცა უფრო მეტად მე მალაპარაკებს, ჩემს მეთოდებზე ვუყვები და ჩემს ცხოვრებასაც წარმოვადგენ ძალაუწებურად. ისეთი ყურადღებით მექცევა, ღამისაა ხელისგულზე დამისვას და ისე ამიყვანოს მთაზე. ერთხანს ანკარა წყაროსთან


ვისვენებთ, ბოთლებს ვავსებთ და ისევ ვაგრძელებთ გზას. გვიხარია ამ უკაცრიელ ბილიკებზე სიარული, გვიხარია წინ არსებული სანახაობის ხილვა და თქვენ წარმოიდგინეთ, ერთმანეთთან ყოფნაც გვიხარია...

ციხეზე კარგა ხანს გავჩერდით, ჯერ ერთი შეხედვით დავათვალიერეთ, მერე სალოცავზე ავანთეთ სანთლები... მე გამოვედი, ციხის კიდეებს ვათვალიერებ, იქიდან გადაშლილ მთებსა თუ ხეობებს აღფრთოვანებული ვუყურებ და ფოტოებს ვიღებ... კარგა ხანს გავერთე ამ საქმით. უკან რომ მივბრუნდი, ერთი კაცის მაგიერ ორი დამხვდა, ჩემგან ზურგით სხედან ქარაფის ახლოს და საუბრობენ. ფეხის ხმაზე დგებიან, ჩემკენ ბრუნდებიან და... გაოცება მიპყრობს — ახლადგაცნობილი მამაკაცის გვერდით დათოა, ჩემი რჩეული, ჩემს შეცბუნებულ სახეს უყურებს და ლალად იღიმება. ძალიან გამეხარდა — აქაც მომიძებნა, ამ კაცთანაც არ დამტოვა მარტო, მართლა იმსახურებს სიყვარულს... მერე ვეხვევით ერთმანეთს, ბოლოს ჩრდილში ვსხდებით სამივენი და ვსადაილობთ...

\*\*\*

დრო მიდის, მესამე წელია ქალაქში ვარ. წელს ადრე მოვიდა გაზაფხული, თუმცა დედაქალაქში ვერც შეამჩნევ მას? ახლა განსაკუთრებით მენატრება ჩემი მთისპირები, სხვადასხვა ხეხილით თეთრად და ალისფრად აყვავებული ვენახ-საყანეები. გული აღარ მიდგება აქ, მინდა მთებისკენ გავიქცე და ჩემს ფუძე-კერას, მშობლებს, ძმებს და ძმისშვილებს მოვეფერო. მაგრამ სადაა მაგის დრო? შაბათ-კვირას დისერტაციაზე ვმუშაობ, რომ როგორმე დავაყენო საშველი მის დაცვას. ამ დროს გამომცემლობიდან მატყობინებენ, რომ ჩემი ნაშრომის ერთ-ერთ მეთოდურ სახელმძღვანელოდ დაბეჭდვას აპირებენ... საღამოს დათო მირეკავს რაიონიდან, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ მცირე ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამით ჩვენი სოფლიდან ქალაქში წასული რამდენიმე ოჯახის პროექტი დააფინანსა, ისინი ბავშვებიანად ბრუნდებიან უკან. ამასთანავე სხვა, აქ მცხოვრები მშობლებიც დააბრუნებენ სკოლის დახურვის გამო რაიონის ცენტრში ახლობლებთან გახიზნულ ბავშვებს, თუ შენც დაბრუნდები, სათავეში ჩაუდგები ამ საქმეს და პედაგოგებს შეკრებ, სკოლა ამ გაზაფხულსვე, სასწავლო წლის დასასრულამდე აღდგება — ეს კი სოფლის გადარჩენას რომ ნიშნავს, ჩემი თქმა არ გინდაო...

ესლა მაკლდა კიდევი?! ამ მონატრებისას რაღა გამაჩერებს ქალაქში, თუ იქ სოფლის გადარჩენის ამბავი წყდება?! გზაც იქით არა მაქვს? — ეს კაცი ვერც მე მეღევა და ვერც იმ მხარეს — ამასაც ხომ უნდა დანახვა და დაფასება?!





თინათინ სიყმაშვილი

სიყვარულის მოძერი ნიჭი...

თამარ!



ღმერთო მაღალო,  
 სათხოვნელად ენა თუ მიჭრის,  
 ამასა გთხოვ:  
 ამაცილე შური და იჭვი...  
 გამარიდე უამინდობას —  
 ამ ჭირს და იმ ჭირს...  
 მომეც სურნელი  
 ხნული მიწის,  
 ნაწვიმარ თივის,  
 თონეში ახლადგამომცხვარ პურის  
 და ღვინით სავსე სოველი ჭიჭლის...  
 სიტკბოება თაფლის,  
 ნათელი სანთლის,  
 სინმინდე ფიჭის...  
 თავგამეტება კველთელი მღვდლის  
 და ნოსტელი ბიჭის...  
 თორემ  
 ვიცი, უსიყვარულოდ  
 შენც გიჭირს  
 და  
 მე ხომ მიჭირს... ძალიან მიჭირს...  
 და, რაც ჩვენა გვჭირს...  
 და, რაც დღესა გვჭირს,  
 ყველაფერი ამიტომა გვჭირს,  
 ამიტომა გვჭირს...  
 ამიტომა გვჭირს...

\*\*\*

*ილია მართლის ხატთან  
ჩურჩულით თქმული.*

მამული,  
 ენა,  
 სარწმუნოება —  
 ეს ჩვენებური წმინდა სამება —  
 იყო და დღესაც არის:  
 ვისთვის — სული და გული,  
 ვისთვის — ჩენა და გამოჩენა,  
 ვისთვის — ოდენ სათნოება,  
 ვისთვის — წამება...  
 შენთვის, ილიავ,  
 ეს, — ყველაფერი, იყო: მთელი ცხოვრება, —  
 ვალი კაცური, ქართველკაცური,  
 მძიმე ჯვარი და...  
 წინამური...

მოვიარე, მოვილოცე საქართველო...  
 მოვეფერე ველ-მინდვრებს და მთა-ბარს...  
 გლეხიკაცი მოვიკითხე, გავამხნევე...  
 გავუმაგრე ყველა კარი  
 ციხე-კოშკს და ტაძარს...  
 ცოტნეს ფიცით შევეკარი...  
 კობტასთავზე მეც დავიდგამ კარავს...  
 მოწყენილი იყო დედოფალი...  
 მომეჩვენა თუ ნამდვილად  
 მომარიდა ცრემლით სავსე თვალი...  
 საყვედურით ჩურჩულებდა,  
 თითქოს, ვინმე მიყვებოდა ზღაპარს:  
 — ერთიანი საქართველო დაგიტოვეთ,  
 მოუფრთხილდით, მოუარეთ რად არ!..  
 ვინ ხელყოფს და ვინ არღვევსო  
 ქართლის სამან-ქამარს...  
 დავუჩოქე, შევევედრე გვირგვინოსანს,  
 ქართველის დედას, დედაღვთისას სადარს:  
 — შემასწარი ძველ დიდებას,  
 შემოსწყერი ჩემი ქვეყნის მზზარავს...  
 დამავინყე ეს დღეები ნავსიანი...  
 ამაცოლე სხვა ნიავს და სხვა ქარს...  
 გაიხსენე შამქორი და ბასიანი...  
 ქრისტეს ჯვარით და ღვთისმშობლის ხატით  
 ფეხშიშველი კვლავ წარუძედ ლაშქარს...  
 დავიბრუნოთ სამაჩაბლო,  
 აფხაზეთი დავიბრუნოთ,  
 საქართველო არ დავკარგოთ,  
 თამარ,  
 თამარ,  
 თამარ!!!

\*\*\*

*მიმწუხრისას გულით ნაფიქრალი*

ეს დღეც დაღამდა.  
 მიითვალა ჟამმა და დრომა.  
 აკიაფდა ცაზე მარჩბივი.  
 ყველა სულდგმულმა მიიძინა...  
 მისცემია ზოგი განცხრომას,  
 მშვიდად ფშვინავს...  
 გატრუნულა ზოგიც, — მაჩვივით,  
 მე — რა ღვთისწყრომა  
 დამემართა  
 მართლა და მართლა:  
 ვერ ვისვენებ, ვბორგავ,  
 ამიტანა უცბად ფიქრებმა  
 იმად, რომა





დღენი...  
 დღენი რაა,  
 წლები...  
 თვალდახელშეუა წლები მიქრება...  
 სხვა ვინ დაინდო საწუთრომა,  
 ვიცი, მიმუხთლებს ადრე თუ, გვიან...  
 მე იმას ვჩივი...  
 რა მოვასწარ, რა გავაკეთე,  
 საჩვენოში — ჩემი რას ჰქვია...  
 რას ციმციმებს... მითვალთვალებს...  
 რაებს მითვლის და მანიშნებს რაზე  
 არჩივი-მარჩივი...  
 ვის რა შევმატე, ჩემი მოსვლით, ამ ქვეყანაზე  
 ან —  
 ამ ქვეყნისგან, მე რა მივიღე? —  
 ჩემი წელი, ჩემი არჩივი...

\* \* \*

თავდება გზაშარა, თავდება ბილიკი —  
 სავალი, უვალი, ნავალი...  
 იქ — ხევი, აქ — ბარი,  
 მცირე რამ — აღმართი...  
 შორეთში მთა მოჩანს მაღალი...  
 მთის იქით?  
 მთის იქით, ნეტავი, რა არი? —  
 რა არი, — თავისი ჰოთი და არა-თი?  
 რაც აღმართს მოჰყვება:  
 დაღმართი — ჩაღმართი...

\* \* \*

და... როგორც ძველად, ძალიან ძველად  
 და... როგორც წინათ, ძალიან წინათ,  
 წვიმს...  
 წვიმა არის ისეთი სველი,  
 როგორც... წვიმა.  
 წვიმს... არ ლალატობს ჩვეულებას —  
 მეფერება, მელამუნება და რალაცას მეჩურჩულება...  
 და... როგორც ძველად, ძალიან ძველად  
 და... როგორც წინათ, ძალიან წინათ,  
 მახარებს და ყურს ვუგდებ წვიმას  
 და, პეშვს წვიმის წვეთებით ვივსებ  
 და... მგონია, ვილაც მიხმობს...  
 ისევ... ისევ... ისევ...  
 ნეტავ, ვინ მეძახის, ვინ მოითხოვს შეველას,  
 მინდა, ზეცის მაღლი ვუწილალო ყველას...

## ვინ ვარ...

იქნებადა... ყვავილი ვარ გადაგვალული,  
 არა — ბალჩა-ბალის — მინდვრის  
 და... ბედი ჩემი, როგორც — ბილიკი,  
 შორს მივლის და სადღაც მიდის...

იქნებადა, ფოთოლი ვარ, ზამთრის პირას,  
 ხის ტოტს რომ შემორჩა კენტად...  
 ქარი ეხლება თავანყვეტილი...  
 ქარი რალას მერჩის, ნეტავ?!.

იქნებადა, ზღვაში უნიჩხო ნავი ვარ,  
 ტალღა გაღმა გასვლას არ მაცლის...  
 მაგრამ... სადაც ვარ და როგორაც ვარ,  
 მე, მე ვარ და... ჩემს მეობას  
 არც არაფერზე არ გავცვლი!

იქნებადა, ვარსკვლავი ვარ შორეული,  
 ცისკრისას რომ ბედავს ციმციმს...  
 ყვავილი ვარ, ფოთოლი ვარ,  
 ვინ ვარ, რა ვარ, როგორი ვარ,  
 სხვამ თუ არა, მე ხომ ვიცი!

## მირზა გელოვანს

შენ განშორების ტკივილს ვერ ნაშლი,  
 ვინ მომამოროს გულიდან ლოდი...  
 როგორც გაზაფხულს ელიან მთაში,  
 ისე გელოდი...

შენ ჩემმა თმებმა ვერ დაგაბრუნეს,  
 ვერ დაგინანი თმებით ხუნდები,  
 ამ გულს რა ვუყო, ვერ გაპატია —  
 დანაშაული არდაბრუნების...

მე ბედს ველოდი: რა დავაშავე,  
 ამქვეყნად რატომ მოვედი გვიან?..  
 ნეტავ, ვის უძღვევს საჩემო ლექსი,  
 ვისთან უსმენდი ვარსკვლავთა შრიალს?..

ნეტავ, ვინ იყო შენი რჩეული,  
 რამდენი ქალი აეჭვიანე!  
 ყველა შავგვრემანს და ქერათმიანს  
 ეს ადარდებს და ასევედიანებს:  
 რა დაგრჩენია უცხო მინაში,  
 დაბრუნდებოდე, ბიჭო, თიანეთს...

მითხარ, რა ფიქრებს ანდობდი ნიავს,  
 როგორ უძლებდი ტკივილს ბოლომდი...  
 ცხელ გულში როგორ გაცივდა ტყვია...  
 მე გეტყვი, გეტყვი, როგორ გელოდი!

შენ დაბრუნებით ტკივილებს ნაშლი...  
 დაბრუნდი, თორემ იქნება გვიან.  
 როგორც გაზაფხულს ელიან მთაში,  
 ისე მოგელი...  
 ამ ლოდინს შენი სახელი ჰქვია...

\* \* \*

მეც ფოთოლი ვარ...  
 მეც მოვწყდები ხეს ცხოვრებისას...  
 საით წამიღებ ქარო, ტიალო?  
 ვიდრე ცოცხალვარ,  
 მინდა მიყვარდე,  
 მინდა გიყვარდე,  
 ამ მზის და ცის ქვეშ  
 მე და შენ ერთად ვიხეტილოთ...

\* \* \*

მილიმიან ალუბლები...  
 მიცინიან ალუჩები...  
 მილიმიან,  
 მიცინიან  
 რა ცელქები, რა ურჩები...  
 სიძულვილს კი გადავურჩი,  
 სიყვარულს თუ გადავურჩები?..



\*\*\*

დგანან და იწვიან უსიტყვოდ,  
სიყვარულს ვედარ მაღავენ შინდები...  
მე — როგორ დავმალო? რომ ასე მინდისხარ,  
რომ ასე მწყურისხარ, რომ ასე მშივდები...

### პოეტი

მაინც... რაო, პოეტმა,  
პოეტს, მაინც რა სურს?  
— ბევრი არაფერი:  
ღვინო, ან — არაყი ერთი სურა,  
პირმოტეხილი ხელადა და თიხის ჯამი, — სულაც...  
ქალაღდი და კალამი...  
სალამი და ქალამი...  
მცირე რამ ხემსი,  
რომ მან, როგორც — წესი,  
დანეროს ლექსი!  
მოსმენა და გაგონება!  
ლექსის მოწონება, თუნდაც — დანუნება...  
ოლონდ... მოჰყვეს შეძახილი...  
როგორი და რანაირი?  
იყოს — შემძახებლის ნება!  
დედამინა — ქალამნად, ქუდად — თავანი ცის...  
და კიდევ: რალაც, სხვა,  
რაც, ამქვეყნად, არავინ სხვამ,  
მარტო თვითონ იცის!..  
გზა და სივრცე —  
სავალი და საფრენი, —  
პოეტის საფერი...  
მეტი არაფერი! მეტი არაფერი!..  
ჰო... ცოტა — სითბო, სინათლე, ცია-ცია...  
პატარა ოვაცია,  
ვიდრე დროა და არა გვიანია...  
პოეტი, ქალია თუ კაცია,  
ადამიანია!  
კიდევ: მოფერება...  
კიდევ: სი... ყვა... რუ... ლი...  
პოეტსაც ხომ მკერდში, ქვა კი არა,  
უღევს — გული!!!

### დუმილი...

ზოგჯერ მგონია,  
რომ... მე... ვარ... მარტო...  
მარტო ვარ, — შუა — მიწისა და ცის  
და მოზიარეს ჩემი სულის ტკივილებსას  
ვუხმობ და ვნატრობ,  
მაგრამ... ამაოდ, —  
ტკივილი ჩემი არავინ იცის,  
ძახილი ჩემი არავის ესმის...  
ირგვლივ დუმილი...  
დუმილი ირგვლივ  
და როგორც წესი,  
ოდენ დუმილი, დუმილი არ დუმს,  
დუმილი ყვირის...  
ყვირის დუმილი და გულგრილობის  
კენჭებსა და ქვებს  
და... ლოდებს მესვრის...  
ყვირის დუმილი...  
ყვირის დუმილი...  
და მე ყვირილი დუმილის მესმის...

\*\*\*

გაიფატრა  
ღრუბლის ფატა,  
ფანტელებად დაიფანტა...  
ტაა-ტაა... ატა — ატა...  
ღამემ იკლო,  
ღღემ იმატა...

\*\*\*

მე განა წვიმამ დამანვიმა,  
თვალი ცრემლმა დამინამა და დამიბინდა.  
შენთან დამიღამდეს და შენთან გამითენდეს,  
მეტი ქვეყანაზე არა მინდა...

ისე მენატრები, შენთან არასოდეს:  
არ მწყუროდეს და არ მშიოდეს...  
შენ, ჩემი სიყვარული შეგაკრთობს,  
უსიყვარულობის გეშინოდეს...

### რას მოვინატრებ?

დავიყრუებ ყურს  
დავიბრმავებ თვალს,  
ამოვიგლეჯ გულს,  
გავიგიჟებ თავს...  
მოვინატრებ —  
რას, რას, რას:  
ჩემი ქვეყნის ცას,  
ხოდაბუნს და ზვარს...  
მოვინყურებ —  
რას, რას, რას:  
ენგურსა და მტკვარს,  
ტინის წყალსა და ზღვას...  
მოვუფერებ —  
რას, რას, რას:  
ტყე-ჭალას და მთას,  
ბალახსა და ქვას,  
არ ვინდომებ,  
არ ვინდომებ,  
არ ვინდომებ —  
სხვა სამშობლოს,  
დედაენას  
და სალოცავს სხვას...  
ვინც რა უნდა თქვას,  
ვინც რა უნდა ქნას,  
წისქვილმა კი — ფქვას,  
ფქვას...  
ფქვას...  
ფქვას...





თაფლო ზარიძე



არ მეშინია

მზეს მოეკიდა ღვთიური ალი,  
იისფერ სახით მი-მოდის ქუჩა,  
ძონისფერია ჩემი გრიგალი,  
ეს შემოდგომა რომ გამიყურა...

ცისფერ წვიმებად ცაზე კვივან  
ჩემს ტანს დაყრილი ცივი ლოდები,  
მე აღარაფრის არ მეშინია,  
მე აღარაფერს არ ველოდები...

სადღაც, გამხმარი შრიალებს სუნი  
ნაგვირილარის, ნაენძელარის,  
ყველა ვარსკვლავი შენისლულია  
და ცისარტყელის შიში ეღვარებს...

ათრთოლებული ვსკდები გვიმრებად,  
მინიდან ცამდე და მის იქითაც,  
ნაძვებს ედებათ ორთქლი გრიმივით  
და ამტვრევს ქარი ჰაერის ჭიქას...

მსურს, პოეზიის ვიგრძნო ფერება,  
ჩემს ნიაღვივე ლექსად ვწვიმდები,  
და დახავსებულ ქანდაკებებად,  
ციდან მოდიან ღრუბლის ჩრდილები...

ამ ერთხელაჯ...

ჩემი სხეული თოვლია – დნება  
და იტოტება ნაკადულებად...  
რა ადვილია ჩემი შეგრძნება,  
მერე წასვლა და არდაბრუნება...

რა სიმწარეა გერქვას ლამაზი,  
თანაც უსივრცო და უთარილო,  
და უსინათლო ბელურასავით  
თავს საზარელი გაუადვილო...

რა ადვილია ჩემი სიმუქე,  
რა ფერადია საირგვლივეთი...  
ისევ ობოლი ცრემლი ვიჩუქე  
და მარტოობის კართან მივედი,

მაინც საესე ვარ ფურისულებით,  
ჩემი ნასუნთქი სკდება მინიდან...  
მზე მომეფერა ხელის გულზეზე,  
და სიზმარივით გადაიფრინა

ჩემი სიყრმის თუ დიდობის სხივმა,  
ჩემი ყოფნის თუ არყოფნის სიომ...  
ო როგორ მინდა, ზრდასრულად ვიშვა  
და ჩემს გაფრენილ ბავშვობას ვდიო,

როგორც მინდორში ცისფერ პეპელას  
არამინიერს მთელი არსებით...  
მე ნიავევით უნდა მემღერა,  
როცა სატკივარს ლექსებად ვწერდი...

დღესაც არ ვიცი რა მანძილია  
გადაფრენამდე გადაფრენიდან...  
ყველა სიკვდილი გადავლილია  
და ამ ერთხელაც გადავრჩები და...

ჩემი სხეული თოვლია – დნება...  
და იტოტება ნაკადულებად...  
რა ადვილია ჩემი შეგრძნება  
მერე წასვლა და არდაბრუნება...

არავინ იყის

გულზე დამზრალი ჯვრები მანყვია,  
ვგავარ მწვერვალებს ქარიშხლით დაღრღნილს.  
ჩემი სიცივით სივრცე საესეა  
და ულექსობა სიცოცხლეს მაცლის...

მე მახსოვს, სითბო დიდი ხნის წინათ,  
(დედის მუცელშიც, თუმცა მციოდა)  
მიყვარდა, როცა თმას მივარცხნიდა  
მზის სავარცხელი საიქიოდან...

არ ვარ ამ ქვეყნის და მცივა ყველგან,  
ენატრობ, მზიანი ღრუბლის ერდოებს...  
რისთვის მწირავდნენ, არ იცის ღმერთმაც,  
ვინც მყვარებია, ვისაც ველოდე...

არ მინდა – მერქვას ადამიანი,  
ვიყო ისეთი, როგორიც ყველა,  
თუნდაც პოეტი, თუნდაც მხატვარი,  
ნებისმიერი, სიცრუის ტყვეა...

გულზე დამზრალი ჯვრები მანყვია,  
ყოვლისმომცველი სიმწრისგან ვიწვი...  
მოვლენ თვალთმაქცი, სულს გაგაცლიან  
და მიზეზი კი არავინ იცის...



## იების წიდან

მიგატოვებენ ფიქრებიც მალე,  
რა დაგაძინებს შეშლილს უფიქროდ  
შენს ზმანებაში ჩამდგარა გვალვა,  
და ყვავილები შეგრჩნენ ფითრებად...

რაც განმერიდე, არ გავხარ შენს თავს  
შენ დაემსგავსე წვიმას – უზეცოდ,  
გამხმარ მიწაზე სიმშრალედ კრთები,  
და გრძნობისმაგვარ სითბოს ცეცებად.

და მაგ უსივრცო მხრებიდან ერთობ  
ჩამოგეცალა დაღლილი ღმერთი,  
რაც შენს წიაღში არ დამავანე.  
ახლაც შენეულ სიცხადეს ვერ თმობ...

ვის შეაკედლებ ცარიელ თვალებს  
ან ჩემი ზიზლით სავსე გონებას,  
არავინ იცის ვის მიმართვალე  
და ალბათ არც შენ გემახსოვრება...

ვერ შეძლებ ზეცას გაუხსნა ღილი,  
იგრძნო იების ნაზი ციება,  
ჩემს საგვირგვინოდ დაწნა ღილილო,  
და გამაშიშვლო გრადაციებად...

მე ველოდები მიწამ მზე მიშვას,  
ვნახო სიცხადე სიზმრისლოდება  
შენ მიაგავხარ უგზო ქარიშხალს,  
უაზრობას რომ დაემონება...

ჩემგან წასული ღიმილი გქვია,  
და სუსხის თიხით ნაზელი ბუდე.  
ცივად გიყურებ იების ციდან,  
მაგ სიცივიდან აღარ დაბრუნდე!

## თოვლისფერი გოგოსგან

დღეები გვამური  
მიჰგვანან მღვიმეში  
დარჩენილ ღამურებს,  
სიბნელით ნაყროვან,  
ფოთლებზე ჩამომტყნარ  
სისველეს ვაგროვებ,  
ტალახში აზვინულ

სიცივის სიმნიფემ  
მზე-ქარვა ჩაყლაპა,  
ახლა კი ქარაშოტს  
სიცივის ფარდები  
მთებისკენ გადააქვს,  
მეც იქით მივყვები,  
ურვისგან დაღლილი,  
თოვლისფერ სამიზნეს.  
გზა და გზა დავწყველი,  
ცრემლებად წამომსკდარ  
სისხლისფერ ყვავილებს,  
მთაში დავსახლდები,  
როგორც — უსხეულო,  
თოვლისფერ ნაძვებით.  
ფარჩებად დავაფენ  
წაბლისფერ თვალებს და  
დალალებს წაბლისფერს.  
სამოსი არა მაქვს  
რძესავით მაშრება  
სურნელი ქალური,  
ქარებმა მომწყვიტეს  
ყელზე რომ მეხვია  
ის სიასამური...  
მომტეხეს მკლავები,  
ვერავის ვიხუტებ,  
ტუჩები მახმება  
და ვიტან წამებით,  
ულამურ თვალებით  
უდღეურ ნათებას...  
აღარ მწამს არვისი  
ვერავინ ვერა გრძნობს  
რა განცდა მანამებს,  
ვერასდროს იპოვნით  
თოვლისფერ გოგოში  
წარსულის ნაწნავებს,  
მე არა უსასო,  
არამედ რეალურ  
ყოფითს შევეკირე  
ვერასგზით ვიპოვნე  
ამ სამშუღვარეთში  
ჩემფერი მენყვილე.  
სადღაც დაიკარგა  
ჩემი სილამაზე  
ჩემივე საგზური  
და ჭამა ჭაობმა  
ჩემი სიზიფე და  
ჩემი სიყვარული...



ელენე აბულაძე

ელენე აბულაძე დაიბადა 1981 წელს ქალაქ ახმეტაში. დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კახეთის ფილიალის ფილოლოგიური ფაკულტეტი. არის რამდენიმე წიგნის ავტორი, მისი ლექსები შესულია სხვადასხვა კრებულებში.

ელენე აბულაძე, ამჟამად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ცენტრის გაზეთ „ბახტრიონის“ თანამშრომელია.

46



პიზაჟი

ეს, — შემოდგომის წყნარი ღამეა, ფოთლები ცვივა, ანათებს, მთვარე, ისე ანათებს, სხეულში მცვივა. ხან, ფიფქებივით, მომავალ ფოთლებს მომაცრის ქარი, ცვივა და ცვივა ეს ფოთლები, ანათებს მთვარე. ერთი ფოთოლი შერჩენია გაძარცვულ ტოტებს, არა ვარდება, თავს იმაგრებს, უბერავს ოდეს, კიდევ უნდა, რომ გააგრძელოს სიცოცხლე, თითქოს, ამაზე მეტი საოცრება რა უნდა იყოს?!

\*\*\*


ნუთუ, ცხოვრება ასე რთულია?  
 ასე რთულია — იყო კეთილი?  
 ნუთუ, არაფრით არ შეიძლება,  
 რომ არვინ დაგჩქვს გულდანყვეტილი?

აღბათ, არა და რადგან ასეა,  
 აღბათ, ფიქრებიც ბედისწერაა,  
 ყველაზე კარგი როგორ ვიფიქრო,  
 როდესაც, ყველა, კარგი ვერაა?!  
 ასე რთულია, — ვიყო მართალი,  
 გულის ნადები რომ არ დავმალო?  
 ასე ყოფილა აღიარება, —  
 ქვეყნის ტრიალი ასე, უბადლო?!  
 ჰო, ასეა და მე ამდენ კითხვებს  
 ვერ მოვუძებნე პასუხი ზუსტი,  
 ძნელია, მართლა, გიყვარდეს ვინმე  
 და უფრო ძნელი, როცა ვერ უხსნი...  
 რომ... სიყვარულიც უნდა დამალო,  
 თან, სიძულვილზე მეტი მცდელობით,  
 ქვეყნის ტრიალი, — ასე უბადლო,  
 თუ, შეგახვედრებს რასაც ელოდი?!

ადამიანი და ზუნება

როგორ ედება ადამიანს ბუნების განცდა,  
 ხან კი, პირიქით, — ბუნებასაც ვუცვლით გუნებას,  
 ცხელი მზის სითბო, უჩვეულო დაღლით თუ გვთანგავს,  
 გრილი ნიავი საალერსოდ გვესაღბუნება.  
 დასჩემებია, უცნაური, სიჩუმე სივრცეს,  
 ფიქრობს სივრცეში ჩანივთული ვრცელი სიჩუმე,  
 ასე, ფიქრებში, შენიღბული ოცნება გიმზერს,  
 თუმცა, შევნიღბე ეს ოცნება, ვერ ჩავიჩუმე.  
 ბუნება მუდამ და თანდათან ჰქმნის რაღაც ახალს,  
 უფრო მეტად ნაზს, უფრო ღამაზს, — ახალ მშვენიერებას;  
 იგი მიაგავს ოცნებებით მცხოვრებ დიდ მხატვარს,  
 რომლის ქმნილებაც საუცხოოს ბადებს შეგრძნებას.  
 მსურს, რაიმე წრფელი, გულმხურვალე ნაშრომი გიძღვნა,  
 მერე, დრომ იცის, თუ ჩათვლიან მასაც შედეგად,  
 აღიარების სენი არ მჭირს, უბრალოდ, მინდა —  
 მე, მხოლოდ, მინდა ოცნებებში შენი შეხედვა.  
 და, თუკი, მაინც ეს ქმნილება როგორღაც გაგცემს,  
 სულ არ მანაღვლებს და საერთოდ, არ მეფიქრება,  
 ოღონდ, როგორმე, თუნდაც ცოტათი ოცნებებს გავცდე  
 და სინამდვილეს შევუერთო ჩემი ქმნილება.  
 მაშინ ვიტყვი, რომ, მართალია, ვიცხოვრე ასე,  
 ვიყავი, დიახ, ამ დონემდე შეყვარებული,  
 მაგრამ შევძელი და ბუნებას ვემსგავსე, მაინც,  
 სამარადისოდ სიჩუმეში შენივთებული...  
 ჩანივთებია, უცნაური, სიჩუმე სივრცეს,  
 ო, რა ვრცელია ეს სიჩუმე, რა დიდებული!..  
 თითქოს, ბუნება ამ უცნაურ სიჩუმეს ისმენს,  
 ახალ ქმნილების შესაქმნელად ჩაფიქრებული.





ანი რაინაული

მუზა არ არის უსასრულოა



კალამი ფურცლის უსასრულო ხაზებს გაუყვა და სიტყვები გახდნენ მათი ტყვეები... ფრაზები იბადებოდნენ აზრებში და აზრები ხორცს ისხამდნენ ფრაზებში. ჰარმონიამაც საკუთარი თავი აღმოაჩინა მათში. ცამ უწყოდა, რომ ეს გრძნობა არ იყო მინიერი, ამიტომაც ღრუბლებში ინვოდა მისი არსება, კალამი წერდა და წერდა...

გამოიყვანა მეტაფორები და ცისარტყელის ელფერი შესძინა ნაწერს, კალამი წამით შეჩერდა და ეს შეჩერება იყო თითქოს უსასრულოა. მან დანერა სიტყვები, ბევრი სიტყვა და მათ უკვე სიბრძნეში აღმოეჩინათ თავი.

ნაწერი გახდა ფილოსოფია და ჩაინთქა მილიონ კითხვაში, უპასუხოდ რომ დარჩენილიყვნენ... კალამი შეყოვნდა მოულოდნელობისგან, მეღნად დაიღვარა, ამიტომ, უზარმაზარი ლაქა დააჩნდა ფურცელს.

სიტყვებმა მოიწყინეს... არაფრის დიდებით აღარ ისურვეს ფურცელზე წყობად გაბნევა, არარაობაში ქაოსად დარჩნენ და დარდში დაიწყეს წრეების მოხაზვა უსასრულოდ...

ხელი, ასე უეცრად გაჩერებული, ნამდვილად იტირებდა, ცრემლი, თვალის მსგავსად, მასთანაც რომ ყოფილიყო ჩასახლებული. იმ დროს, ფურცელზე სუფევდა „ართქმა“, „არარაობა“, „დუმილი“, „ტკივილი“ და... სხვა, არაფერი.

შესაძლებელი რომ ყოფილიყო, კალამიდან სიტყვების მაგივრად საშინელი კივილი გადმოედინებოდა და დაფარავდა დაწერილსა და დაუნერელს, თქმულსა თუ, უთქმელს, ყველაფერი გახდებოდა კივილი, ისევე როგორც, ერთ დროს, სიტყვა გახდა ყველაფერი და მეც, ის სულელი მწერალი, ვისი კალამიც სიტყვებად იქცა

ფურცლის უსასრულო ხაზებზე, აღარ ვიქნებოდი ჰარმონიაში...

ველარც ფილოსოფიაში აღმოვაჩენდი საკუთარ თავს, უაზრო გრძნობებით გაბრუებული ვიდგებოდი სულ პატარა ფერდობზე და წარმოვიდგენდი, რომ უზარმაზარი ქარაფის კიდეზე, ცივი ნიავი მისერავდა სახეს. სწორედ, ეს იქნებოდა დიადი სტრიქონის, დიადი დასასრული, მაგრამ...

სასაცილოა და ვიცოდი, სიტყვების ავბედითი დუმილი არ იქნებოდა ხანგრძლივი. ამიტომაც, თამამად ვიდექი „ქარაფის“ კიდეზე, სადაც ქარი ჩემი უსასრულო თმის ტალღებში ეწვნებოდა და სწორედ ეს იყო, ალბათ, წარმოსახვის ყველაზე დიდი საჩუქარი, საჩუქართა შორის.


სიბრაზე დადუმდა, დაპატარავდა, თავი უადგილოდ იგრძნო ლამაზ წარმოსახვად ქარბუქში. ამიტომაც, მე ის გავუშვი. სევდა წავიდა. კალამი დამსუბუქდა, მასში ჩაიღვარა რაღაც, სინათლისეული და ისევე იგრძნო უსასრულო სიყვარული სიტყვების მიმართ.

ეს იყო წამი — სიმშვიდისა, რომელმაც ჩემამდეც ამოაღწია... საკუთარ თავს ვეკუთვნოდი. „ქარაფის“ კიდეზე, უკვე, თბილი ნიავი მეალერსებოდა, ამიტომაც „ართქმა“ იქცა — „სიტყვებად“, „არარაობა“ — „იმედად“, „ტკივილი“ კი, უკვე, გამხდარიყო „სიმშვიდე“.

უზარმაზარი მეღნის ლაქა გაქრა, თითქოს სიმშვიდემ და ჰარმონიამ მთელი ფურცელი დააპატიმრა, პრეტენზია არ გამომიტყვამს, შთაგონება კიდევ და კიდევ მენვია და კალამი, როგორც სანთელი — სიბნელეში, ისე იკვლევდა უსასრულო ცხოვრების გზას ფურცლის ხაზებში.







ბიორბი ბერიკანიშვილი



ცინცქალა

ყოველთვის ისე მსუბუქად დაიარება, გეგონებათ მართლა ისეთი მსუბუქია, რომ პატარა ნიავიც ჰაერში ააფრენსო. იქნებ, ამიტომაც ხმელი ფოთლებიც კი, მის ფეხქვეშ, არც ფაჩუნობენ. მზიან, წყნარ ამინდშიც კი მისი კაბის ბოლო ნიავივით ფრიალებს. თმები ყოველთვის მხრებს უკან აქვს ჩაშვებული, თორემ მისი სიხშირე თვალებს სულ დაუფარავდა. ნუშისებური მოყვანილობის, მუქი ფერის თვალები თითქოს სული ცინიან. არა, სხვა ბავშვების თვალებზე ბრწყინავენ, მაგრამ ცინცქალასი — განსაკუთრებით.

ცინცქალა მუდამ წელგამართული, თავანული დაიარება სკოლაში. პატარა ჩანთა, ზურგზე, ისე აქვს მორგებული, რომ წინიდან, მარტო ორი, წვრილი თასმა მოჩანს მხრებთან. კარგად თუ არ დააკვირდება ადამიანი, თასმებს ვერ შეამჩნევს და უნებურად გულში გაივლებს: „ცინცქალას ჩანთა სახლში დავინწყნაო“. სახეზე მუდამ ისეთი ღიმილი აფენია, ნამდვილი, სულიერი არსება კი არა, დიდი მხატვრის ფრესკის ანგელოსი გეგონებათ.

„ცინცქალა, ცინცქალა! ეს შენა ხარ? შვილო! რატო, თავიარ მომიკვდება, არ გენყინოს, გენაცვალე, შორიდან ვერ გიცანი. ალბათ, სიბერის ბრალია, თორემ, სხვებში როგორ უნდა შემეშალო? მეორე ვინ დადის ამ ქუჩაზე, შენისთანა?“ — მოეფერა ბებია სიდონია ცინცქალას და მკერდში ჩაიხუტა.

„ცინცქალა! ცინცქალა! შენა ხარ? გენაცვალე! უკვე სკოლაში მიდიხარ და ჩემს სალომეს, მგონია, ჯერ პირიც არ დაუბანია. ალბათ, მიტომაცა ხარ ასეთი ლამაზი, მზეზე ადრე რომ იღვიძებ და მასაც რომ ასწრებ პირის დაბანას“, — შეაქო დეიდა მანანამ და შუბლზე ისე აკოცა, რომ წარბებამდე დაშვებული თმის პნკარები არც შერხეულან. ცინცქალამ დეიდა მანანას ქება შეიფერა და გზა განაგრძო.

„ცინცქალა! ცინცქალა! ასე, როგორ გშვენის: ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, ვარცხნილობა. ვერ გაგვიგია, შენ უხდები მაგათ თუ ეგენი — შენ? რომ იცოდე, როგორ გვეამაყება შენი თანაკლასელობა!“ — უთხრა სკოლაში, შესასვლელი კარის წინა ბაქანზე ჩარიგებული პირველკლასელებიდან მაკა ნაცვლიშვილმა.

„ო, ამას ვის ვხედავ?! დღეს განსაკუთრებით ლამაზი ხარ, ცინცქალა. რა კარგია, რომ ყველაზე ლამაზიცა ხარ და ყველაზე კარგადაც სწავლობ“, — მოეფერა, კლასის კართან მდგარი, დარიკო მასწავლებელი და გულში ჩაიხუტა.

ცინცქალა კლასში შევიდა, ზურგჩანთა მოიხსნა და თავის მერხს მიუჯდა. ნიკაპი ხელის გულეში ჩარგო, ფანჯრიდან მოალერსე მზეს შეხედა და გულში გაიფიქრა: „ნეტავ, ყველას ასე რატომ მოვწონვარ? მე რომ მკითხონ, მზეზე ლამაზი, მთელ სამყაროში, არავინაც არაა“.

ბროლას წყარო

ამ ადგილებში ისეთი სიყვარული სუფევს, რომ უზარმაზარი: მუხები, რცხილები, ცაცხვები და ბუჩქებიც ისე ჩუმად შრიალებენ, გეგონებათ ისინიც ჰყვებიანო მომღერალ, ნაზ ფრინველებს, როცა ერთმანეთს გადაუჭიკჭიკებენ სამიჯნურო ჰანგებს. კაცი თუ კარგად დაუგდებს ყურს ფრინველების სიმღერას, ადვილად მიხვდება, რომ სამხიარულო ამბებს უფრო წკრიალა ხმითა და ნაზად მღერიან, ხოლო უბედურების შემთხვევაში მათ ხმაშიაც სევდანაღველია.

აქ, ამ ადგილებში, ისე თამამად სუნთქავს მთელი მკერდით დიდი თუ პატარა, თითქოს, ამნაირ ჰაერს ამ მინდორზე, ამ ხეებთან, ამ ბუჩქებთან და ამ წყაროსთან რომაა, ვერსად ჩაისუნთქავსო. აქაურ, დუდგულას ღეროდან ამომავალი წყაროს სიკეთეზე ბევრს საუბრობენ, ხოლო მის წარმოშობაზე ლეგენდებიც კი დადის. სინამდვილეში კი ასე იყო:

„აუ! რა მაგარი ადგილია! მოდი აქ დავისვენოთ

რა“, — თქვა ნიკომ. საგზლიანი ზურგჩანთები მოვიხსენით და მწვანედ მობიბინე მინდორზე გავგორდით დასასვენებლად. ჩვენი გოშია ძალი — ცაგო მაშინვე, დიდი ბუჩქის ჩრდილში წამოწვა, ცხვირი კუდქვეშ დამალა და დასასვენებლად მოეწყო. დალილობისგან, სუსტი ფერდები სწრაფად უცემდა, ცოტა ხანში სუნთქვა გაუთანაბრდა და ჩაეძინა. ალბათ, ძაღლების ძილიც ამას ჰქვია: ნახევრად ძილ-ღვიძილი.

„ბროლა, სანამ მე და რეზო თხილის წკეპლებს მოვჭრით გუდურების შესაკრავად, შენ წყალი მოიტანე. ოღონდ, შორს არ წახვიდე“, — ვუთხარი ჩვენს პატარა ძმას და წყლის ჭურჭელი გავუწოდე, თან დაუბარე: „იცოდე, ბინად ეს ბებერი ნიფლის ხე იქნება. აქ მოხვალ და თუ არ ვიქნებით, დაგვიცადე“.

„ბროლა“ ზედმეტი სახელია. ნიკოს, ეს სახელი, მისი კანის სითეთრის გამო დაარქვეს. ახლაც, დიდებიც და თანატოლებიც, სულ ზედმეტი სახელით



მიმართავენ. ნიკო გასული წლის სექტემბერში შევიდა სკოლაში, მაგრამ მანამდეც იცოდა: ანბანის ყველა ასოს გამოწერა, ასის ფარგლებში მიმატება-გამოკლება და ზოგი სხვა რამ.

„რალა მე უნდა წავიდე მოსატანად? სახლში არ მყოფნის?“ — აბუზღუნდა ნიკო და ცალყურა წყლის ჭურჭლის აქეთ-იქით ქნევით გაგვშორდა. მისი ბუზღუნის კიდევ კარგა ხანს გვესმოდა.

„მართლაც, რალა ბროლა გააგზავნე? ნიკო პატარაა, არაფერმა შეაშინოს, ტყეში ვართ“, — მითხრა რეზომ. საქამრიდან მოკლეთარა წალდი გამოიძრო და რიყის ქვა პირის ასანკეპად გაუსვა.

„ვინ იცის, ამ წალდით რამდენი თავხმელა ან ჭიგო ექნება მოჭრილი“, — გამეფიქრა ჩემდაუნებურად.

„გამბედაობას, უშიშობას ეხლავე უნდა მიეჩვიოს, თორემ, მერე გვიანი იქნება. გამიგე რეზო!“ — მივმართე საშუალო ძმას.

თხილის სწორი ნკეპლების შოვნა, ლასტების დასაწნავად, ადვილი რომ არ არის, ყველამ იცის. ჰოდა, მეც კარგა ხანს მოვუნდი ძებნას. რეზოს ოციოდე თავხმელა მოეგროვებინა და ბებერი, ნამეხარი ხის ქვეშ მიცდიდა. ის იყო, ნკეპლები დავყარე და რეზოს მივუჯექი, რომ გაბრაზებულმა მკითხა: „ბექა, რამდენი ხანია, რაც ნიკო წყალზეა წასული და აქამდე სად არის? ხომ არ მოგვეძებნა?“

მე თვალთ დავეუნყე ნიკოს ძებნა. მეგონა, სადმე იმალებოდა. ბროლა არსად ჩანდა. ბუჩქებთან ცაგოსაც ველარ მოვკარი თვალი და ცოტა დავწყნარდი. მივხვდი, რომ ისინი ერთად იქნებოდნენ. ცოტა ხანში, მე და რეზო იმ მხარეს წავედით, ბროლა და ცაგო რომ გვეგულებოდნენ.

„ნი-კო!“, „ცა-გო!“, „ნი-კო!“, „ცა-გო!“ ხან მე და ხანაც რეზო ვიხმობდით წყალზე წასულ ონავრებს. მალე, საცალფეხო ბილიკს დავადექით, რომელზედაც ბროლას და ცაგოს ნაფეხურების კვალი ეტყობოდა. ბილიკი დიდ მინდორზე გადიოდა. უზარმაზარი მუხები, რცხილები და ცაცხვები ამშვენებდნენ მინდვრის ნაპირებს. ცაცხვებს ყვითელი ყვავილები გახსნოდათ და არემარე სურნელოვანი თაფლის სუნით იყო გაჟღენთილი. მოლალე მუშა-ფუტკრები ყვავილიდან ყვავილზე გადაფრენისას ზუზუნებდნენ.

„ნი-კო!“, „ცა-გო!“, „ნი-კო!“, „ცა-გო!“, სად ხართ! ამოიღეთ ხმა! ვყვიროდით მთელი ძალით. ცოტა ხანში, აშკარად გავიგონეთ ცაგოს ყეფის ხმა. ხმაური მინდვრის ბოლოდან ისმოდა. ამით თავის და ნიკოს ადგილსამყოფელს მიგვანიშნებდა. წუთში, ჩვენს წინ, უცნაური სანახაობა გადაიშალა: ჩვენი ბროლა მუხლამდე ტალახით მოსვრილიყო. თიხიანი ჰქონდა მკლავები და სახეც. ამ სურათის დამნახავი ძნელად მიხვდებოდა, ეს, მოსვრილი ბიჭი, ის ლამაზი ბროლა იყო თუ არა. ჩვენი მისვლა, თითქოს, არც შეუნიშნავს, თავს ისე გვაჩვენებდა. თვალს გვარიდებდა და შეკითხვებზეც გადაკვრით გვპასუხობდა, ან, საერთოდ, თავს არიდებდა. ეტყობოდა, რალაც საამაყო საქმე ჩაედინა და თავს იწონებდა.

„რად გინდა, ნიკო, ეგ თიხა? სად მოთხარე?“

ვკითხე გაკვირვებულმა და ცოტა დაბნეულმა. ნიკო დუმდა. მერე, თავი რომ არ აუწევია, მიპასუხა: „წყარო უნდა გამოვიყვანო! არ დამიწყოთ: რად გინდაო, რა საჭიროაო. აქ მოსულს ყველას გამოადგება, გაიგეთ?“

მე და რეზო გაკვირვებით ვუცქერდით და ვერ გაგვეგო, იქ როგორ უნდა გამოეყვანა წყარო.

„ბროლა, წყალიც თუ იქნება შენს წყაროში?“ დაბნეულმა ვკითხე უმცროს ძმას.

„რას ვერ ხვდებით?! მართლა ვერ ხვდებით?! კიდევ კარგი მე წამოვედი თორემ თქვენ ვერც მოაგნებდით ამ ადგილს. ახლა, თუ გინდათ, დამენმაროთ, მომიძებნეთ მსხვილი, გრძელი დუდგულას ძირი, ძალიან მჭირდება. გესმით თქვენა?“

იმდენად მკაცრად და კატეგორიულობით თქვა ბროლამ, რომ მე და რეზომ მხრები ავიჩეჩეთ და გაკვირვებულებმა ერთმანეთს გადავხედეთ. გუმანით კი ვგრძნობდი, რომ რალაც აღმოჩენასთან გვეკონდა საქმე.

„მაინც, არ გვეტყვი, წყალი როგორ ჩამოვა იმ დუდგულაში?“, ისე სერიოზულად მოვთხოვე პასუხის გაცემა, შორიდან მსმენელს ნამდვილი ჩხუბი ეგონებოდა.

„წუთუ, მართლა ვერ ხედავთ ამხელა გუბებს? ასე რამ დაგაბრმავათ. თქვენც იტყვი, რაა!“ გაბრაზდა ნიკო. ხუთიოდე ნაბიჯი გადადგა თხილის და რცხილის ტოტებით დამალული ორმოსკენ და მუხლებამდე წყალში ჩახტა. ეტყობოდა, რომ ეს ორმო სულ ხელით ამოეთხარა ამ ხანში.

„ამას ვერ ხედავთ? აქ რომ მიწისქვეშა წყალი არ იყოს, გუბე როგორ გაჩნდებოდა? თქვენ დუდგულა მიშოვნეთ და წყაროს გამოყვანა ჩემზე იყოს“, — გაცხარდა ბროლა. რეზო დუდგულას საშოვნელად გაიქცა.

„აბა, ნახე, გამოდგება თუ არა შენი აღმოჩენისათვის“, — იყვირა რეზომ და დუდგულა ნიკოს ხელში მიაჩეჩა. ბროლამ დუდგულაში გაიჭვრიტა, დარწმუნდა, რომ ღრუ თავისუფალი იყო, დუდგულა სქელი მხრიდან გუბეში ჩაუშვა და მაგრად დაანვა. დუდგულას ნახევარი ორმოში ჩაერჭო.

„ესეც ასე“, — თქვა ბროლამ და ორმოდან ამოხტა.

რამდენიმე წუთს ველოდით დუდგულას ღარიდან წყლის ამოსვლას. ყველაზე მეტად ბროლა ნერვიულობდა. იქვე მოხტუნავე ცაგოს ფეხიც კი ამოჰკრა.

და, აი, როგორც იქნა, დუდგულის თავზე გაჩნდა სისველე. ცოტა ხანში, მღვრიე წყალი გადმოიღვარა. მალე დაწმინდავდა და დუდგულადან კამკამა წყალი იღვრებოდა.

„ვაშა! ვაშა!“ — შევყვირეთ მე და რეზომ და ჩვენს ბროლას ტალახიანი ტანის კამკამა წყლით დაბანა დავეუნყეთ. ამ სიხარულს ყველაზე მეტად ცაგო გამოხატავდა. გაბმით ყეფდა, თითქოს ტყის ბინადარ ნადირ-ფრინველს ამცნობდა: „აი, როგორი ბიჭია ჩვენი ბროლა, მოდით, ნახეთ, რა საჩუქარი მოგიმზადათო“.





თავდავინწყებით უყვარდა პატარა თამაზს ბებია თალიკო. ზამთრის უთვალავი გრძელი ღამეები ტკბილად გაუტარებია ბებიასთან ერთად. ბებია-შვილიშვილი მოგუზგუზე ბუხრის წინ გაშლილ ფარდაგზე ისხდნენ. ბიჭს ბოლომოკაუჭებული, ნეკისსისქე, გრძელი მავთულის საჩხრეკი ეჭირა და არხეინად ჩხრეკდა ვენახის სარების ჩამწვარ ნაკვერჩხლებს. ბებია ხშირად შეეხმებოდა ხოლმე: „აბა, შენ იცი, თამაზ. არ ჩაგეძინოს, ცეცხლში არ ჩავარდე, დამიმახინჯდები ეს ლამაზი ბიჭიო“. რა ტყუილად სწყინდა ბებიას ნათქვამი. არადა, ახლა, რამდენი შემთხვევა აგონდება, ბებია რომ გადაარჩინა დაწვას. სულ პატარაობიდანვე უყვარდა ძილი და რა თავისი ბრალი იყო? უყვარდა და ახლაც უყვარს, ეგ არი და ეგა!

წავიდა ბებია თალიკო ამ ქვეყნიდან ვალმოხდილი, ამაგდარი, სპეტაკი ადამიანი და დატოვა ბუხრის პირას გატარებული ეშხიანი საღამოების მოგონება, ის დაუვიწყარი ზღაპრები, უთვალავჯერ რომ მოუყოლია.

...თამაზი! თამაზი! ადექი დროზე! უამრავი საქმე მაქვს. თუ მოვლა არ შეგეძლო, რატომ გაიჩინე კურდღლები?! ხომ გითხარ: „კურდღელს, ყოველდღიურად, საკუთარ წონაზე მეტი საჭმელი სჭირდება მეთქი, არ დამიჯერე? ახლა, რაც გინდა, ის ქენი. მაგის უფლებას კი არ მოგცემ, რომ მშივრები ამოხოცო, გესმის შენა?!“, — ძილბურანში მოესმა დედის ხმა თამაზს. თვალები საჩვენებელი თითებით მოიფშვინტა და თავისთვის ნაიბუზღუნა: „ეხ, ჩემო თალიკო ბებია, სადა ხარ. როცა ყველაზე მეტად მჭირდება შენი თავი, ახლა მიღალატე? როგორ მაკლიხარ რომ იცოდე?“ საბანი გადაიძრო, მოკლე, სააზავხულო შარვალი ამოიცვა, ქოშები ტერფებით აიტაცა და აივანზე გავიდა.

აღმოსავლეთის მხარეს თითქოს ხანძარი გაუჩინესო, მზის სხივებისგან ცის თალი და მთის წვერები ალისფრად შეფერილიყო.

„აუ, შენი გულისა, მართლა რამდენი დრო გასულა, ეე! რამ დამაძინა ამდენ ხანს? ალბათ, იმიტომაც, რომ გიგლა პაპა სახლში არ მეგულეობდა. ამაღამ მეც გავყვები საზამთროს ბაღში საყარაულოდ“, — ხმამაღლა წარმოსთქვა, კიბეები ჩაირბინა და კურდღლებთან მივიდა.

„ბიჭო, ხელცარიელი მიხვედი? გომურის კართან ყრია ახალი მოკრეფილი ბალახი და კომბოსტოს ფოთლები, ნაულე და დაუყარე. მაგათ შენი მირთმეული უნდათ, თორემ განა, ვერ დაუყურდი?“ — წყრომით უთხრა დედამ.

შუადღის ხანზე გიგლა პაპამ ცხენისურემი ეზოს ჭიშკართან გააჩერა.

„თამაზ! თამაზ! ნუ ჩამომიყვან, შვილო, კარი გამიღე“, — გასძახა ღამენატეხმა გიგლა პაპამ. თამაზი წამში იქ გაჩნდა და ჭიშკარი ააჭრიალა. თეთრკოპლებიანი ფინია ძალღი სიმბა კუდის



ქნევით და ხმადაბალი წაყეფებით ფეხებში გაუგორდა. პაპამ, ცხენისურემი ეზოში შეიყვანა, თამაზს რამდენიმე საზამთრო მიაწოდა და ურმიდან ჩამოვიდა.

„ბაღლო, ეხლა შენ იცი და შენმა ვაჟუკაცობამ. როიკვები: „ესა ვარო, ისა ვარო“, ეხლა გამორჩდება, ვინცა ხარ. ურმიდან ცხენის გამოშვებაში მომეხმარე, სადმე, ჩრდილში დააბი და ბალახი დაუყარე, მე ცოტა წაუფძინებ, ამაღამაც უნდა ვუყარაულო“.

„მეც წამიყვანე რა, პაპი, საყარაულოდ. მთელ ღამეს არ დავიძინებ, არა გჯერა?“, — შეეხვეწა თამაზი. გიგლა პაპამ ხელები დაიბანა, აივანზე ავიდა, რძლის მიერ გაშლილ სუფრას მიუჯდა და თამაზს გასძახა: „მოდე, ყარაულო, ჩემთან ერთად ისადილე, კაცი არა ხარ? ცოტა ღვინო დავლიოთ, ბებიას შესანდობარი გავუგზავნოთ და დავიძინოთ“.

ბიჭმა პაპას გვერდითა სკამზე მოიკალათა და სანამ პაპა სადილობდა, იქიდან ფეხი არ მოუცვლია. ღვინოზე რა მოგახსენოთ და საზამთრო კი ისიამოვნა.

მზე დასავლეთის მთების წვერებს უახლოვდებოდა, როცა გიგლა პაპამ გაიღვიძა. ეზოში ჩავიდა, ცხენს კისერზე ცალულელი ჩამოაცვა, ზურგზე უნაგირი დაადგა, ურმის ხელნებში ჩააყენა და თამაზის გასძახა: „ბაღლო, გამოშვებაში თუ მიშველე, შებმაში არ უნდა დამეხმარო?“ თამაზი წამში მასთან გაჩნდა და კიდევ მიეხმარა.

„რაო, ბაღლო, მოგცა დედაშენმა წასვლის უფლება, თუ სახლში რჩები?“, — იკითხა პაპამ.

„ეგე, ჩემი ბარგი, პაპი! ეხლა, ურემზე დავტვირთავ და ჰერიი!“ ისეთი აღფრთოვანებით თქვა თამაზმა, აშკარა იყო, მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

პაპამ სიმბა ურემზე ასვა. ძალღმა თავისთვის განკუთვნილ „სანოღში“ მოიკალათა, თამაზი დედასთან მივიდა დასამშვიდობებლად.

„აბა, შენ იცი, შვილო! როგორ იყარაულებ. თუ ყოჩაღად მოიქცევი, პაპა სხვა დროსაც წაგიყვანს საზამთროს ბაღში საყარაულოდ. თუ ძილი მოგერია, ცივი წყალი შეისხი სახეზე და გამოფხიზლდები“, — დაარიგა დედამ ყარაული შვილი.

„ბოლო-ბოლო, ბაღში მივდივართ საყარაულოდ და არა — სახელმწიფო საზღვარზე, ჩემო რძალო“, — ჩაერია დედა-შვილის საუბარში გიგლა პაპა.

ღამის ბინდბუნდი ეპარებოდა ალაზნის ველს, პაპა გიგლას ურემი საზამთროს ბაღს რომ მიუახლოვდა. პირველი სიმბა გადმოხტა ურმიდან და საყარაულო კომპისკენ გაიქცა. გიგლა პაპამ ცხენის სადავეები ურმის ქალას შემოახვია და ფრთხილად ჩავიდა.

„აი, ესეც ჩვენი საყარაულო. ამაღამ, ამ

კომპიურაზე უნდა გავათენოთ. ხო მაგარი კომპიურა მაქვს? თქვი ვაჟკაცურად“, — მიმართა პაპამ თამაზს და აკაციის ხის ოთხ ბოძზე მონყობილ ფანჩატურზე მიანიშნა, ჩადუნითა და შალაფ-ბალახით რომ იყო დახურული.

„აი, კოშკი და ლაზათი! მარტოკამ ააშენე, პაპი? სახურავი მაინც როგორ დაახურე მარტომ? მე რატომ არ წამომიყვანე საშველად?“ თავდაჯერებულმა, დიდი კაცივით უსაყვედურა თამაზმა გიგლა პაპას.

„აი, ამაღამ გამოჩნდება შენი ვაჟკაცობა; გნახავ, რა ბიჭიცა ხარ“, — იყო გიგლა პაპას მოკლე პასუხი.

მთვარიანი, ნათელი ღამე იყო. ლურჯ ცაზე ქულა-ქულა ღრუბლები დაცურავდნენ. ხანდახან, როცა მთვარეს მიეფარებოდნენ, უკუნეთივით ბნელოდა საზამთროს ბაღში. კარგა ხანს

იფხიზლეს ყარაულებმა. უთვალავი ზღაპარი მოუყვა გიგლა პაპამ პატარა ყარაულს, მათ შორის, ისეთებიც, არსად რომ არ წაუკითხავს, თვითონ რომ იგონებდა.

შუალამე გადასული იქნებოდა, გიგლა პაპა კომპიურიდან რომ ჩამოვიდა და საზამთროს ბაღს შემოუარა, საეჭვო ადგილები შეამოწმა. სიმბა სულ თან დაჰყვებოდა მზრუნველ პატრონს. ცოტა ხანში, მოხუცი კომპიურაზე ავიდა თამაზთან.

„აბა, ყარაულო, როგორაა საქმე? ძილი ხომ არ მოგერია? თუ გინდა, ჩადი და გაიქეც-გამოიქეცი. დაბნეული სიმინდის მარცვლებივით გაგეფანტება ძილი. ისე, კაცმა რომ თქვას, ხომ ადვილია ყარაულობა?“ — დაბალი ხმით, თითქმის ჩურჩულით შეეკითხა გიგლა პაპა, მაგრამ თამაზის პასუხი არ მიუღია, — მშვიდი, ბავშვური ძილით ეძინა პატარა ყარაულს.



მხატვარი ალექსანდრე გოგიაშვილი





ნუნუ კახუკაშვილი



### სენსიები

ცოტნეს უამბო ბებია:  
იმ დიდი ცოტნეს გმირობა;  
ვისი სენსია ვყოფილვარ?! —  
ბიჭი გაოცდა, — ჰკვირობდა.

ჩემი მამულის სიმშვიდე —  
ნეტავი, რატომ კორტნესო?!.  
გვინდა სამშობლოს მცველობა:  
დავითს, შოთას და ცოტნესო.

### მარათონი

სულ რომ ერთად შეიკრიბოს:  
ჩემი ლექსის მზე და მთვარე;  
ვარსკვლავების ჯარი ცაში, —  
ვთვალე, ვთვალე, ვერ დავთვალე!

სულ რომ ერთად შეიკრიბნენ:  
ფრთახატულა — აისები,  
მომლიმარე — გოგო-ბიჭნი, —  
სიხარულით ავივსები!

სულ რომ ერთად შეიკრიბნენ  
ჩემი ლექსის ბელურები,  
ციყვები და ყურცქვიტები, —  
შენ ამ ამბავს ეხუმრები?

მთა და ბარი — ყვავილები,  
ხან, — ზურმუხტი, ხანაც, — თოვლი,  
ერთად არის: სილამაზის,  
სიყვარულის მარათონი...

### საქართველოს

მე ვამაყობ ჩემი ქვეყნის  
ზურმუხტოვან მთა-ბარითა,  
იები და ენძელები  
პირს იბანენ ცვარნამითა.

დღე — მზე ნაზად გვეფერება,  
ღამე — მთვარე გვჩუქნის ამბორს,  
წელიწადის დრო — ოთხივე  
თავის ლამაზ სათქმელს ამბობს.

ჩემი ქვეყნის სიყვარულით  
ამაყი ვარ, გული მთელივს,  
სიხარული ჰქონდეს, მუდამ,  
ჩვენს კურთხეულ საქართველოს.

### სიამაყე ქართველთა

დგას ძეგლები მწერალთა, —  
ილიას და აკაკის,  
სიამაყე ქართველთა  
რა დიდია, რა კარგი.

როცა ვუცქერ, ყოველთვის,  
გულს სიამე მედება,  
სულ, — მზესავით, იბრწყინებს  
მათი შემოქმედება.

### ბებოს დანადგების დღე

დაბადების დღე აქვს, ბებოს  
ნატა აცხობს ნამცხვარს,  
მეგობრებს და ნათესავებს  
ნებავთ — ბებოს ნახვა.

ზურიკელამ მოისურვა  
დაეხატა ბებო,  
და დახატა, წინდებს რომ ქსოვს,  
მართლაც სანაქებოს.

ნატამ უთხრა, — ეს ნახატი  
კარგი არის, ზურა,  
ბებო ისეც დაგვიხატე, —  
ვარდებზე რომ ზრუნავს.

დაგვიხატე, კიდეც, ბებო  
ძროხას როცა წველის,  
რძე-მანონი უხვადა გვაქვს,  
თითქმის, — მთელი წელი.

კრუხ-წინილას, როცა უვლის,  
ან აკეთებს სადილს,  
და გვისრულებს სიყვარულით  
ყველა ლამაზ ნადილს.

დაბადების დღე აქვს ბებოს  
და სტუმრებსაც ელის,  
სუფრას უკვე დასტყობია  
ნატას გამრჯე ხელი.



გმადლობთ, შვილო, ბებიკოს გულს  
სიხარული ავსებს,  
ნახატებში, ჩემო, ბიჭო  
როგორ მიმამსგავსე.

## ბოთო და ზღარბი

ბოთომ ზღარბი დაინახა,  
გაიოცა, გაჰკვირდა...  
ჰკითხა, რა სულიერი ხარ,  
ჩვენს ბაღში რა გინდა!

მე ზღარბი ვარ, მეგობარი,  
თქვენი ბაღა-ბაღისა,  
პანანინა ზღარბები მყავს, —  
მათი გაზრდა მაღირსა.

მგონი, ჩემს გზას უყურებენ  
პანანინა ზღარბები, —  
სიკეთეს და შრომას ვაჩვენე, —  
არ არიან ხარბები.

ვეძებ, ვაშლებს, ქარისაგან,  
მწვანე მოლზე დაცვენილს...  
ბოთომ უთხრა: ორივე ვართ —  
ბაღა-ბაღის დამცველი.

## ჩიტუნია

ნეტავ, რას უსტვენს ჩიტი,  
რა სურვილი აქვს ნეტავ?  
შვილები კარგად მყავდეს,  
არ დარჩენ, ობლად, კენტად...

ტყე მწვანე იყოს მუდამ,  
არ გახმეს ერთი — ტოტიც,  
მინდა გალობდეს ყველა,  
ამღერდეს ყველა — ნოტი.

მზე ბრწყინვალედეს ციდან,  
გვინანავებდეს მთვარე,  
მიყვარხარ, ჩიტუნია, —  
ამშვენებ — არე-მარეს.

## ღარიგება

კაბას არხევს ნიავი,  
კაბა შრება — შრიალით,  
რა კარგია, — დღე არის:  
ლამაზი და მზიანი.

ჩაიცვა და ნინიკო —  
ერთი შემოფრიალდა...  
ბაღში მიდის კუდრაჭა  
თვალს აყოლებს ია და...

შემდეგ ეზოს გახედა,  
„ნახვამდის“ — თქვა, — ის იყო  
კარგად მოიქეციო, —  
დაადვენა — ყიყლიყომ.

## შემოდგომა

შემოდგომა გვესტუმრა,  
თავს იწონებს ყურძენი...  
ერთად, — ბებო-პაპასთან,  
რთვლის თადარიგს ვუძღვები...

ქვევრი გავაკრიალეთ,  
მოვამზადეთ ვედრები,  
ისე სწრაფად ვტრიალებ,  
ლამის, მერცხალს ვედრები.

ხვალ, გვაქვს რთველი, გვენვიეთ,  
კარზე არის შაბათი,  
უკვე, ყველა მტევანი, —  
თაფლია და შარბათი.

## ჩემი ენა — ქართული

აი, უკვე მოსწავლე ვარ,  
წელს სკოლაში მივედი,  
ჩემი ენა — ქართული, —  
არის, ჩემთვის, იმედი...

სხვა ენებსაც ვისწავლი,  
და მოვივლი მსოფლიოს, —  
გავეცნობი მეგობრებს, —  
სიხარულში — მყოფიო...

## ბიჭო, ვისი ხარ მალხაზი

*ხალხური რემინისცენციით...*

— ბიჭო, ვისი ხარ, მალხაზი?  
— დედიკოსი და მამასი,  
მამიდასი და ძიასი,  
ბებიკოსი და პაპასი.

— რა სურვილი გაქვს, მალხაზი?  
— ლილეა, ჩემი დაიკო,  
დედიკოს მინდა ვუთხრა, რომ  
მაჩუქოს: ერთი ძამიკოც...

მერე... სამივე, სულ, ერთად,  
ჩამოვირბენდით თქვენსაო...  
თქვენ, — არაკები გვითხარით,  
ჩვენ, — ლექსებს გეტყვით ბევრსაო.

## წამიყვანეთ სკოლაში

თავს იწონებს თამუნა,  
კვირის დღეებს ვითვლიო,  
წამიყვანეთ სკოლაში,  
სანამ უნდა ვითმინო?..

აი, უკვე, მოვიდა —  
აი, ვარდის კონები,  
მივალ, — ჩემს მასწავლებელს  
გულში ჩავეკონები.



## ვის უყვარს ქარი?

— ფისო, გიყვარს ქარი?  
ჰკითხეს ფისუნისა,  
— ვეთამაშებოდიო, —  
მხოლოდ, — ციციქნა ნიავს.

— აბა, გოჭუნიავ,  
შენ, თუ, გიყვარს ქარი?  
— ეგ არ გამაგონოთ, —  
ბრაზიანი არი...

ჰკითხეს: ქათმებს, ბეკოს  
მურიას, თუ, ფუროს,  
— ვის სჭირდება ქარი? —  
ქარი, მხოლოდ, ურჩობს.

ვკითხოთ, რასა ფიქრობს  
ჩვენი ზღარბუნია?  
— ქარს ვირჩევო, იცით?  
იმ ონავარ ნიავს.

— რატომ, რატომ ზღარბო?  
რა სიკეთეს გაშლის?! —  
— მინდა — ვაშლის ხიდან  
ჩამოყაროს ვაშლი.

— აბა, ჩაუფიქრდი,  
ქვეყანას რომ არბევს?  
თამრომ მისცა ვაშლი, —  
წაუღეო ზღარბებს.

## მინდია

— წამიყვანეთ სკოლაში, —  
იხვეწება მინდია,  
ხედავთ? ბავშვი — რამდენი,  
სკოლისაკენ მიდიან.

— ვიცი, კარგად ისწავლი,  
დაამშვიდა ბებიამ,  
მიხარია, რომ სკოლა  
ასე შეგყვარებია.

დაიცადე, სულ ცოტა,  
ერთი წელიც გავა და...  
შენც რომ წახვალ სკოლაში,  
დარწმუნდები თავადა.

დღეებს ითვლის მინდია, —  
— დღეო, გადი, მალე და...  
— დღეში, ერთ ფურცლის მეტი  
არ მოხიო კალენდარს.

## მათე და გოჭები

მე, უკვე, ვთვლი თორმეტამდე,  
თავს იწონებს — მათე,  
პაპამ უთხრა: — ახლა მეტი,  
სიყორჩაღე გმართებს.

კარგია, რომ თვლა ისწავლე,  
მათე, ჩემო კარგო,  
თორმეტი ჰყავს ქრელას გოჭი,  
თვალე, არ დაკარგო.

## შოშიები

ჩვენ გვეკუთვნის მთელი ეზო,  
რა ყოფა აქვთ — ინდაურებს,  
მე კი — პატარა შოშია,  
უცებ, მოვიშინაურე.

საგალობლებს, როცა მღერის,  
გუნდიც მოდის შოშიების,  
მოდით ჩვენთან, კონცერტი გვაქვს, —  
რატომა ხართ მოშორებით?..

ბაღჩა-ბაღი გახალისდა,  
გულწითელობს, უფრო ვაშლიც...  
და... შოშიაც თავის მოძმეს  
გაჰყვება და ლალ ფრთებს გაშლის.

## ზღარბი

ბალის მეგობარია  
მოფუსფუსე ზღარბუნა,  
ვის რას უშლის, ბედმა რომ  
მას ეკლები არგუნა.

მტერმა რომ არ დაჩაგროს,  
თავი იგრძნოს უშიშრად,  
ბალს პატრონობს და დადის  
უჩუმრად და უჩინრად.

## ნაცვრა

გეხვეწები ღრუბელო,  
გადაეცი სხვა ღრუბლებს, —  
მზე, ისეთი ცხელია,  
ჩაიდანსაც ადუღებს.

ახლა უჭირს ბაღჩა-ბალს,  
ბოსტნეული რას გავს?..  
ცოტა წყალი მასვითო, —  
ცრემლი მოსდის ნარგავს.

დაირბინა მუდარამ, —  
ანდამატის ქნარით,  
წამოვიდა, ნელ-ნელა,  
ღრუბლის დიდი ხარი.

რქებზე ედგა დოქები  
უამრავი, სარწყავი,  
ბაღჩა-ბაღი ზეიმობს, —  
ალარ არის სანყალი.



## ნანა

ბებომ უთხრა მეზობელს  
ნანა უკვე მოჩიტდა,  
რა უცებ გაიზარდა, —  
გუშინ იყო ნორჩი და...

გაიგონა ნანიკომ,  
ასე უთხრა: — ბებო,  
ჩიტუნას რომ მამსგავსე,  
რომ არა მაქვს ფრთებიო?!

რომ დარბიხარ, ნანიკო,  
ხელს გინვდიან მთებო,  
მე მეგონა, პატარავ,  
გამოგესხა ფრთებიო.

## მშობლიური ჩვენი „დილა“

— რატომ ჰქვია ჟურნალს „დილა“?  
კითხვა-კითხვას ემატება,  
— იმიტომ, რომ ეს ჟურნალი  
დილასავით გვენატრება...

იმიტომ, რომ ჩვენი „დილა“  
სიხარულის დარი არი,  
კითხულობენ: ლელა, ზურა,  
ეკა, ნიკა, მარიამი.

იმიტომ, რომ მოაქვს სხივი, —  
მშობლიური და ქართული;  
იმიტომ, რომ — ყველა გვერდზე,  
მზის სხივია ჩაქარგული.

## ფიქრიანი ფოთოლი

გაშიშვლებულ ხეებს შორის  
უცებ, ნამით შედგა ნატო,  
— იმ ფოთოლმა როგორ გასძლო  
კენწეროზე მარტოდმარტო?  
ალბათ ზამთრის ფიქრი უნდა,  
გაზაფხულის კვრტს გაანდოს...

## ჩიტუნია

წინილებს რომ საკენკს უყრის  
პანანინა ეკა,  
მოფრინდება ჩიტუნია,  
საკენკს ისიც კენკავს.

წინილებიც ჩიტუნიას  
ახლობლად თუ თვლიან,  
და რაც ერთად საუზმობენ,  
თითქმის მთელი თვეა.

რომ ჭიკჭიკებს დილით ადრე  
ჩიტუნია ჩვენი...  
იცის, ლამაზ მეგობრობას  
სიმღერებიც შვენის.

## ჩვენი ძროხა

ჩვენმა ძროხამ ამ დილით  
ლამაზი ხბო მოიგო...  
გავიხარეთ ძალიან  
ჭრელზე-ჭრელი რომ იყო.

უსუსური არ არის  
ძუძუსა სწოვს ყოჩაღად,  
— უი, — ყვირის ნათია,  
რძეს ნალები მოხადა!

დედა ამბობს: — თანდათან  
მიეჩვევა წესსაო...  
ცოტაც მოითმინე და  
ჩვენც გაგვიყოფს რძესაო...

## ტყეში

ნაგვიყვანა პაპამ ტყეში, —  
რამდენი ხე ვნახეთ...  
ვთვალეთ, ვთვალეთ, ვერ დავთვალეთ,  
გაგვიბრწყინდა სახე.

ცაცხვი, რცხილა და ივანი,  
შვინდი, არყი, თელა,  
ნეკერჩხალი — ოქროსფერად,  
ვერხვი — ვერცხლად ელავს.

რკო მოუსხამს უჰ, რამდენი  
მხრებგადაშლილ მუხას,  
მის ტოტებზე ფრინველები  
შემომსხდარან უხვად...

ტყე ბავშვების დანახვაზე  
გულს სიხარულს იფენს,  
მეგობრები მოსულანო, —  
ელიმება წიფელს.

სად ყოფილან ბაჭები,  
ერთი შეხეთ, ციყვებს,  
ეს რა ნეტარებაში და  
სიხარულში — იყვენენ.

მზე კი ყველას ეფერება, —  
ტყეში ყველა ხარობს,  
ნაკადულიც მონკრიალებს, —  
უკვდავების წყაროდ.

## კეთილია დათუნა

ზოოპარკი დახატა  
გუშინ, ანამ — ფურცელზე,  
და ძამიკო — დაიკოს  
მხატვრის სახელს უვრცელებს.

ანა — გოგო, მხატვრობით,  
ისე კარგად გართულა,  
სულ, ერთად მოათავსა:  
ციყვი, ბეკო, დათუნა.

— დათვი, — ცალკე გადასვი,  
ამას ფიქრი რად უნდა?  
— ბექა, ყველა ზღაპარში  
კეთილია დათუნა.







ნელი ზუროვძილი

56



ქართული კულტურის მოამბანი

თელავის მუსიკალური სასწავლებლის 85 წლისთავისათვის

თელავი ძირძველი კულტურის ქალაქია, თავის დროზე ქართლ-კახეთის მეფეთა რეზიდენცია. ამ ულამაზესი ქალაქის აღორძინება უკავშირდება ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე მეორის ხანას (XVIII საუკუნე). სწორედ, მის კარზე ჩაეყარა საფუძველი ქართულ თეატრს, სასულიერო სასწავლებელს, ვითარდებოდა პოეზია, საეკლესიო გალობა და საკრავიერი მუსიკა.

მდიდარმა კულტურულმა მემკვიდრეობამ განაპირობა, ამ ქალაქში, სამუსიკო სასწავლებლის გახსნა.

1932 წლის 12 ოქტომბერს თელავში გაიხსნა მუსიკალურ-პედაგოგიური ტექნიკუმი. მის დირექტორად დაინიშნა გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორი, პირველი ქართული კომიკური ოპერის „ქეთო და კოტე“ ავტორი — ვიქტორ დოლიძე.

წელს სასწავლებელს უსრულდება დაარსებიდან 85 წელი. თუ, როგორი სიყვარულით, ენთუზიზმით, თავდადებით იღვწოდნენ მის კედლებში მოღვაწე პედაგოგები, როგორ წარმატებებს აღწევდნენ მათი გამოზრდილი მოსწავლეები, რაოდენ დიდი წვლილი შეჰქონდათ დაულალავი შრომით საქართველოს სამუსიკო საგანმანათლებლო საქმეში — ამაზე მოგვიანებით ვისაუბრებთ.

ახლა, მკითხველს მინდა გავახსენო ორი გამორჩეული პიროვნება, რომლებიც გამუდმებით იბრძოდნენ თელავში სამუსიკო სასწავლებლის გადასარჩენად.

სიკეთის გზის გამკვალავები იყვნენ ქართული სამუსიკო კულტურის თვალსაჩინო წარმომადგენლები, პროფესიული სამუსიკო განათლების მოამბეები, დიდი ჰუმანისტები, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეები: პროფესორი ნიკოლოზ (ნიკო) ჩიგოგიძე (1892-1962) და მისი მეუღლე — საქართველოს

სახალხო არტისტი, ჩელისტი — პროფესორი ნინა თევდორეს ასული კოზმინსკაია-ჩიგოგიძე (1903-1984).

„ნიკო და ნინა“ — ასე ერთად, დიდი სიყვარულით მოიხსენიებდნენ მათ მუსიკალურ წრეებში.



ნიკო ჩიგოგიძე და ნინა კოზმინსკაია-ჩიგოგიძე

ნიკო ჩიგოგიძე იყო ღვანლმოსილი მეცნიერი, დიდად ავტორიტეტული მუსიკისმცოდნე, მკვლევარი. როგორც აღვნიშნეთ, თავისი შინაარსიანი ცხოვრების ერთგულ თანამგზავრთან, ვიოლონჩელისტ ნინა კოზმინსკაია-ჩიგოგიძესთან ერთად, თავდადებულად ემსახურებოდა მუსიკალურ-საგანმანათლებლო საქმეს საქართველოში, ორივე ეკუთვნოდა მუსიკოსთა იმ თაობას, რომლებმაც მკვიდრი საფუძველი ჩაუყარეს ქართულ სამუსიკო ხელოვნებას.

ნიკო ჩიგოგიძე დაიბადა თელავში, 1892 წლის 29 ოქტომბერს ღარიბი გლეხის მრავალშვილიან ოჯახში. 1900 წელს მიაბარეს თელავის საქალაქო სასწავლებელში. ორი წლის შემდეგ, 10 წლისას გარდაეცვალა მშობლები და უფროსმა ძმამ თავისთან, იმერეთში წაიყვანა.

ხონის სამასწავლებლო სემინარიაში ოთხწლიანი სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ, ნიკო ჩიგოგიძე ინიშნება გურიაში, ორკლასიან სასწავლებელში პედაგოგად. 1915 წელს იგი გადაჰყავთ მასწავლებლად, კვლავ, ორკლასიან სასწავლებელში — სამეგრელოში.

1918 წელს ნიკო ჩიგოგიძე შედის თბილისის უნივერსიტეტში ფილოსოფიურ განყოფილებაზე, მაგრამ ხელმოკლეობის გამო სწავლა მიატოვა. მას მუსიკოსობის დაუძლეველი სურვილი გაუჩნდა და კომპოზიტორ დიმიტრი არაყიშვილის დახმარებით, 1922 წელს ჩაირიცხა თბილისის მეორე კონსერვატორიაში მუსიკის თეორიის კლასში. 1926 წელს სწავლა გააგრძელა საკომპოზიტორო განყოფილებაზე.

როგორც ცნობილია, მეორე კონსერვატორია



(სახალხო) თბილისში დაარსდა 1921 წელს. მისი დირექტორი იყო დიმიტრი არაყიშვილი; 1917 წელს დაარსებულ პირველ კონსერვატორიას კი სათავეში ედგა ზაქარია ფალიაშვილი.

მეორე კონსერვატორია გახდა მასობრივი სამუსიკო განათლების უდიდესი კერა. 1923-24 წლებში ორივე კონსერვატორია გაერთიანდა.

1926 წელს ნიკო ჩიგოგიძე ინიშნება საქართველოსა და სომხეთის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, კომპოზიტორ ს. ბარხუდარიანის კლასში ასისტენტად. ბარხუდარიანი იყო ავტორიტეტული მუსიკოსი. დამთავრებული ჰქონდა ბერლინისა და პეტროგრადის კონსერვატორიები. მისი მოსწავლეებიდან, შემდგომში, სახელგანთქმული კომპოზიტორები გახდნენ: აკ. ანდრიაშვილი (თელავიდან), ნ. გუდიაშვილი, გრ. კილაძე, შ. მშველიძე, ო. თაქთაქიშვილი და სხვ.

ამ პიროვნებასთან მუშაობამ და მეგობრულმა დამოკიდებულებამ ახალგაზრდა მუსიკოსს ბევრი რამ შესძინა.

1828-32 წლებში ნ. ჩიგოგიძე მიავლინეს ლენინგრადის კონსერვატორიაში. მან თავისი ნიჭიერებითა და შრომისმოყვარეობით მიიქცია პროფესიონალ მუსიკოსთა ყურადღება. შემდგომში, თბილისში დაბრუნებისას, მათთან საქმიანი და მეგობრული კავშირი არ გაუწყვეტია.

ახალგაზრდა მუსიკოსი თანდათან ცოდნის უფრო დიდ მწვერვალებს იპყრობს. იგი ინიშნება პედაგოგად თბილისის კონსერვატორიაში თეორიულ დისციპლინებში; რამდენიმე წლის შემდეგ უძღვება პოლიფონიის სპეციალურ კურსს თეორიულ-საკომპოზიტორო ფაკულტეტის კომპოზიტორებისა და მუსმცოდნეებისათვის.

ოცდათხუთმეტი წლის განმავლობაში ნ. ჩიგოგიძე კეთილსინდისიერად ემსახურა ეროვნული მუსიკალური კადრების აღზრდის საქმეს, — მალევე დანიშნეს თეორიულ-საკომპოზიტორო ფაკულტეტის დეკანად.

იგი ბრწყინვალე პედაგოგი იყო. მისი მოწაფეებიდან, შემდგომში, ცნობილი მუსიკოსები გახდნენ კომპოზიტორები: ს. სანიძე, ო. გორდელი, ბ. კვერნაძე, გ. ყანჩელი, მუსიკისმცოდნე მ. ახმეტელი და მრავალი სხვა.

გარდა ნაყოფიერი პედაგოგიური მუშაობისა ნ. ჩიგოგიძე დიდ ეროვნულ საქმეს ეწეოდა (ადრე საზოგადოებრივ საქმიანობას უწოდებდნენ). მისი აქტიური მონაწილეობით 1922 წელს ჩამოყალიბდა „ახალგაზრდა ქართველ მუსიკოსთა საზოგადოება“. ეს იყო ახალგაზრდა ნიჭიერ კომპოზიტორთა, მუსიკისმცოდნეთა და საშემსრულებლო ძალების გაერთიანება. მასში შედიოდნენ: გ. თაქთაქიშვილი, შ. თაქთაქიშვილი, გრ. კილაძე, ი. ტუსკია, ვ. გოკიელი, ნ. ჩიგოგიძე, შ. ასლანიშვილი, გრ. ჩხიკვაძე, ევგ. მიქელაძე, ალ. ნასიძე, ს. ჩარექოვი, დ. ანდლულაძე, დ. ბადრიძე, ნ. ქუმისიშვილი, დ. მჭედლიძე, ლ. შიუკაშვილი, ა. ჩიჯავაძე, ლ. იაშვილი და სხვ.

„ახალგაზრდა ქართველ მუსიკოსთა საზოგადოება“ პროპაგანდას უწევდა კლასიკურ სიმფონიურ



ბეთანია. სიმფონიის შეგროვების პერიოდი. მარცხნიდან პირველი ნიკო ჩიგოგიძე.

მუსიკას და ახალგაზრდა ავტორების თხზულებებს. სწორედ ქართველ ახალგაზრდა მუსიკოსთა ძალეობით ჩამოყალიბდა პირველი სიმებიანი ორკესტრი, რომლის ბაზაზეც თბილისში 1924 წელს შეიქმნა პირველი სიმფონიური ორკესტრი.

„ახალგაზრდა ქართველ მუსიკოსთა საზოგადოებამ“ პროგრესული როლი შეასრულა ახალი ქართული მუსიკის ჩამოყალიბებაში. 1925 წელს მისი წევრები მონაწილეობდნენ პირველი ქართული საოპერო სტუდიის დაარსებაში. ქართულ ენაზე კონსერვატორიაში მრავალი ოპერა დაიდგა. რეჟისორები იყვნენ: ჯ. მარჯანიშვილი, ს. ახმეტელი, სტუდიის დირექტორი — ა. ფალავა.

1927 წელს, ბეთჰოვენის გარდაცვალების 200 წლისთავთან დაკავშირებით, საზოგადოების ძალეობით საქართველოში პირველად შესრულდა მეცხრე სიმფონია (დირიჟორი ე. მიქელაძე).

შემდგომ წლებშიაც ნ. ჩიგოგიძე გულისხმიერად ეკიდებოდა მუსიკალურ-საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან დაკავშირებულ ყველა ღონისძიებას: მუშაობდა საქართველოსა და მაშინდელ საბჭოთა კომპოზიტორთა კავშირში, მუსფონდის გამგეობაში და სარედაქციო კოლეგიაში, საქართველოს საგუნდო საზოგადოების გამგეობაში. მან დიდი ამაგი დასდო თვითმოქმედ მუსიკალურ წრეებს. უამრავჯერ ყოფილა პრემირებული როგორც პედაგოგიური, ისე საზოგადოებრივი მოღვაწეობისთვის.





სამეცნიერო სფეროში მისი კვლევა-ძიების საგანს შეადგენდა ქართული ხალხური მრავალხმიანობისა და მისი ხვალისდებლობის საკითხი ქართულ პროფესიულ მუსიკაში: ამუშავებდა პოლიფონიის (მრავალხმიანობის) საკითხებს ქართულ, როგორც ხალხურ, ასევე — პროფესიულ მუსიკაში.

1930 წელს ნ. ჩიგოგიძე შ. მშველიძესთან, და შ. ასლანიშვილთან ერთად სამუსიკო ექსპედიციაში მესხეთში იმყოფებოდა. ეს იყო პირველი ექსპედიცია მესხეთის მუსიკალური ფოლკლორის მოსაძიებლად.

ეს დიდი მუსიკოსი, ჩემთვის, ერთგვარი ეტალონია შრომისმოყვარეობისა, პატიოსნებისა, საკუთარი პროფესიის მოსიყვარულე ადამიანისა, დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით აღსავსე პიროვნებისა და მოუსვენარი მკვლევარისა.

ნ. ჩიგოგიძეს ეკუთვნის მონოგრაფიული ხასიათის ნარკვევები: დ. არაყიშვილზე, ნ. სულხანიშვილზე; მან განიხილა ხალხურობის საწყისი ზ. ფალიაშვილის შემოქმედებაში და სხვ.

განსაკუთრებით მახლობელია მისთვის ნიკო სულხანიშვილის შემოქმედება.

იგი აღნიშნავს, რომ ნ. სულხანიშვილის პროფესიონალიზმი სტიქიური ხასიათისაა. მიუხედავად ამისა, იგი ჰქმნის მსოფლიო ღირებულებების შედეგებს. მკვლევარი ხაზს უსვამს კომპოზიტორის ნოვატორულ მხარეებს და სხვ. ყველაფერ ამას ნ. ჩიგოგიძე ასაბუთებს მეცნიერულად, ნ. სულხანიშვილის შემოქმედების ღრმა და დეტალური ცოდნით. იგი აღფრთოვანებულია ამ ფენომენით. როგორც ნიკო ჩიგოგიძის ქალიშვილი, თბილისის კონსერვატორიის პროფესორი, ქალბატონი ნუნუ ჩიგოგიძე აღნიშნავდა: „ნ. სულხანიშვილი ოცდაოთხი საათი განუყრელად ჩვენს ოჯახში იმყოფებოდა“.

მეცნიერის კალამს უამრავი ანალიტიკური ხასიათის თემები ეკუთვნის (შ. მშველიძის, ა. მაჭავარიანის, დ. შოსტაკოვიჩის და სხვათა შემოქმედების ირგვლივ).

მე მქონდა საშუალება გავცნობოდი მრავალ წერილობით მოხსენებას, რომლებიც მან წაიკითხა კონსერვატორიაში თეორიულ-საკომპოზიტორო კათედრაზე. ეს არის ძალზე საინტერესო, მეთოდური ხასიათის მოხსენებები.

განხილვის ცალკე საგნად უნდა გამოვყო ნ. ჩიგოგიძის მიმოხერა ცნობილ მუსიკოსებთან და სამწუხაროდ, იმ ბიუროკრატიული აპარატის წარმომადგენლებთან, რომლებსაც მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე შესთხოვდა, რათა გაუმჯობესებულიყო და განვითარებულიყო სამუსიკო-საგანმანათლებლო სისტემა საქართველოში.

თელაველმა მუსიკოსებმა ვიცით, რამდენი ძალღონე დახარჯა მან ოფიციალური წრეების წარმომადგენლებთან, რომ თელავში აღდგენილიყო სამუსიკო სასწავლებელი!

მომაქვს ციტატები მისი მიმართებებიდან:

„რუსთავშიც და ფოთშიც გაიხსნა სასწავლებლები, თელავში კი დღემდე არ არის აღდგენილი“...

„მთელ აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში არსად მუსიკალური სასწავლებელი არ არსებობს“...

„ვიმედოვნებ, რომ 1962 წლისათვის თელავს ეღირსება მუსიკალური სასწავლებელი“.

1962 წელს თელავის სამუსიკო სასწავლებელი კვლავ აღდგა, ახმინადა, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ბედნიერ დღეს ნ. ჩიგოგიძე ვერ მოესწრო!..

მისი მეუღლე, ყველასთვის საყვარელი პედაგოგი და ადამიანი — ნინა კოზმინსკაია-ჩიგოგიძე, თბი-



ლისის კონსერვატორიაში გადატვირთული მუშაობით დაღლილი, კვირის ბოლოს, ძვირფასი მეუღლისა და მის მიერ დაწყებული საქმის საპატივცემულოდ, მატარებლით ჩამოდიოდა თელავში გაკვეთილების ჩასატარებლად. ვინც მის კლასში სწავლობდა (კამერულ ანსამბლში გვამეცადინებდა), დამეთანხმება, რომ მისი გაკვეთილები ჩვენთვის ერთგვარი მუსიკალური აკადემია იყო!

წერილის დასაწყისში აღვნიშნე, რომ ნ. ჩიგოგიძე დიდი ჰუმანისტი იყო. უანგარო, გულწრფელი ადამიანი, სხვაზე მზრუნველი. ამის შესახებ არა მხოლოდ მსმენია, არამედ, პირადად დავრწმუნდი, როცა მის ეპისტოლარულ ნაწერებს გავეცანი.

მრავალი წერილი წავიკითხე და თავს ბედნიერად ვგრძნობ, რომ ამ წერილების მეშვეობით დავინახე პირუთვნელი ადამიანების სამყარო, რომლებსაც, სამწუხაროდ, ჩვენ თანდათან ვშორდებით...

ინტერესმოკლებული არ არის ის წერილებიც, რომლის ადრესატი თვით ნ. ჩიგოგიძეა.

ჩემს ხელთაა ცნობილი კომპოზიტორის არამ ხაჩატურიანის წერილების დასტა:

„პატივცემულო ნიკოლოზ სპირიდონის ძეე!.. გადახედეთ ჩემს პიესებს, მაგრამ დასკვნებს მაშინვე ნუ გამოიტანთ. ეცადეთ, ჯერ, შეეჩვიოთ მათ...“;

„ჩემი „საბავშვო ალბომის“ თაობაზე დიდად მადლობელი ვარ პროპაგანდისათვის“;

„ვნახე ა. ბალანჩივაძე. კარგი დროც გავატარეთ დ. შოსტაკოვიჩთან, სახლში... ვთვლი მას ერთ-ერთ ყველაზე ნიჭიერ კომპოზიტორად არა მარტო საქართველოში...“;

„მოვისმინე ო. თაქთაქიშვილის სიმფონია. ჩინებული მუსიკაა. თქვენი არამ ხაჩატურიანი“.

მრავალ საინტერესო მომენტს და დეტალს ვპოულობ წერილებში; საუბრობენ ბუნების სილამაზის განცდაზე, საყვარელ ცხოველებზე, ერთმანეთს ესაუბრებიან ახლო მეგობრებსა თუ ოჯახის წევრებზე.



ნ. ჩიგოგიძეც, თავისი სახელგანთქმული მეგობრების მსგავსად, დედაბუნების, ცხოველთა სამყაროს დიდი ტრფიალი იყო. მის მშვენიერ კარ-მიდამოში, თელავის ერთ-ერთ კოლორიტულ უბანში — ღვთაებასთან რომ მდებარეობდა, ფრინველები და ცხოველები მეგობრულად ცხოვრობდნენ და... ბუნებრივი სიკვდილით კვდებოდნენ ხოლმე. მანამდე კი გვერდი-გვერდ დასეირნობდნენ ბალნარში, სადაც ხარობდა „დ. არაყიშვილის სახელობის მანდარინი“, „ზ. ფალიაშვილის სახელობის თუთა“, „ნ. სულხანიშვილის“, „ვ. დოლიძის“, „მ. ბალანჩივაძის“ სახელობის ქართული ვაზის სხვადასხვა ჯიშები, ხეებს — ზოგჯერ რუსი, სომეხი, აზერბაიჯანელი, ბალტიისპირელი ან უცხოელი მეგობრებისა და კოლეგების სახელებსაც არქმევდა (დ. შოსტაკოვიჩისა და ხაჩატურიანის სახელობის ვაშლი და მსხალი, ქრ. კუშნარიოვის სახ. ფშატი და სხვ).

საქმიანი, ვრცელი წერილის ბოლოს ცნობილი ქართველი მუსიკისმცოდნე, არჩილ მშველიძე, ავტორი წიგნისა: „სამუსიკო განათლება საქართველოში“ წერდა ნ. ჩიგოგიძეს: „აბა, შენ იცი, თუ როგორ უხვ მოსავალს მიიღებ შენს მამულში“.

მოსავალი კი უხვი იყო თუ შედარებით უნაყოფო, მაინც ნაწილდებოდა: არა მარტო მომყვანის ოჯახზე, არამედ — მის მეგობრებზე: თბილისში, ლენინგრადში, მოსკოვში...

პროფესორი ქრ. კუშნარიოვი — ცნობილი კომპოზიტორი, მუსიკის თეორეტიკოსი, პედაგოგი, მკვლევარი-მეცნიერი წერს ნიკო ჩიგოგიძეს: „...შენი სამოთხე ჩემს თვალწინაა, ნეტავი, კიდევ მომახვედრა მასში. მაგრამ, ეტყობა, ყველას არ სწყალობს ღმერთი, რათა სამოთხეში აღმოჩნდეს...“

პირველ რიგში კი — საქმიანი ტონი, პროფესიონალური, პროფესიონალიზმი და არავითარი დილეტანტიზმი, — ეს მკაფიოდ იკვეთება წერილის

ავტორებთანაც და ადრესატის პასუხებშიაც.

ს. სკრებკოვი — სახელგანთქმული მუსიკისმცოდნე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, მეცნიერი, დიდი ავტორიტეტი მსოფლიო მუსიკალურ სამყაროში: „ძვირფასო ნიკო სპირიდონის ძეგ! დიდად შევცოდე თქვენს წინაშე! გამოვკეთდი და ახლა ვზივარ რუზაში, იმ სახლში, სადაც თქვენ ცხოვრობდით, იმ მაგიდასთან, რომელთანაც თქვენ მუშაობდით. გადავიკითხე თქვენი წერილები და მომინდა თქვენთან გასაუბრება“.

ამ საუბრების შინაარსი ეხება თავისუფალი და მკაცრი სტილის პოლიფონიას, ხალხური მუსიკალური ენის ეროვნულ თავისებურებებს; სანოტო მაგალითები, მსჯელობა იმ კრებულის გამოცემაზე, რომელსაც შემდგომ მსოფლიოში აღიარებული მუსიკის სპეციალისტები გაეცნობიან.

ძალზე განვიცდი, რომ ყველაფერი ეს წარსულს ჩაჰბარდა, ძალიან ცოტა თუ წერს ასეთი შინაარსის წერილებს; რომ თქვენობითი მიმართვის ფორმა იძულებით სახეს იძენს...

ღვთაებასთან ახლომდებარე ერთ-ერთ კარ-მიდამოში, სამოთხედ რომ მოიხსენიებდნენ ამ წერილებში, პატარა სახლის ნაცვლად ვილაცამ მშვენიერი სასახლე ააშენა და სევდა მიჰყრობს, რომ იმ კოპნია სახლიდან გამოსული ჩელოს გულშიჩამწვდომი ხმები ვერ დაატკობენ ჩვენს ყურთასმენას, კედლებზე დაკიდული სურათებიდან ვეღარ დავინახავთ თბილად მომზირალ მრავალ ჩვენს სასიქადულო მუსიკოსს.

სევდა მიჰყრობს და მაინც მჯერა, რომ ქართული მუსიკალური კულტურის დიდი მოამაგის ნიკო ჩიგოგიძის სახელი შთამომავლობას შემორჩება.

ჩვენ, თელაველი მუსიკოსები და ქალაქის მესვეურებიც, უნდა შევეცადოთ — არ დავეუკარგოთ მომავალ თაობას საამაყო წარსული!

## მუსიკოსი, მეუღლე და მეგობარი



ნინა კობზინსკაია-ჩიგოგიძე

ფერი ფერსა, მაღლი ღმერთსაო, — სწორედ ამათხეა ნათქვამი. ნიკო ჩიგოგიძე და ნინა კობზინსკაია-ჩიგოგიძე როგორ უხდებოდნენ ერთმანეთს, როგორ შეხმატკბილებულად ცხოვრობდნენ, როგორი დიდოსტატები იყვნენ თავისი საქმისა.

უმადლესი რანგის მუსიკოსები — აი, მათი შეფასება. პროფესორმა ნინა კობზინსკაია-ჩიგოგიძემ 60 წელზე მეტი იღვანა ქართული მუსიკალური ხელოვნების სფეროში. იგი იყო კეთილშობილი ნატურა, ბრწყინვალე პედაგოგი და შემსრულებელი, საზოგადო მოღვაწე, მრავალი მუსიკალური ღონისძიების ინიციატორი და ერთ-ერთი ორგანიზატორი, ჩელოს ხელოვნების მკვლევარი და დიდი სპეციალისტი. მეუღლის მსგავსად, ცდილობდა — დაეჭირა ცხოვრების რიტმი, მუსიკას გრძნობდა როგორც უმაღლეს სულიერებას, ორივემ, თავიანთ სფეროში, შექმნეს საკუთარი სკოლები. მთავარ საკითხად მიაჩნდათ — განათლებული, მოაზროვნე, შემოქმედებითი ინიციატივებისა და სიმამაცის მქონე მუსიკოსების აღზრდა.

მე, პირადად, არ ვიცნობდი ბატონ ნიკო ჩიგოგიძეს, მაგრამ მის მეუღლესთან ვსწავლობდი თელავის სამუსიკო სასწავლებელში — ნინა თევ-



დორეს ასული გვამეცადინებდა კამერულ ანსამბლში.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ნ. კოზმინსკაია-ჩიგოგიძე იყო თბილისის კონსერვატორიის პროფესორი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი, საზოგადო მოღვაწე (ყრილობების დეპუტატი, თბილისის ერთ-ერთი მთავარი რაიონის მშრომელთა საბჭოს დეპუტატი; ომის დროს მოსწავლეებთან ერთად მართავდა კონცერტებს, ხშირად იყო საამომრჩევლო კომპანიის, საამხანაგო სასამართლოების და ყოფილი სექტორების წევრი).

ეს ქალი, ყოველი კვირის ბოლოს თელავში მატარებლით ჩამოდიოდა. უფლიდა კარ-მიდამოს, რომელიც უზომოდ უყვარდა და ქმრის ნათელი ხსოვნის საპატივცემულოდ გვაზიარებდა დიდ მუსიკას.

15 წლის მივედი სამუსიკო სასწავლებელში და მისი გაკვეთილებით უფრო ნათელი და მშვენიერი სამყარო გაიხსნა ჩემს არსებაში. ვუკრავდით ჯერ პატარ-პატარა პიესებს, მონაკვეთებს კლასიკიდან.

მეორე სემესტრში მითხრა: ახლა ბეთჰოვენის ტრიო-სონატები დავუკრათო. სასწავლებელში ვიოლინოს პედაგოგად თბილისიდან ჩამოსული ნიჭიერი მევიოლინე — გელა კუჭაიძე მუშაობდა. მასთან ერთად დავიწყეთ მუშაობა ბეთჰოვენის ამ ულამაზეს და რთულ ანსამბლებზე. ნინა თევდორეს ასული კმაყოფილი იყო. გავიდა ორი თვე და მორიგი მეცადინეობის

დასრულების შემდეგ, მიუბრუნდა გელა კუჭაიძეს, რომელიც თელავში ახლადგახსნილი მუსიკალური ათნლედის დირექტორად მუშაობდა და ეუბნება ჩემზე: „Ты её не выпускай, возьми к себе...“ — არ გაუშვა, წაიყვანეო (ათნლედში). მაშინ, რუსული სკოლის X კლასში ვსწავლობდი... და, მართლაც, უკვე თექვსმეტი წლის გავხდი ფორტეპიანოს პედაგოგი. ზოგჯერ, ათნლედში მისულს, კიკინებზე ბაფთების მოხსნა მავიწყდებოდა... მყავდა ჩემზე უფროსი, გასათხოვარი მოსწავლეები.

კონსერვატორიაში რომ მოვეწყვე, უკვე, ოთხი წლის სამუშაო სტაჟი მქონდა.

საკუთარი თავის ქებისთვის კი არ მოვიტანე ჩემი ცხოვრების ეს ეპიზოდი, აქ მთავარი იყო — მასწავლებლის მხრიდან, ჩემთვის, უდიდესი ნდობის გამოცხადება. ეს ნდობა ბევრს მავალეებდა და, არც არასოდეს შემირცხვენია ამ ბუმბერაზი მუსიკოსის სახელი.

ნინა კოზმინსკაიას ცხოვრება იყო ძალზე მიზანსწრაფული, შინაარსიანი.

იგი დაიბადა 1903 წლის 16 ოქტომბერს ბაქოში რკინიგზის მოსამსახურის ოჯახში. მამამისი გა-

ფიცვაში მონაწილეობისთვის მალე სამსახურიდან გაათავისუფლეს და ციმბირში გადაასახლეს.

ოჯახი თბილისში გადმოვიდა. ნინამ ვერცხლის მედალზე დაამთავრა ქალთა II გიმნაზია. ჩელოზე დაკვრა დაიწყო 13 წლისამ და 16 წლის უკვე მუშაობდა საორკესტრო კოლექტივში.

თბილისის სამუსიკო სასწავლებელში სწავლობდა კ. მინიარის ჩელოს კლასში. მინიარი ვარშავიდან ჩამოსული და რუსეთში მოღვაწე ვიოლონჩელისტი იყო; პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე, შემდგომში — საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, თბილისის კონსერვატორიის პროფესორი, სიმებიან საკრავთა კათედრის ხელმძღვანელი. მან დიდი წვლილი შეიტანა საქართველოში სავიოლონჩელო ხელოვნების განვითარებაში. უამრავი, სახელგანთქმული ჩელისტი გამოზარდა: ა. ჩიჯავაძე, რ. გარბუზი, გ. ბარნაბიშვილი, ნ. კოზმინსკაია და სხვ.

1923 წელს ნ. კოზმინსკაია ეწეობა მოსკო-



ნინა კოზმინსკაია-ჩიგოგიძე I რიგში მარცხნიდან მეორე

ვის კონსერვატორიაში და სწავლობს პროფესორ ა. ბრანდუკოვთან. ეს იყო უდიდესი ხელოვანი, მუსიკის მოღვაწე, ბრწყინვალე ჩელისტი-შემსრულებელი, პედაგოგი. წლების განმავლობაში ცხოვრობდა პარიზში. მეგობრობდა ი. ტურგენევიტან, ცნობილ მომღერალ ქალთან — პოლინა ვიარდოსთან, — გამოდიოდა კონცერტებში: ა. რუბინშტეინთან, პ. ჩაიკოვსკისთან, ფ. ლისტთან, ს. რახმანინოვთან ერთად. იყო შესანიშნავი დირიჟორი, მოსკოვის მუსიკალურ-დრამატული სასწავლებლის დირექტორი. ასეთ დიდ პიროვნებასთან სწავლობდა ნინა კოზმინსკაია. ის კონცერტებზე გამოდიოდა როგორც სოლისტი და ორკესტრის მონაწილედ.

კონსერვატორიის წარჩინებით დასრულების შემდეგ, ბრუნდება თბილისში, იწყებს მუშაობას რუსთაველის თეატრში, უკრავს „ახალგაზრდა ქართველ მუსიკოსთა საზოგადოების“ ორკესტრში. აქ დიდი მეგობრობა აკავშირებდა ცნობილ ხელოვანებთან: ა. მშველიძესთან, შ. მშველიძესთან, ა. ბალანჩივაძესთან და მრავალ სხვასთან. ერთ-ერთ ყველაზე ნათელ მოგონებად ჩელისტი



ქალი თვლიდა ურთიერთობას გამოჩენილ რეჟისორთან სანდრო ახმეტელთან. „ჩვენ ვსწავლობდით მისგან ხელოვნების ჭეშმარიტ სიყვარულს. ის ჩვენდამი იჩენდა დიდ მზრუნველობას ყველაფერში“, — წერდა თავის მოგონებებში ნ. კოზმინსკაია.

1938 წელს თბილისის კონსერვატორიის ასპირანტურის დამთავრების შემდეგ, ნ. კოზმინსკაია-ჩიგოგიძე მისმა ხელმძღვანელმა კ. მინიარმა აიყვანა თავის ასისტენტად. გაგრძელდა საშემსრულებლო მუშაობა სხვადასხვა ორგანიზაციებში და კოლექტივებში, თბილისის კინოთეატრებსა და დრამატულ თეატრებში, მცირე და დიდ ორკესტრებში, რუსთაველის თეატრის კონცერტმეისტერად, რადიომაუწყებლობაში, 40-იან წლებში — საქართველოს მუსიკალურ ფონდში, პარალელურად კი — პედაგოგად: სამუსიკო სკოლებსა და სასწავლებლებში. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში კი მუშაობდა 1938 წლიდან, — ჩელოსა და კამერული ანსამბლის კლასში, 1947 წელს მიენიჭა სწავლული დოცენტის წოდება, 1957 წელს გახდა კონსერვატორიის პროფესორი, ხოლო, 1960 წელს მიენიჭა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის წოდება.

თელავში, სამუსიკო სასწავლებლის ახლად გახსნის დღიდან (1962 წელი) სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ნ. კოზმინსკაია მუშაობდა კამერული ანსამბლის კლასის პედაგოგ-კონსულტანტად. მის ხელში აღზრდილი მუსიკოსები თელავში ახლაც პედაგოგებად მუშაობენ. მრავალმა წელმა განვლო და დღემდე არ მავინყდება მისი შეგონებები:

„მუსიკის არსს რომ ჩასწვდე, შენი სული უნდა გაუნანილო“;

„პედაგოგი — პიროვნებაა, მოსწავლე — პიროვნებაა, მათი ასაკის სხვაობა — ფორმალური მხარეა“.

მახსენდება კიდევ ერთი ეპიზოდი სამუსიკო სასწავლებელში სწავლის პერიოდიდან. IV კურსზე რომ ვიყავით, გვქონდა გამორჩეული ჯგუფი. ყველა კარგად სწავლობდა და მაშინდელმა დირექტორმა ბატონმა ს. მაშუკელაშვილმა გადაწყვიტა ჩვენი ნაყვანა ლენინგრადში (იდეა მიანოდა ნ. კოზმინსკაიამ) და I სემესტრის ბოლოს, ცივ ზამთარში, გავეშურეთ ამ ულამაზესი ქალაქისაკენ. ყველაფერი დაგვათვალისწინებინეს ნ. კოზმინსკაიამ და სასწავლებლის დირექტორმა. ვიყავით ორივე საოპერო თეატრში, მუსიკალური საკრავების მუზეუმში, ზამთრის სასახლეში, ალექსანდრე ნეველის ლავრაში.

ეს ჩვენთვის დაუვიწყარი, ბედნიერი არდადეგები იყო; ნინა თევდორეს ასულიც არანაკლებ ბედნიერი ჩანდა.

კონსერვატორიის სტუდენტებიც აღმერთებდნენ. ჩიგოგიძეების არქივში ნაგანყი მათს რამდენიმე წერილს. მოსკოვის კონსერვატორიის სტუდენტი (მანამდე ის სწავლობდა ნ. კოზმინსკაია-სთან თბილისში), ამჟამად ს. ცინცაძის სახელობის სახელმწიფო კვარტეტის ჩელისტი პროფესორი ო. ჩუბინიშვილი სწერდა თავის პედაგოგს მოფერებით: „ნიოჩკა, როგორც მიბრძანე, ისე ვცხოვრობ, არ ვწვევი, „არსად“ არ დავდივარ, ბევრს ვმეცადინებო. შენს სინმინდეს — გადამდები ძალა აქვს“...



ნინა კოზმინსკაია-ჩიგოგიძე თელავის სახლის ეზოში

აი, მეორე წერილიც — „მახსოვს ყველაფერი“ — გაზეთში გამოქვეყნებული. 17 წლის სოხუმელი მუსიკოსი ბიჭი, სერგო, გაინვიეს II მსოფლიო ომის ფრონტზე. რამდენჯერმე გადაურჩა სიკვდილს. დაუმეგობრდა თბილისელ თანატოლ ბიჭს, რომელიც დაიღუპა ერთ-ერთი შეტევის დროს. მალევე სერგოც დაიჭრა ხელში და ჰოსპიტალში მიყვანისას ახალგაზრდა ექიმს, რომელიც აღმოჩნდა ქართველი, შეევედრა, გენაცვალე, გთხოვ, გადარჩინე ჩემი ხელიო. ქირურგმა აღუდგინა ტყვიისგან დაფაცხავებული ნერვები. ფიზიოთერაპევტი კი ერთი წელი იდაყვის მასაჟს უკეთებდა.

ომის დამთავრების შემდეგ, სერგომ გადანიყვიტა გაეგრძელებინა საყვარელი საქმე. ჩამოვიდა თბილისში, მოინახულა დაღუპული მეგობრის ოჯახი, მერე მივიდა კონსერვატორიაში. მას გაესაუბრა მაშინდელი დირექტორი — კომპოზიტორი ვანო გოკიელი. გიმნასტურაში ჩაცმული რომ დაინახა, გამოჰკითხა მისი თავგადასავალი. სერგომ სინანულით უთხრა, რომ ალბათ, ვეღარ შეძლებდა ჩელოზე დაკვრას და საგუნდოზე ჩავაბარებო... იმ წელს საგუნდო-სადირიჟორო განყოფილება დაიხურა და, გოკიელმა უთხრა: „მესამე სართულზე მონახე ჩელოს პედაგოგი ნ. კოზმინსკაია და ის გირჩევს რა გააკეთო“...

როგორ შესცოდებია, როგორ აღელვებულა, ნინა როდესაც მისი ნაჭრილობევი დაუნახავს, მაგრამ ცოტა ხანში შეუთავაზებია მის ინსტრუმენტზე დაეკრა. ნაომარს თითები არ ემორჩილებოდნენ. არ შეიმჩნია პედაგოგმა და მთელი ის დარჩენილი სამი თვე კონსერვატორიაში ჩაბარებამდე უსასყიდლოდ ამეცადინა, რეცეპტივით გამოუწერა: ჯერ, მხოლოდ, 15 წუთი დღეში, დროთა განმავლობაში ხელი გაძლიერდა. რამდენიმე წლის





ლეოპოლდ რასტრაპოვიჩის ჩამოსვლა 1977 წელი. მცხეთა. მარცხნიდან: დირიჟორი ვ. გოცირიძე, გრ. გურვიჩი, ლ. რასტრაპოვიჩი, ნინა კოზმინსკაია, კოტე შანიძე

შემდეგ, ის, ომგამოვლილი მუსიკოსი შესანიშნავი შემსრულებელი გახდა — სერგო ტემურიანცი — რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი.

ნ. კოზმინსკაიამ აღზარდა ჩელისტ-შემსრულებელთა მთელი პლეადა. ისინი წამყვან ადგილს იმკვიდრებდნენ მაშინდელი სსრკ-ის სიმფონიურ ორკესტრებში, კონსერვატორიებსა და სამუსიკო სასწავლებლებში. პედაგოგის კეთილშობილების, სიკეთის, თანაგრძნობის თანდაყოლილი თვისებები მისდამი პატივისცემით, ერთგულებითა და დიდი სიყვარულით განგანყობდა.

ზემოთაც აღვნიშნე, პედაგოგი მართავდა როგორც სოლო კონცერტებს, ასევე — თავის სტუდენტებთან ერთადაც გამოდიოდა სცენაზე. რეპერტუარში ჰქონდათ სავიოლონჩელო ხელოვნების შედეგები: ჰაიდნის, მოცარტის, ბეთჰოვენის, ბოკერინის, ვიდალის და ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებები. განსაკუთრებით დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებების პოპულარიზაციის საქმეში.

ნ. კოზმინსკაიას შესრულება გამოირჩეოდა შთაგონებით, არტისტიზმით, დახვეწილი მუსი-

კალური გემოვნებით, კეთილშობილური და გამომსახველი ბგერით.

დიდი ჩელისტის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა მოიცავს მთელ რიგ საინტერესო ნაშრომებს:


„სავიოლონჩელო ხელოვნების განვითარება საქართველოში“, „კონტრაბასზე დაკვრის ხელოვნება“, „სავიოლონჩელო ხელოვნების სკოლა“ — I ნაწილი, „სავიოლონჩელო ხელოვნების განვითარების ისტორია საქართველოში“.

ამ ძვირფასი შრომების გაცნობის შემდეგ მუსიკოსს უადვილდება მუსიკალურ მასალასთან მუშაობა, უჩნდება ცოდნის გაღრმავების სურვილი და სხვ.

სიამაყის გრძნობა გეუფლება, რომ ასეთი ბრძნული შეგონებებისა და სტრიქონების ავტორი — „მუსიკის კეთილშობილი ქალბატონი“ ოდესღაც დიდ ხელოვნებას გაზიარებდა.

სიცოცხლის ბოლომდე შევინახავ ნინა კოზმინსკაია-ჩიგოგიძის ყველაზე კეთილ, თბილ და მადლიერ ხსოვნას...

ღვანლმოსილი მუსიკოსები: ნიკო ჩიგოგიძე და ნინა კოზმინსკაია-ჩიგოგიძე დაკრძალული არიან დიდუბის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.



გზა ტაძრისაკენ

„სიცოცხლით და სიყვარულით სავსე,  
დადიხარ და სიყვარულზე მღერი“.  
ე. ხუციშვილი

ამბობენ, პოეზია საიდუმლოებაა, მკითხველის „მისია“ კი — ამ საიდუმლოს ამოცნობა-გაცხადება.

უნდა ვაღიარო, ერთობ რთული აღმოჩნდა ჩემთვის ამ მისიის შესრულება ქალბატონი ეველინა ხუციშვილის ლექსების ახალი კრებულის „იყალთოს ცაო, ლურჯთვალავ“ წაკითხვისას. იის სურნელით სავსე, იყალთოს ცასავით კამკამა და ალაზანივით ლივლივა ლექსები ადვილად არ ნებდებიან მკითხველს, არ უმხელენ თავიანთი ხიბლის საიდუმლოს. არადა, წიგნში, თითქოს, ყველაფერი ჩვეული და ტრადიციულია. თემატიკაც, ლექსთწყობაც, რითმაც, ტროპის სახეებიც, მაგრამ კიდევ არის მასში რაღაც სხვა, მოუხელთებელი, თითქოს უახლოვდები, ის კი მაინც ხელიდან გისხლტება, უჩინარდება...

იქნებ, ამ პოეტური სტრიქონების ხიბლი მათი უჩვეულო სისადავე და სიმარტივეა (სრულყოფილების „ოქროს“ წესი)? ან სტიქიონური ძალის ემოცია და გულწრფელობა? იქნებ მიწასთან, ეროვნულ ფესვებთან განუყოფლობაში მდგომარეობს ეს საიდუმლო? ან, შესაძლოა, ყოველივე ერთად განაპირობებს იმ მომხიბვლელობას, რომლითაც გამოირჩევა ქალბატონი ეველინას პოეზია...

წიგნში „იყალთოს ცაო, ლურჯთვალავ“ ძალიან ბევრი სიტბო, სინათლე, ხალისი, გულწრფელობა და სიყვარულია, სიყვარული კი ისეთივე უნაპირო და მრავალფეროვანია, როგორც თვით სამყარო:

ესაა სიყვარული:  
შვილისა და შვილიშვილისა;  
მშობლებისა და წინაპრებისა;  
ქვეყნისა, რწმენისა და დედაენისა;  
ავტორისათვის წმინდა მიწის, იყალთოსი;  
სიყვარული  
თვალხატულა გოგო-ბიჭების, რომელთა სუ-

ლის ძერწვასაც ათეული წლები შეაღია წიგნის ავტორმა;

სიყვარული  
ვარდისფერი ატმების და ტყემლის ფიფქის ნამქერის;

სიყვარული თებერვლის თვეში ხეზე შემომჯდარი საბრალო ჩიტუნასი, თვალებს რომ აცეცებს, იქნებ იპოვოს პანანინა პურის ნამცეცი;

სიყვარული ადრეულ გაზაფხულზე მოსული ფურისულების, ქარი რომ უფრიალებთ ვარდისფერ კაბებს, ავტორი კი ეფერება და სითბოთი ავსებს, „რომ არ გაცივდნენ ფურისულები“...

ერთი სიტყვით, „იყალთოს ცაო, ლურჯთვალავ“ სიყვარულის ზღაპარია, რომელსაც აქვს დასაწყისი, მაგრამ არ აქვს დასასრული...

ვინც იცნობს ქალბატონ ეველინას, დამეთანხმება — ლექსები საოცრად ჰგვანან ავტორს, ავტორი კი — თავის ქმნილებებს. ორივე სავსეა მზითა და ხალისით, სისპეტაკითა და სიყვარულის ძალმოსილებით.

აკი წერს კიდევ:

„ერთი უბრალო ქალი ვარ,  
გული სავსე მაქვს ლექსებით,  
ვარიგებ სითბოს, სიყვარულს,  
მაგრამ არასდროს ვიღლები“.

ერთ წმინდა მამას უთქვამს: თუ არ დაემსგავსები ყრმას, ვერ იხილავ სასუფეველს... ბევრისთვის, ალბათ, შეუძლებელია ამგვარი გარდასახვა, ულამაზესი ლექსების ავტორს კი არ სჭირდება საგანგებო ძალისხმევა და ფერისცვალება, რადგან ღმერთს უხვად უბოძებია მისთვის ბავშვური სილადე და უმურველობა, გულწრფელობა და სიხალისე. ასე რომ არ იყოს, ხომ ვერ დაინერებოდა სტრიქონები:

„ვარდისფერი ატმების



ეველინა ხუციშვილი







რია-რიამ დამცეცხლა,  
ტყემლის ფიფქის ნამქერმა  
ლამის არის ნამლეკა“...

კრებულისათვის ავტორს ასეთი სათაური შეურჩევია — „იყალთოს ცაო, ლურჯთვალა“. არცაა გასაკვირი — ყველაზე მეტი ლექსი ხომ ამ თემატურ რკალშია გაერთიანებული. ქალბატონი ეველინასთვის საქართველო იყალთოთი იწყება, ამიტომაც უყვარს იგი თავდავინწყებით. მისი სიყვარულით გახელებულს, ეჩვენება, რომ „იყალთოს მინაზე // კენჭიც ლამაზად დევს“, რომ „იყალთოს მინას დიდებულს // სულ სხვა სურნელი სდის“.

პოეტი ისეთი ჟინით და გატაცებით აღავლენს ამ სოფლის ხოტბას, რომ მკითხველი, უმალ, მისი მოზიარე ხდება და ავტორთან ერთად იმეორებს:

„იყალთო ლექსის დედაა,  
იყალთო ლექსით იწვის  
და ყოველ იყალთოელში  
ქართული ლექსი მდერის“.

იყალთოსადმი მიძღვნილი ლექსები ერთი ამოსუნთქვითაა დაწერილი და ჰარმონიულ მთლიანობას ქმნიან. ამიტომ, გულიც გეურჩება და ხელიც, მათგან რომელიმე გამოარჩიო. ყველა ერთად აღებს მკითხველის გულს და დიდხანს რჩება მასთან. ვისაც ერთხელ მაინც დაუდგამს ფეხი რუსთაველის ნატერფალ მინაზე, შეუძლებელია, ეს სიყვარული, როგორც სენი, მასაც არ შეეყაროს და არ გაითავისოს ავტორის ემოცია:

„იყალთოს ცაო,  
ცაო კამკამა,  
ცაო ლურჯთვალა,  
ცაო კამკამა...  
მართლა ძალიან... მართლა ძალიან...  
მიყვარხარ ძლიერ“...

ქალბატონი ეველინას პოეზია მისივე მოგვარის, საქვეყნოდ ცნობილი თელაველი მხატვრის, ბატონი ჯემალ ხუციშვილის ფერწერულ ტილოებს მაგონებს. ორივე ხელოვანის „მზერა ქართულია“, ორივე შემოქმედის ქმნილებები ქართული სულის გამონათებაა, ორივეგან საოცარი იდილია და ჰარმონიაა, რაც მკითხველსა და მნახველს დიდ სიამოვნებას ანიჭებს. შემოქმედის ბედნიერებაც ხომ

სწორედ ესაა — შეაყვაროს ადამიანს სიცოცხლე, მიდრიკოს იგი სიკეთისა და სიყვარულისკენ...

მუდამ ხალისიან, სიცოცხლით სავსე ქალბატონს ზოგჯერ ადამიანური სევდაც მოერევა ხოლმე ნუთისოფლის ხანმოკლეობისა და წარმავლობის გამო:

„ტირის და ტირის, ტირის და ტირის,  
ჩამოიტირა მარტმა თავ-პირი,  
და სადღაც გაქრა ახალგაზრდობა  
მარტში მოსული თეთრი თოვლივით“.

გული სტიკვა პოეტს, რომ თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვასთან ერთად, ნელ-ნელა ქრება ქართული ყოფისა და ურთიერთობისთვის დამახასიათებელი კოლორიტი და იერ-სახე. ამიტომაც ეძალება ნოსტალგია „გარდასულ დღეთა“ და სიძველეთა მიმართ და ენატრება რიკულებიანი აივნები, „ეზოში პატარა წყლის წისქვილი // და დოლაბებით თავბრუსხვევა“, „ბებო, კალთით მოტანილი სიმინდებით, // და გახურებულ ცხელ თონეში // ლოყებდაბრანული შოთის პური“...

პოეტი ერთგან წერს:

„მწუხრის ჟამი დამდგომია ბნელი,  
გული მწყდება, რომ გაფრინდნენ წლები“.

სულ ტყუილად წუხართ, ქალბატონო ეველინა!

მერე რა, რომ „კართან მოდგა ვერცხლისფერი სიბერე“,

მერე რა, რომ „მოწყენილა გიშრისფერი თვალები“ და

„დედიკოს შეკერილი ჩითის კაბაც გაცრეცილა...“

შემოდგომის მზესავით“...

თქვენ ხომ ისევ სავსე გაქვთ გული სიყვარულით და ისევ შესთხოვთ უფალს, „დღე გაგიტენოთ რწმენის და საქართველოს ძლიერად დგომის“.

უფალი აუცილებლად შეისმენს ამ თხოვნა-ვედრებას და გვჯერა, დიდხანს, დიდხანს არ დასრულდება თქვენი ცხოვრების გზა, მკითხველი კი კვლავაც ელის თქვენგან სინათლითა და სიყვარულით სავსე არაერთ სტრიქონს, რომლებიც საოცნებო ტაძრისაკენ გაგვიძღვებიან...

მაისი, 2017 წელი



მხატვარი ალექსანდრე გოგიაშვილი





მხატვარი  
ალექსანდრე (სასკა) მოზიაშვილი



ISSN 1512-3995



15123995